ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

ნოდარ კახიძე

მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკა

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2020

UDC(უაკ) 910.14(479.223)
კ-378

ნაშრომში შესწავლილია მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკის საკითხები. სოფლების მიხედვით აღწერილია როგორც ქვედა მაჭახლის, ისე ისტორიული ბედუკუღმართობის გამო 1921 წლიდან თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ზედა მაჭახლის ტოპონიმები. ნაშრომს ერთვის სამეცნიერო ხასიათის შენიშვნები, რომლებშიც გარკვეულია ტოპონიმთა წარმომავლობისა და ლოკალიზაციის საკითხები. ტოპონიმების ამგვარი შესწავლით წარმოჩენილია ხეობის ისტორიული წარსულის, მისი ყოფისა და კულტურის ნიშანდობლივი თავისებურებანი, როლი და მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნაშრომი ერთიანი – ქვედა და ზედა მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკური შესწავლის პირველი ცდაა. იგი სასარგებლო სამსახურს გაუწევს ტოპონიმიკის დარგის მკვლევრებს, ფართო მკითხველს, ყველას, ვინც ზოგადად ქართული ტოპონიმიკის შესწავლითაა დაინტერესებული.

რედაქტორი: **როინ მალაყმაძე** - ისტორიის დოქტორი

რეცენზენტები: **თამილა ლომთათიძე, ჯემალ ვარშალომიძე** - ისტორიის დოქტორები

ISBN 978-9941-488-35-1
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნიერსიტეტი“ - 2020

სარჩევი

შესავალი 6

თავი პირველი

მაჭახლის ხეობის ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური დახასიათება 17

თავი მეორე

მაჭახლის ხეობის მოკლე ტოპონიმიკური მიმოხილვა 27

თავი მესამე

მაჭახლის ხეობის სოფლები და მათი ტოპონიმიკური აღწერილობა 37

ქვედა მაჭახელი 48

ზედა მაჭახელი 66

შენიშვნები

შესავლისათვის 74

პირველი თავისათვის 77

მესამე თავისათვის 82

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 155

ტოპონიმიკურ სახელთა საძიებელი 157

გამოყენებული ლიტერატურა 171

შესავალი

მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკის შესწავლაზე მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში სწავლის პერიოდში (1963-1965 წლები) დავიწყე. 1963 წელს აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა მისი დირექტორი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ჩემი საკანდიდატო დისერტაციის თემად დამტკიცდა „აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა“ (მაჭახლის ხეობის მაგალითზე). თემის ხელმძღვანელად დაინიშნა ინტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ გეგეშიძე. საერთო ხელმძღვანელობას კი მიწევდა ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორისა და საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (შემდეგში - აკადემიკოსი), ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი გიორგი ჩიტაია. ამ პერიოდიდან მივიღე მითითებანი ჩემი მეცნიერი ხელმძღვანელებისგან, რომ დისერტაციაზე მუშაობის პარალელურად, ყურადღება მიმექცია მაჭახლის ხეობაში გავრცელებული ტოპონიმიკური (გეოგრაფიული) სახელების ჩაწერაზე, რაც შემდგომში ჩემი სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახდა.

ამგვარი მასალების შეკრებისას, ვხელმძღვანელობდი ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში შემუშავებული და აპრობირებული კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით, რომელსაც

საფუძველი ჩაუყარა გიორგი ჩიტაიამ და რომლითაც თავის საქმიანობაში სარგებლობდა მრავალრიცხოვან ქართველ ეთნოგრაფთა დიდი და სახელოვანი კოლექტივი.

ამ მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა შემდეგში მდგომარეობდა: „ეთნოგრაფიული მოვლენები შეისწავლება ინტენსიურად, კომპლექსურ მთლიანობაში, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობაში, ისტორიზმის პრინციპების დაცვით. ამ მეთოდის თვალსაზრისით, ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე, მნიშვნელოვანია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე". სადისერტაციო თემაზე მუშაობის პარალელურად, დავიწყე ტოპონიმიკური მასალის შეკრება, რასაც პირდაპირი კავშირი ჰქონდა არა მარტო სადისერტაციო თემის საკითხებთან, არამედ ზოგადად გეოგრაფიულ სახელწოდებათა შეკრებასთან, რომელსაც დღეს თუ ხვალ დავიწყებისა და დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა.

პირველი სოფელი, სადაც 1963 წელს ტოპონიმები შევკრიბე, ჩემი მშობლიური ზედა ჩხუტუნეთი იყო. მომდევნო წლებში ხეობის ყველა სოფელი მოვიარე ტოპონიმიკური მასალის შესაკრებად. გამონაკლისს შეადგენდა ნასოფლარებად ქცეული გორგაძეთი, ქავთარეთი და საფუტკრეთი. ეს სოფლები თურქეთის საზღვრისპირას მდებარეობდა და უსაფრთხოების მიზნით 1946 წელს ამ სოფლებიდან მოსახლეობა ორგანიზებული წესით მაშინდელი ბათუმის რაიონის (ახლანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) ქვედა ზონის სოფლებში - ჭარნალსა და ახალსოფელში ჩაასახლეს, რაც, ჩემი აზრით, გამართლებული არ იყო. ამ სოფლების მოსახლეობა მთელი ომის პერიოდში აქტიურად შრომობდა ფრონტზე საჭიროების დაკმაყოფილებისათვის,

საზღვრის დაცვისა და უსაფრთხოებისათვის და მშვიდობიან პერიოდში მათი დაცლის საჭიროება არ არსებობდა. ამ სოფლების ტოპონიმები აქ დარჩენილ ცალკეულ პირთა და აქედან სხვაგან გადასულთა გამოკითხვით ჩავიწერე, რაც სრულყოფილი არ აღმოჩნდა.

მაჭახლის ხეობის სოფლებში გავრცელებული ადგილთა სახელების შეკრება 1965 წელსაც გრძელდებოდა. შედეგი წარმატებული აღმოჩნდა. 1966 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ პირველ ნომერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ბატონი გიორგი ჩიტაიას წარდგინებით, გამოვაქვეყნე ვრცელი სტატია - „მაჭახლის ხეობის სამეურნეო ყოფა ტოპონიმიკის შუქზე“.

მაჭახლის ხეობაში გავრცელებული ბევრი ტოპონიმია შესული და განხილული ჩემს საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომში „აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა)“, რომელიც დავიცავი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, 1967 წლის 27 ოქტომბერს.

ეს იყო რიგით მეორე ნაშრომი, რომელშიც მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკის საკითხებზეც იყო მოთხრობილი. პირველი ნაშრომი, რომელიც ხეობის ტოპონიმიკურ მიმოხილვას ეხებოდა ლინგვისტური თვალსაზრისით, ეკუთვნის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს, შემდეგში ქართული ფოლკლორის გამოჩენილ მკვლევარს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს ალექსანდრე მსხალაძეს (იგი მაჭახლის ხეობის სოფელ ქედქედის მკვიდრი იყო). მისი ნაშრომი 1954 წელს დაიბეჭდა ინსტიტუტის სტუ-

დენტთა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების ტექსტის სახით, რომელმაც მაშინ მაღალი შეფასება დაიმსახურა (მსხალაძე, 1954).

მაჭახლის ხეობის და ზოგადად, აჭარის ტოპონიმიკის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პროფესორ იური სიხარულიძეს. ამ მიზნით მან აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის რჩევით 1950-იან წლებში ფეხით მოიარა მაჭახლის ხეობისა და აჭარის თითქმის ყველა სოფელი და შექმნა ორტომიანი ნაშრომი სახელწოდებით „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“ (ტომი პირველი, 1958; ტომი მეორე, 1959). ორივე ტომი აჭარის სახელმწიფო გამომცემლობაში დაიბეჭდა, ქალაქ ბათუმში.

მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკური მასალა პირველ ტომშია შესული. მაგრამ ეს მასალები მხოლოდ ქვედა მაჭახლის სოფლებშია შეკრებილი. ზედა მაჭახელი, რომელიც ექვს სოფელს ითვლის (ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ზედვაკე, ეფრატი), 1921 წლიდან თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში იყო მოქცეული (ართვინის ვილაიეთი, ბორჩხის რაიონი) და აქ ტოპონიმიკური მასალების შეკრების შესაძლებლობა იური სიხარულიძეს მაშინ არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ქვედა მაჭახლის ყველა სოფლის ტოპონიმები აქვს შეკრებილი და ბევრი მათგანის წარმომავლობის ახსნაც მოეპოვება, რაზეც მან ნაყოფიერი და წარმატებული შრომა გასწია.

მაჭახლის ხეობის ქვემო ნაწილის სოფლებში შეკრებილი ტოპონიმებია ასახული ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციების მონაწილეთა სამეცნიერო დღიურებში, მათ მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში.

მაჭახლის ხეობის ქვედა და ზედა ნაწილის[1] ტოპონიმიკის და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, საგვარეულოთა ისტორიისა და ონომასტიკონის შესახებ მნიშვნელოვანი მასალებია თავმოყრილი „ტბეთის სულთა მატიანის“ ხელნაწერ ძეგლში, რომელიც XII-XVII საუკუნეებს განეკუთვნება („ტბეთის სულთა მატიანე“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ. გამომცელობა „მეცნიერება“, თბილისი, 1977). დღევანდელი მაჭახლის სოფლებიდან ძეგლში მოხსენიებულია აკრია, ეფრატი, ზედვაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ხერთვისი შემდეგი ფორმით: „ევფრატის შემომწირველთა“, „ზედვაკით შემომწირველთა“, „ჩიქუნეთით შემომწირველთა“, „ჩხუტუნეთით შემომწირველთა“, „ხერთვისით შემომწირველთა“.

მატიანეში რამდენიმე ადგილთა სახელი ამოიკითხება მატიანის ცალკეულ შემწირველთა მოსახსენიებელ სიაში.

მატიანისეული ტოპონიმები იმაზე მიუთითებს, რომ მათ გაუძლეს საუკუნეებს და დღესაც იმ ფორმით მოიხსენიება, რა ფორმითაც ისინი შეტანილია XII-XVII საუკუნეების მოსახსენიებელთა სიაში. ამ გაგებით სოფლები - ეფრატი, ზედვაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ხერთვისი - ხეობის უძველესი ტოპონიმები ანუ გეოგრაფიული სახელებია, რომლებმაც, როგორც ითქვა, დღევანდლამდე შეინარჩუნეს ძველი სახელწოდებანი. ბუნებრივია, ეს სოფლები წინა საუკუნეებშიც აღნიშნული სახელწოდებით უნდა არსებულიყო.

პროცენტულად თუ ვიმსჯელებთ, მატიანის 588 მოსახსენიებლიდან დიდი ნაწილი მაჭახლის ხეობის შემომწირველებზე მოდის. ეს ფაქტი საშუალებას აძლევდა პავლე ინგოროყვას, რომ „ტბეთის სულთა მატიანე“ „მიჭიხიანის ხევის სულთა მატიანედ“ დაესათაურებინა (ინგოროყვა, 1954:96). ამასვე იმეორებდა

იური სიხარულიძე, რომელმაც ჟურნალ „ჭოროხში“ დაბეჭდილ სტატიაში მატიანე „მაჭახლის სულთა მატიანედ“ დაასათაურა (სიხარულიძე, 1961:123). ასე ასათაურებდა მატიანეს, აგრეთვე, საურმაგ კაკაბაძე (Какабадзе, 1967:123).

მატიანის შემდგენელმა და გამომცემელმა თინა ენუქიძემ არ გაიზიარა პავლე ინგოროყვას, იური სიხარულიძისა და სარგის კაკაბაძის მატიანისეული სახელოწოდება („მიჭიხიანის სულთა მატიანე“) და დაასაბუთა, რომ სულთა მატიანეები ხევების (ხეობების) მიხედვით კი არ იწოდებოდა, არამედ იმ ეკლესია-მონასტრების მიხედვით, სადაც იგი იქმნებოდა (ენუქიძე, 1977:11). თ. ენუქიძემ ხსენებული მატიანე ტბეთის ეკლესიაში შექმნილად გამოაცხადა და ამიტომაც უწოდა „ტბეთის სულთა მატიანე“.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა სოფელ ეფრატში ბოლო წლებში ჩაწერილი ცნობა, რომლის მიხედვით, ეფრატის ეკლესიაში ყოფილა ქართული ხელნაწერები, რომლებიც თითქოს ოსმალთა თანხმობით აქედან შავშეთის ტბეთის ეკლესიაში გადაუტანიათ. ამ ხელნაწერთა შორის „ტბეთის სულთა მატიანეც“ სახელდება (გუჯეჯიანი, 2017:96). გამოდის, რომ ეს მატიანეც ეფრატის ეკლესიაში უნდა ყოფილიყო შედგენილი თუ შენახული, რაც დამატებით შემოწმებას საჭიროებს. მაგრამ ეს ექსკურსი არ ცვლის მატიანის მნიშვნელობას მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკის შესწავლაში.

ზედა მაჭახლის თითქმის ყველა სოფლის ბევრი ტოპონიმია შეკრებილი პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ 1990-იანი წლების დამდეგს. ეს ტოპონიმები შესულია მის წიგნში „ჩვენებურების ქართული“. წიგნი პირველი, რომელიც ბათუმში გამოიცა 1993 წელს, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის მიერ. ეს იყო პირველი ცდა თურქეთის სახელმწიფო საზღვრებ-

ში მოქცეული ზედა მაჭახლის ტოპონიმთა შეკრებისა და ბეჭდურ პროდუქციაში ასახვისა.

განსაკუთრებულ შეფასებას იმსახურებს ზედა მაჭახლის სოფელ ქვაბითავის მკვიდრის, ამჟამად პენსიონერი მასწავლებლის ჯელალ შაჰინის (გუნდარიძის) ღვაწლი, რომელმაც სრულყოფილად აღრიცხა ზედა მაჭახლის ყველა სოფელსა (ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ეფრატი, ზედვაკე) და ამ სოფლების საზაფხულო მთა-საძოვრების ტერიტორიაზე (მაღალმთიანი კარჩხალის მთის ზონა) გავრცელებული ტოპონიმები (Şahin, 2000). მის მიერ შეკრებილი ტოპონიმები უცვლელად შევიტანეთ წინამდებარე ნაშრომის იმ ნაწილში, რომელსაც ზედა მაჭახელი ჰქვია. ამით ჩვენ შევბელით შეგვექმნა მაჭახლის ხეობის სრული ტოპონიმიკური ლექსიკონი, რაც პირველად განხორციელდა.

ზედა მაჭახლის ტოპონიმიკური შესწავლის საქმეში აღსანიშნავია ეთნოლოგ როზეტა გუჯეჯიანის წვლილი. იგი, თბილისში მომუშავე სხვა ეთნოლოგებთან ერთად, წლების მანძილზე წარმატებით იკვლევდა ზედა მაჭახლის სოფლებს და აქ ტოპონიმებსაც კრებდა (გუჯეჯიანი, 2017). მაჭახლის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები განხილულია როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომში (თოფჩიშვილი, 2017). აქვე უნდა მოვიხსენიო აჭარის ყოფილი კოოპერაციული ინსტიტუტის უფროსი მასწავლებლის ნაზიბროლა გელაძის ნაშრომის თეზისები, რომლებშიც ზედა მაჭახლის ტოპონიმებია განხილული (გელაძე, 1993:9-10). ზედა მაჭახლის ბევრი ტოპონიმია აღრიცხული როინ მალაყმაძის, ნაილა ჩელებაძის, ელზა ფუტკარაძის, იაშა თანდილავას ნაშრომში „ზედა მაჭახელი“, რომელიც 2019 წელს გამოქვეყნდა.

მაჭახლის ხეობაში გავრცელებული არაერთი ტოპონიმია შესული სხვადასხვა პერიოდის ქართველ და უცხოელ (რუს და

დასავლეთევროპელ) მოგზაურთა ჩანაწერებში, რომლითაც ჩვენ ვისარგებლებთ.

მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკური მონაცემები, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, მნიშვნელოვანი განძია მაჭახლელთა საუკუნეობრივი გონებრივი აზროვნებისა, რომელიც ავსებს და ამდიდრებს ქართულ ტოპონიმიკურ სივრცეს.

ტოპონიმიკის მკვლევართა ნაწილი ზოგჯერ მსჯელობს ტოპონიმების გამძლეობაზე და იმ აზრამდე მიდის, რომ შედარებით დიდხანს ცოცხლობს მაკროტოპონიმები, რომლებსაც ატარებს ქალაქი, ტბა, მდინარე, მსხვილი რეგიონი და ა.შ., მაგრამ, ამავე დროს, მიუთითებენ მიკროტოპონიმებზე (სახნავ-სათესები, ქუჩები და ა.შ.), რომლებიც სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების ზეგავლენით განიცდიან ხშირ ცვალებადობას და ბოლოს დავიწყებასაც კი ეძლევა (ღლონტი, 1971:8).

ამიტომ საერთოდ ტოპონიმების შეკრებას ცალკეული რეგიონების (ხეობა, რაიონი, სოფელი, ქალაქი) მიხედვით ისტორიისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „ტოპონიმიკურ (ადგილთა სახელები) მასალას უპირველესად ენათმეცნიერების დარგი - ტოპონიმია შეისწავლის, მაგრამ ტოპონიმიკური მონაცემები ისტორიისათვის (ისტორიული გეოგრაფიისათვის) ყოვლად აუცილებლად პირველხარისხოვანი წყაროა. ამიტომ, ამა თუ იმ ქვეყნის ადგილთა სახელების შეგროვება-შესწავლით ისტორია ასევე დაინტერესებულია. ადგილთა სახელები გადაშლილი წიგნია, რომელშიც ჩვენს წინაპრებს თავისი თავგადასავალი ცხოვლად ჩაუწერიათ. აქედან ცხადია, თუ რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანია ქვეყნის ტოპონიმიკური მასალის

სრულად და მეცნიერულად შეგროვება და გამოცემა“ (ბერძენიშვილი, 1958:6).

ეთნოგრაფია (ეთნოლოგია) ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი დარგია და მისთვისაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ რეგიონის (ხეობა, რაიონი, სოფელი) ტოპონიმიკური მონაცემების შეკრებასა და შესწავლას, მით უმეტეს, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეგიონების სხვადასხვა პერიოდის შესასწავლად წერილობითი ცნობები ნაკლებად ან სრულებით არ მოგვეპოვება.

ტოპონიმიკური მონაცემები, რომლითაც მდიდარია საქართველო, მისი ყოველი კუთხე, ის გონებრივი სიმდიდრეა, რომელსაც მართლაც გულმოდგინე შესწავლა სჭირდება. ამ საქმეში, ჩვენი წინამორბედების (ვახუშტი ბაგრატიონი, დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, სარგის კაკაბაძე, პავლე ინგოროყვა, გიორგი მელიქიშვილი და სხვ.) კვალდაკვალ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მომდევნო პერიოდის ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა, ფოლკლორისტებმა, ენათმეცნიერებმა, სხვა დაინტერესებულმა პირებმა და მეტად საყურადღებო ნაშრომებიც შექმნეს, რითაც გაამდიდრეს ქართული ტოპონიმიკური კვლევა-ძიება.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომიც მიზნად ისახავს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში შეიწავლოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საქართველოს ისტორიაში ფართოდ ცნობილი რეგიონის - მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკა, რომლის უძველესი ნიმუშები XII-XIII საუკუნეებით თარიღდება და, ამდენად, სიძველით ხასიათდება.

ტოპონიმიკას დედამიწის ენას უწოდებენ. შესაბამისად, ქართული ტოპონიმიკა იმ ქართული „მიწა-წყლის ენაა“, რო-

მელშიც ასახულია ქვეყნის წარსულის ბევრი ნიშანდობლივი ისტორიული რეალია. ტოპონიმიკის გარეშე ძნელია პასუხი გავცეთ ისტორიული გეოგრაფიის საკითხების სრულყოფილ შესწავლასა და ანალიზს. ტოპონიმებში ასახულია ადამიანთა შემოქმედებითი ნიჭი და გონებამახვილობა და ამიტომაც იგი ადამიანის განუყრელი თანამგზავრია. ტოპონიმების გარეშე შეუძლებელია ისტორიული პროცესების სრულყოფილად გაშუქება. ამ აზრით, ტოპონიმები მეცნიერული კვლევის საქმეში დამოუკიდებელ მნიშვნელობასაც იძენს.

მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკურ აღწერა-დახასიათებამდე გვინდა დაინტერესებულ მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია მის ისტორიულ-გეოგრაფიულ წარსულზე, რომელიც პირველ თავში განიხილება. მეორე-მესამე თავებში აისახება ხეობაში გავრცელებული ტოპონიმები. პირველად განხილული იქნება ქვედა მაჭახლის, შემდეგ ზედა მაჭახლის ტოპონიმიკური მონაცემები სოფლებისა და სოფლის ცალკეული დასახლებული უბნების მიხედვით.

დასასრულ, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ინტერესით ეკიდებოდა და გვეხმარებოდა ტოპონიმთა ჩაწერასა და ნაწილობრივ მათ ეტიმოლოგიურ ახსნაში. ესენი არიან სხვადასხვა ასაკისა (მათ შორის, 80-90 წელს გადაცილებულები) და სქესის წარმომადგენლები: მოსწავლეები, სტუდენტები, პედაგოგები, სოფლად მომუშავე პასუხისმგებელი პირები, მეურნეები. ვცდილობდით, ტოპონიმები ჩაგვეწერა დიალექტური ფორმების დაცვით, როგორც ჩვენმა ინფორმატორებმა მოგვაწოდეს. ამა თუ იმ სოფლის ტოპონიმები ყოველთვის მოწმდებოდა და ზუსტდებოდა სახელწოდებებისა და სისრულის თვალსაზრისით. თუ ამ მხრივ მაინც ნაკლული აღმოჩნდება წიგნში შეტანილ ტოპონიმთა სია და დაინტერესებულ მკითხ-

ველთა მიერ რაიმე სახის შენიშვნაც გაჩნდება, ავტორი მას მადლიერების გრძნობით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში. ავტორი დარწმუნებულია, რომ თავისი ნაშრომით მან მთავარ მიზანს და ამოცანას მიაღწია, რადგან ამით შთამომავლობას შემოუნახა ის ტოპონიმიკური სიმდიდრე, განსაკუთრებით - მიკროტოპონიმები, რომლებიც, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, დროთა ვითარებაში შეიძლება მართლაც დავიწყებისა და გაქრობის წინაშე დადგეს.

თავი პირველი

მაჭახლის ხეობის ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური დახასიათება

დღეისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება შესაბამისი ცნობები წერილობითი წყაროების სახით, რომლითაც შეიძლებოდა აღგვედგინა მაჭახლის ხეობის ისტორია უძველესი პერიოდიდან, ვიდრე შუა საუკუნეებამდე და დაგვედგინა მისი სახელწოდება.[1] უეჭველია, რომ დღევანდელი მაჭახლის ხეობის ტერიტორიაზე ადამიანი უხსოვარი დროიდან სახლობდა. მისი შორეული წარსული მჭიდროდაა დაკავშირებული ჭოროხის აუზისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველეს წარსულთან.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა დღევანდელი მაჭახლის ტერიტორიაზე ძველი მეტალოგენური განძებისა (კახიძე ა, 2019) და ხეობის მეზობელ სოფელ გვარას მიდამოებში კოლხური ბრინჯაოს ცულის არსებობა. იგი მაღალმხატვრულად დამუშავებული ძველკოლხური ცულების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, რომელსაც ანალოგები ეძებნება დიდაჭარის, საღორეთის, კირნათის, ერგეს, ზემო ჯოჭოსა და სხვაგან აღმოჩენილ ცულებთან და თარიღდება ზოგადად ჩვენს ერამდე XIII-XII საუკუნეებით (კახიძე, 2007:37).

ადმინისტრაციულ-ისტორიული და სავაჭრო-ეკონომიკური და გეოგრაფიული თვალსაზრისით, მაჭახლის ხეობა უნდა განვიხილოთ აჭარის შემადგენელ ნაწილად, იმ აჭარისა, რომელიც, სამცხესთან ერთად, ქართული ტრადიციის თანახმად, ქართლის სამეფოს ძლიერების ხანაში (ძვ.წ. III საუკუნე), ფარნავაზის მეფობის დროს, ამ სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოდ ითვლებოდა (მელიქიშვილი, 1970:455). ასე იყო მოგვიანებით, ფარსმან მეო-

რის დროსაც, როდესაც ეს საერისთავო, ზღვისპირა ზოლის გამოკლებით, კლარჯეთთან ერთად ქართლის სამეფოში შედიოდა (მელიქიშვილი, 1970:526). ადრეფეოდალურ ხანაში მაჭახელი ჯერ კლარჯეთის საერისთავოს, მოგვიანებით კი - შავშეთ-არტაანის საერისთავოში, გაერთიანების ხანიდან ჯერ ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა გამგებლობაშია, ხოლო XVII საუკუნის მიწურულს, როდესაც ესენი შავშეთს კარგავენ, მას გუბაზ აბულასანისძე ეუფლება. გვიანფეოდალურ ხანაში, მაჭახელიც, აჭარასთან, შავშეთთან ერთად, სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილია, რომელიც შემდეგ ოსმალეთმა დაიპყრო (სიხარულიძე, 1958: 28).

ერთ-ერთი ადრინდელი წერილობითი ცნობა, რომელიც ყურადღებას იქცევს მაჭახლის ხეობისა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების ისტორიული გეოგრაფიის, საგვარეულოთა ისტორიისა და ონომასტიკონის შესწავლაში, არის „ტბეთის სულთა მატიანე", რომელიც XII-XVII საუკუნეებშია შედგენილი.*

„ტბეთის სულთა მატიანეში" მაჭახელი არ მოიხსენიება, მაგრამ მასში შესულია მაშინდელი მაჭახლის ანუ მიჭიხიანის ოთხი სოფელი (ხერთვისი, ეფრატი, ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი) და

---

* ეს წერილობითი ძეგლი, სხვა სამ ისტორიულ საბუთთან ერთად, შავშეთის ტბეთში აღმოუჩენია 1874 წელს ცნობილ ქართველ მოგზაურს, სამხედრო პირს, ისტორიკოსსა და სხვა დარგის მკვლევარს გიორგი ყაზბეგს. მას ეს ხელნაწერი გადაუცია დიმიტრი ბაქრაძისთვის, რომელმაც იგი მოკლედ პირველმა აღწერა (ბაქრაძე, 1987:166). დ. ბაქრაძეს ხელნაწერი შემდეგ გადაუცია ფრანგი ორიენტალისტ მარი ბროსესათვის, რომლის მეშვეობით, სხვა კოლექციებთან ერთად, მოხვედრილა სანკტ-პეტერბურგის სააზიო მუზეუმში, სადაც დღემდე ინახება. ძეგლი შემდეგ მეცნიერულად შეისწავლა და 1977 წელს კომენტარებითა და შენიშვნებით წიგნად გამოსცა ძველ ქართულ ხელნაწერთა მცოდნემ თინა ენუქიძემ.

იმ მაჭახლელ პირთა გვარ-სახელები, ვინც სულის მოსახსენიებლად ტბეთის ეკლესიაში დადიოდნენ. გვარ-სახელები ხშირ შემთხვევაში მოხსენიებულია საცხოვრებელი ადგილისა და ოჯახის წევრთა დასახელებით. ამ მონაცემებს დამოუკიდებელი მეცნიერული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო შუა საუკუნის მაჭახლის ხეობის, არამედ, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეთა ისტორიულ-გეოგრაფიულ შესწავლაში (კახიძე, 2013).

შემდეგი წერილობითი წყარო, რომელშიც მაჭახელი მოიხსენიება, არის სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამრევლოების (სამწყსოების) აღწერილობა, რომელიც XVI საუკუნის დამდეგით თარიღდება. აქ მაჭახელი მიჭიხიანის სახელწოდებით სახელდება შავშეთთან ერთად, რომელიც შედიოდა მტბევარის (ტბეთის) სამწყსოს იურისდიქციაში, ამავე სამწყსოში შედიოდა „დანდალოს ზეითი აჭარა“, „დანდალოს ქვეითი აჭარა“ კი ქუთაისის სამწყსოს ეკუთვნოდა (ჟურნ. „ცისკარი“, 1871:4; ჟორდანია, 1897:53; ბაქრაძე, 1987:77).

აღწერილობიდან არ ჩანს, მტბევარის სამწყსოში მთლიანად მაჭახელი (მიჭიხიანი) შედიოდა თუ მისი ზედა ნაწილი, რომელიც 6 სოფელს მოიცავდა (ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ეფრატი, ზედვაკე). მაგრამ უფრო ივარაუდება, რომ ამ სამწყსოში ქვედა მაჭახელიც შედიოდა, რომელიც ისტორიულად მოიცავდა შემდეგ სოფლებს: გორგაძეთი, საფუტკრეთი, ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ცხემლარა, სკურდიდი, აჭარისაღმართი, ქედქედი, ჭანივრი, სინდიეთი. ჩხუტუნეთი მაშინ არ იყო გაყოფილი ზედა და ქვედა ჩხუტუნეთად. ეს გაყოფა გვიან მომხდარა (იხ.: შენიშვნებში „ქვედა მაჭახელი“).

სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა აღწერილობა არ გამოდგება იმის საბუთად, რომ მაჭახელი ადმინისტრაციულ-ტე-

რიტორიული დაყოფითაც ყოველთვის შავშეთის შემადგენელი ტერიტორიული ერთეული იყო. უნდა ითქვას, რომ მაჭახლის მტბევარის (ტბეთის) სამწყსოში შავშეთის შემადგენელ მაწილად არსებობას საფუძვლად დაედო რელიგიური დაყოფა და არა ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპი. ამავე დროს, არ გვაქვს პასუხი კითხვაზე, თუ რატომაა მოხსენიებული მაჭახელი „დანდალოს ზეით აჭარასთან" ერთად მტბევარის (ტბეთის) სამწყსოში. მით უმეტეს, რომ ჩვენ მოგვეპოვება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა სია, რომელშიც სამცხის 19 ეპარქიათა შორის მეორედ ევფრატის (ეფრატის) ეპარქიაა დასახელებული, წმ. ღვთისმშობლის ტაძრით (პირველ ადგილზე კი სხალთის ეპარქია სახელდება (დიასამიძე, 1917:26)). აღსანიშნავია ისიც, რომ ეფრატის ეკლესია მაჭახლის დედაეკლესიად არის მიჩნეული და მისი აშენება, ქართული ტრადიციის თანახმად, თამარ მეფის მაჭახელში ყოფნას უკავშირდება, სადაც მას საზაფხულო რეზიდენციაც ჰქონია (წერეთელი, 1878; კახიძე, 2011; 2014). დავით წერეთლისათვის ზედა მაჭახელში მოგზაურობის დროს (იგი მაჭახლის საპოლიციო უბნის უფროსი იყო 1878-1881 წლებში) უთქვამთ: „ეს ქვეყანა (მაჭახელი - ნ.კ.) იყო თამარ მეფის რეზიდენცია გაჭირვების დროსო" (წერეთელი, 1878). ისმება კითხვა: თუ ეფრატის ცალკე ეპარქია არებობდა (ეფრატი მაჭახლის შავშეთის მოსაზღვრე სოფელია), მაშინ რატომ უნდა ყოფილიყო მაჭახელი შავშეთთან ერთად მტბევარის (ტბეთის) სამწყსოში შემავალი ერთეული? საკითხი ცალკე კვლევასა და დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენ კი სრულად ვეთანხმებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ცნობილ ეთნოლოგს როლანდ თოფჩიშვილს, რომელიც წერს: „მაჭახლის ტბეთის ეპარქიის შემადგენლობაში არსებობა არაა იმის არგუმენტი, რათა ის შავშეთის იტორიულ-

ეთნოგრაფიული მხარის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ“ (თოფჩიშვილი, 2017:67). აქ უნდა მოვიშველიოთ ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯიფორდ პალგრევის გამონათქვამი, რომ „მაჭახელი გეოგრაფიულად აჭარის ნაწილს შეადგენდა“ (პალგრევი, 2012:61).

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მძიმე პერიოდი დადგა სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, ოსმალებმა თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, ლაზეთი, აჭარა-მაჭახელი. მიტაცებული ტერიტორიები ოსმალებმა სანჯაყებად (ოლქებად), სანჯაყები კი - ყაზებად (მაზრებად) და ნაჰიებად (თემებად) დაყვეს.

ოსმალური წყაროების მიხედვით, მაჭახელიც თავდაპირველად ცალკე სანჯაყს წარმოადგენდა, რასაც წინ უსწრებდა ბრძოლები მაშინდელი მაჭახლის აზნაურებსა და ტრაპიზონის ფაშას _ მუსტაფას შორის. 1550 წლის 8 დეკემბერს (ჰიჯრით, 957 წელი) ფაშას ლაშქარი გამოუგზავნია მაჭახლელთა დასამორჩილებლად, დაუნგრევია ვინმე თავადი ჯალაბასა და სპირიდონისძეების მიწაზე მდებარე ოთხი ციხესიმაგრე და ამოუწყვეტიათ ამ ციხეებში მყოფი თავად-აზნაურები. გამოუვალი მდგომარეობის გამო, სპირიდონისძეებს შემდეგ ისლამი მიუღიათ. ერთ-ერთ მათგანს, სპირიდონ-ბეგის ძეს იოსებითს (იოსები?), აჰმედი შეარქვეს. იგი მაჭახლის პირველი სანჯაყ-ბეგი გამხდარა. სანჯაყ-ბეგებად სახელდებიან, აგრეთვე, მისი ძმები - მეჰმედი, მაჰმუდი და სეფერ-ბეგი, რომლებიც მაჭახელსა და შავშეთ-იმერხევს განაგებდნენ. არსებობს 1573 წლის 26 ივლისით დათარიღებული ცნობაც, რომლის მიხედვითაც, მაჭახელი ამ დროსაც ოსმალეთის სანჯაყად მოიხსენიება. 1576 წლის ცნობით კი მაჭახელი არზრუმის საბეგლარბეგოს შემადგენლობაშია და მას კვლავ აჰმედ ბეგი მართავს. ამ ცნობის საფუძველზე თვლი-

ან, რომ ეს წლები უნდა მივიჩნიოთ ოსმალთა მიერ მაჭახლის ხეობის ინკორპორაციის თარიღად. XVII საუკუნის 30-იან წლებში მაჭახლის სანჯაყი ჩილდირის საფაშოს შემადგენლობაშია, რომელიც 1579 წელს დაარსდა (შაშიკაძე, 2007:1).

თურქი ისტორიკოსის ევლია ჩელების (1611-1683) ცნობით, XVII საუკუნის 40-იან წლებშიც მაჭახელი სანჯაყად იწოდებოდა და ადმინისტრაციულად ისევ ჩილდირის (ახალციხის) საფაშოში შედიოდა (ჩელები, 1971:299), რომელიც სამცხე-საათაბაგოს ძირითად ტერიტორიას მოიცავდა.

XIX საუკუნის 20-იან წლებში მაჭახელი მერვე სანჯაყად იხსენიება ამავე საფაშოში, როდესაც ადრიანეპოლის ზავის (1829 წელი) შედეგად, ჩილდირის საფაშოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი რუსეთმა შეიერთა და საფაშოც გაუქმდა. თურქეთის მფლობელობაში დარჩენილი სხვა მხარეები ტრაპიზონისა და ერზერუმის საფაშოში გადანაწილდა. მაჭახელი ლივანასთან, არქავესთან, ჭანეთთან, სამცხის სხვა ნაწილებთან ერთად, ტრაპიზონის ვილაიეთში გაერთიანდა ლივანას ყაზაში შემავალი ნაჰიეს სახით. მაჭახლის ნაჰიეში შემავალი სოფლები მდ. მაჭახელას და მისი შენაკადების ორივე მხარეს მდებარეობდა. აღმოსავლეთით მას შავშეთის, სამხრეთით - ლივანას, ჩრდილოეთით ქვედა აჭარის, დასავლეთით გონიოს ნაჰიები ესაზღვრებოდა (ცინცაძე, 1980:70).

ოსმალეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მოგვიანებით ცვლილებები მოხდა. ოსმალთა ბატონობის ბოლო წლებში მაჭახელი ლაზისტანის სანჯაყში გააერთიანეს, როგორც ყაზა. ამ სანჯაყში კიდევ ათი ყაზა შედიოდა (ბათუმი, ზედა აჭარა, ქვედა აჭარა, ჩურუქ-სუ, ლივანა, გონიო, ხოფა, არქაბე, ხემშინი, ათინა) (ბაქრაძე, 1987:24).

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად განთავისუფლებული და დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (დღევანდელი აჭარა, შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, ლაზეთი), ახალი ადმინისტრაციული დაყოფით, ბათუმის ოლქად გარდაიქმნა. ოლქი ოკრუგებად დაიყო. მაჭახელი, ქვემო და ზემო აჭარა აჭარის ოკრუგში შემავალ უბნებად („უჩასტკებად") გამოცხადდა.

მაჭახლის საპოლიციო უბნის უფროსი 1878-1881 წლებში იყო აკაკი წერეთლის უფროსი ძმა, სამხედრო პირი დავით წერეთელი (1832-1902). 1878-1879 წლებში იგი იმდროინდელ გაზეთ „დროებაში" აქვეყნებდა წერილებს მაჭახლის ხეობაზე, რითაც მან ერთ-ერთმა პირველმა გააცნო მაჭახლის და მაჭახლელთა ყოფა-ცხოვრება ქართველ საზოგადოებას. მანამდე კი მაჭახლის ხეობა ნაკლებად ცნობილი იყო საზოგადოებისათვის. „მაჭახელა სრულიად უცნობი არის ჩვენი ქვეყნისთვის და მთელი ევროპისთვის", - წერდა იგი. აქვე გულისტკივილით შენიშნავდა, რომ მაჭახელი მანამდე არსებულ რუკებზეც არ იყო აღნიშნული. მან ძალზე მოხდენილად შეაფასა მაჭახლის ხეობის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, როდესაც თქვა: „ეს პატარა მაჭახელი არის ცოცხალი ისტორია საქართველოსი" (წერეთელი, 1878).

ოსმალთა ბატონობის ბოლო პერიოდსა და შემდგომაც, ამ ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ, მაჭახლის თემში შედიოდა როგორც საკუთრივ მაჭახლის ხეობის სოფლები (სინდიეთი, ჭანივრი, ქედქედი, აჭარისაღმართი, სკურდიდი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი, ზედა ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ზედვაკე, ეფრატი), ასევე, მეზობელი აჭარისწყლის ხეო-

ბისა (მაღლაკონი, ქვედა ხერთვისი, ჭალახმელა, უჩხითი, ნამლისევი, მილისი) და ჭოროხის ხეობის (მაჭახლისპირი, გვარა, კობალეთი, კირნათი) სოფლები (წერეთელი, 1878). XX საუკუნის 20-იანი წლებიდან აჭარისწყლის ხეობის მითითებული სოფლები ქედის რაიონის მახუნცეთის სასოფლო საბჭოს (თემს) შეუერთდა, ჭოროხის ხეობის სოფლები კი ბათუმის (ახლანდელი ხელვაჩაური) რაიონის კირნათის სასოფლო საბჭოს, ანუ დღევანდელი კირნათის თემს.

დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნებული ჭოროხის აუზისა და მისი მიმდებარე მხარეების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა ძირითადად თურქეთის ბატონობისდროინდელ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დანაწილებას ემთხვეოდა. ასე იყო კერძოდ ბათუმის ოლქის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის შემთხვევაში, როდესაც ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი უბნების უმეტესობა ადრე არსებულ თურქულ ადმინისტრაციულ ერთეულებს შეესაბამებოდა. სახელდობრ: ზემო აჭარის უბანი ზემო აჭარის ნაჰიეს ტერიტორიას დაემთხვა, ქვემო აჭარის უბანი - ქვემო აჭარის ნაჰიეს, მაჭახლის უბანი - მაჭახლის ნაჰიეს (ცინცაძე, 1980:80-81). განსხვავება თურქულ და რუსულ ადმინისტრაციულ დაყოფაში იმით გამოიხატებოდა, რომ მაჭახლის ხეობა, რომელიც ადრე ლივანას კაზაში შედიოდა, ახლა აჭარის ოკრუგს გადაეცა (ცინცაძე, 1980: 81).

ამგვარი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა 1878 წლიდან 1883 წლამდე არსებობდა. ამ წელს გაუქმდა ბათუმის ოლქი და მისი ტერიტორია ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგების სახით. თავის მხრივ, ბათუმის ოკრუგი ოთხ უბნად (გონიო, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, კინტრიში) დაიყო (ცინცაძე, 1980:83).

შემდგომ, შექმნილი სიტუაციის გამო, რაც დაკავშირებული იყო 1878-1883 წლებში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ოსმალეთში გადასახლებასთან, ისტორიაში მუჰაჯირობის სახელწოდებით რომ არის შესული და რომელსაც მოჰყვა მოსახლეობის შემცირება, რუსეთის ადმინისტრაცია იძულებული გახდა განეხორციელებინა ადმინისტრაციული ერთეულების (უბნების) გამსხვილება მათი შეერთების გზით (ლისოვსკი, 1914:45-46). ამის შედეგად გაუქმდა მაჭახლის უბანიც და იგი ქვედა აჭარის უბანს შეუერთეს. ასევე მოხდა სხვა უბნების სინამდვილეშიც. მაგალითად, ბათუმისა და კინტრიშის უბნები კინტრიშის უბნად გარდაიქმნა (ცინცაძე, 1980:84).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებები მოხდა 1900 წლის 22 ივლისის დებულებით, რომლის შედეგად, ქუთაისის გუბერნიის ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში შეიქმნა სასოფლო საზოგადოებანი და სამმართველოები (ცინცაძე, 1980:85). შესაბამისად, ქვემო აჭარის საპოლიციო უბანიც ქედის, ხერთვისისა და ცხმორისის სასოფლო საზოგადოებებად დაიყო. ხერთვისის საზოგადოებაში შევიდა ახლა უკვე ყოფილი მაჭახლის უბნის ზემოთ დასახელებული 26 სოფელი, რომელთა შორის 15 სოფელი ისტორიულად ეკუთვნოდა (ქედქედი, ჭანივრი, სინდიეთი, აჭარისაღმართი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი, ზედა ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ეფრატი, ზედვაკე) და დანარჩენი მაჭახლის უბანზე შემდეგ მიწერილი სოფლები (ქვედა ხერთვისი, გვარა, კიბე, კაპნისთავი, მაღლაკონი, კირნათი, კობალეთი, მილისი, უჩხითი, ნამლისევი, ჭალახმელა) (ცინცაძე, 1980:100). ასეთი დაყოფა მაჭახლის საპოლიციო უბნისა 1930 წლებამდე არსებობდა. სამამასახლისოები, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ

არჩეული მამასახლისები განაგებდნენ, შემდეგ თემებად გარდაიქმნა.

მაჭახლის ხეობის, ისე როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების ბედი, რომლებიც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა, კვლავ უკუღმართად წარიმართა 1921 წლიდან. ხეობის ზედა ნაწილი (ზედა მაჭახელი) 6 სოფლით (ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითვი, ეფრატი, ზედვაკე) კვლავ თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში (ართვინის ვილაიეთი, ბორჩხის რაიონი) მოექცა. ხეობის ქვედა ნაწილი (ქვედა მაჭახელი) სოფლებით: საფუტკრეთი, გორგაძეთი, ზედა ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ცხემლარა, სკურდიდი, აჭარისაღმართი, ჭანივრი, სინდიეთი, ქედქედი, ახალი ადმინისტრაციული დაყოფით, ბათუმს (შემდეგში - ხელვაჩაურის) რაიონს მიეკუთვნა. ამ სოფლების ბაზაზე შეიქმნა აჭარისაღმართის სასოფლო საბჭო, ანუ დღევანდელი აჭარისაღმართის თემი.

თავი მეორე

მაჭახლის ხეობის მოკლე ტოპონიმიკური მიმოხილვა

ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ ერთგვარი დაღი დაასვა მაჭახლის ხეობისა და საერთოდ აჭარის წარსულ ისტორიას, მის ყოფასა და კულტურას. თუმცა, მასზე არსებითი გავლენა ვერ მოახდინა. ოსმალური წესებისა და ენის გავრცელებამ ვერ შეცვალა ზოგადქართული მაჭახლურ-აჭარული კილოკავის თავისებურებანი, იგივე დარჩა გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი (ნიჟარაძე, 1961:155). ასევე უნდა ითქვას გეოგრაფიული სახელების (ტოპონიმების) შესახებ. ძირითადად იგივე დარჩა ამ რიგის სახელები და მისი წარმოება. თუ რამე შეიცვალა ტოპონიმიკაში, ისიც ძალზე მცირედ და უმნიშვნელოდ. ეს ცვლილება მხოლოდ მიკრო და ჰიბრიდული წარმოშობის ტოპონიმებში აისახა. სპეციალური გამოკვლევით, მარტო ბათუმის (შემდეგ - ხელვაჩაურის) რაიონის, ანუ დღევანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თურქული წარმოშობის მიკროტოპონიმები შეადგენს 5,8%-ს, ჰიბრიდული წარმოშობისა კი 2,3%-ს. ასევე უნდა ითქვას დღევანდელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესახებ. ეს პროცენტული მაჩვენებელი უფრო მცირეა და, შესაბამისად, შეადგენს 0,34 და 0,7 პროცენტს (Партенадзе, 1964:102).

ზოგადად თუ შევაფასებთ, მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკურ სახელთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ისეთივეა, როგორიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის გეოგრაფიული სახელებისთვისაა დამახასიათებელი. იგი ავსებს და ამდიდრებს ქართულ ტოპონიმიკურ სივრცეს, კერძოდ, ხეობის ტოპონიმიკაში კარგა-

დაა ასახული რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი, მრავალდარგოვანი მიწათმოქმედება-მემინდვრეობა, ხელოსნობა და შინამრეწველობა, ისტორიული, რელიგიური (ქრისტიანული და მუსლიმანური) და სხვა ასპექტები.

პირველ რიგში და უმთავრესად განსაკუთრებულ შეფასებას იმსახურებს მიწათმოქმედება-მემინდვრეობასთან დაკავშირებული ტოპონიმები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევს იმ გარდასული მინდვრის მარცვლეული კულტურების არსებობასა და მოვლა-მოყვანაზე, რომლებიც წინ უსწრებდა სიმინდის კულტურის გავრცელებას და მის გაბატონებულ მარცვლეულ კულტურად გადაქცევას. ამ რიგის ტოპონიმებია: ნაფეტვარა, ნაასლევი, ნაღომვარი, ნაჭვავარი, ნაქერვალა, ნაპურვალა, ნაკანაფვარი, ნასელვარი. ფეტვი, ასლი, ღომი, ჭვავი, ქერი, პური ადრინდელი მარცვლეული საკვები კულტურები იყო. ამათგან, ხეობის სინამდვილეში უძველესია ფეტვი და ასლი, რომლის მოვლა-მოყვანის შესახებ მოსახლეობაში მხოლოდ გადმოცემები შემორჩა. ტოპონიმები ნამახვარი/ნამოხვარი (სოფელი ქედქედი) გვაუწყებენ, რომ მაჭახლის ხეობაში მოჰყავდათ პურეული მახა, რომელიც საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის ენდემურია და დასავლეთ საქართველოს გარდა, სხვაგან მას არ იცნობდნენ. ამ ტოპონიმის არსებობა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მაჭახლის ხეობა ამ ენდემური პურეულის ერთ-ერთი კერა იყო. მახას, როგორც ენდემური პურეულის, არსებობა დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე ნეოლითის ხანიდან ივარაუდება (კახიძე, 1966:102). ეთნოგრაფიული მასალების ჩაწერის დროს მახას არსებობა დადასტურდა სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, რომლის მეორე სახელწოდებად ხასი პური დასახელდა (კახიძე, 1966:101). ხოლო სოფელ ჭანივრში ჩაწერილ იქნა ტოპონიმი - ნამოხვარი, რომელიც მახა პურის აღმ-

ნიშვნელი ლაზური ფორმაა. მაჭახლის ხეობის გარდა, ამ პურეულის არსებობა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშარიძეებშიც დამოწმდა (კახიძე, 1966:102).

იშვიათი ტოპონიმების რიცხვს ეკუთვნის საძიგვლიანი (სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი). ეს არის ადგილი, სადაც საძიგველი, ანუ ქვის საცეხველი არსებობს. გადმოცემით, ამ ადგილას ადრე რამდენიმე კომლი სახლობდა და საძიგველიც მათი საკუთრება ყოფილა. მსგავსი ქვის საცეხველები ზედა ჩხუტუნეთის დასახლებულ უბანში - ცხადიეთშიც არსებობს და სხვაგანაც, მაგრამ ადგილის სახელი ტოპონიმად არ ქცეულა. მაჭახლის ხეობაში გავრცელებული ქვის საცეხველები მხოლოდ ფეხისა იყო. საცეხველების ეს სახე ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, ხელისა და წყლის საცეხველების გვერდით. მაჭახლის ხეობაში იშვიათი იყო ოჯახი თუ მონათესავე ოჯახები, რომელსაც ასეთი ქვის საცეხველები არ ჰქონოდა (კახიძე, 1966:105). ტოპონიმი საძიგვლიანი იმის დასტურია, რომ მაჭახლის ხეობა მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო.

მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანასთანაა დაკავშირებული ტოპონიმები - უყვი, ნაუყარი, უყვის ყანა. მაჭახლის ხეობელთა განმარტებით, ეს ტოპონიმი რამდენიმე წელიწადს მიტოვებული სახნავ-სათესი ადგილის აღმნიშვნელია. გაოცებას იწვევს ტოპონიმების - უყვისა და ნაუყვარას არსებობა სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, სადაც ეს ტოპონიმები დღეს სოფლიდან დაშორებით, ტყის ზონაშია მოქცეული. როგორც ჩანს, სახნავ-სათესი სავარგულების სიმცირის პირობებში, მოსახლეობა იძულებული იყო სოფლიდან დაშორებული ადგილებიც სახნავ-სათესად აეთვისებინა. ანალოგიური შინაარსისაა ტოპონიმი მო-

დული, რომელიც დიდი ხნით მიტოვებული სახნავ-სათესი ადგილის აღმნიშვნელია.

შედარებით ფართოდაა გავრცელებული ღომის მოყვანასთან დაკავშირებული ტოპონიმები ნაღომვარის სახელწოდებით, რაც წარსულში ამ მარცვლეულის დიდი სამეურნეო მნიშვნელობით აიხსნება.

ტოპონიმიკაში ფეიქრული წარმოება, სამოსის დამზადების ტრადიციაც აისახა, რომელიც მაჭახლის ხეობაში მაღალ დონეზე იდგა. ამასთანაა დაკავშირებული ტოპონიმები - ნასელვარი, ნაკანაფევი, სარცხელი.

კანაფი, მატყლთან, აბრეშუმთან, შემოტანილ ბამბასთან ერთად, ის ნედლეული იყო, რომელიც მოსახლეობის ტანსაცმლით უზრუნველყოფას ხმარდებოდა. ტოპონიმი სარცხელი კი იმ ადგილზე მიუთითებს, სადაც სელ-კანაფის ქსოვილი, ანუ ტილო, მატყლის და ბამბის ქსოვილები ცხელ წყალში ირეცხებოდა და მზეზე შრებოდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ტოპონიმად მიგვაჩნია ოროკი (იხმარება მრავლობითშიც: ოროკები), რომელიც ფერდობი ადგილის დატერასების, ანუ „ბაქან-ბაქანად მოვაკებული ადგილის“ აღმნიშვნელია, როგორც ეს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშია განმარტებული (საბა, 1949). ამდენად, ოროკი ნიადაგის ზედაპირის დატერასებული ადგილის აღმნიშვნელი ძველი ქართული სახელწოდებაა. ასეთი ოროკებიანი, ანუ დატერასებული ადგილები ხეობაში ბევრია, მაგრამ იგი ტოპონიმის სახით მხოლოდ სოფელ ზედა ჩხუტუნეთში გვხვდება.

ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გამოიყოფა ტოპონიმები ბარისა და ზეგანის სახელწოდებით. ხალხური დახასიათებით, ბარი (გვხვდება მრავლობით ფორმაშიც - ბარების სახით) დაბალი და თბილი ადგილია, სადაც თოვლი გვიან და

ცოტა რაოდენობით მოდის და ადრე შრება. ზეგანი კი მაღალი ადგილია, მთის ძირია, სადაც თოვლი ადრე და დიდი რაოდენობით მოდის და გვიანობამდე რჩება. ზეგანის ხალხური განმარტება მხარს უჭერს საბასეულ განმარტებას: „ზეგანი მთაბარობის საშუალი“.

ცალკე გამოიყოფა ნიადაგების რაგვარობა-თვისების გამომხატველი ტოპონიმები, რომლებიც ნიადაგებს განასხვავებს ფერის, შედგენილობის, წყლის მოქმედების შედეგად შეძენილი ნიშან-თვისების მიხედვით. ასეთ ტოპონიმებს განეკუთვნება: წითელმიწა, გოხინავი, ჭონჭყო, კორტოხათი, ქვიტივი, ტალახური, ხორგიანი და ა.შ. კორტახათის (ადგილი ზედა ჩხუტუნეთში) სახელწოდება კორტოხიდან მოდის, რაც მაღალ და ქვა-ღორღიან, გორაკიან ადგილს აღნიშნავს (ნიჟარაძე, 1971:231). საინტერესოა ტოპონიმი ქვიტივი, რომელიც სოფელ ხერთვისის ერთერთი დასახლებული უბანი იყო. მისი წარმომავლობის შესახებ ხალხური ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. მაგრამ ქვიტივის ადგილმდებარეობის ნიადაგურ ხალხურ დახასიათებას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ სხვა შედარებითი მონაცემების საფუძველზე მისი სახელწოდებაც გარკვეულია. ხალხური დახასიათებით, ქვიტივის ნიადაგები რბილი, ფხვიერი, ცარა, სილიანი და თირი მიწაა. ასეთი ნიადაგები მარცვლეულის სიუხვითაც გამოირჩევა. ამ დახასიათებაში ყურადღებას იქცევს ტერმინი თირი. ივანე ჯავახიშვილი სწორედ ასეთ „თირში“ ეძებდა საგეოგრაფო სახელის ქვიტირის (იმერეთი) სახელწოდების ახსნას (ჯავახიშვილი, 1930:123). შესაძლებელია, ტოპონიმ ქვიტივსაც ასეთივე ახსნა მოეძებნოს (კახიძე, 1966:111).

ძალზე მნიშვნელოვანია მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ტოპონიმები. მევენახეობის ამსახველი ტოპონიმები მაღლარი ვაზის არსებობას უკავშირდება. ასეთებია, მაგა-

ლითად, ვენახნარი, მენახნარი, ჩხავნარი (სოფლები ზედა და ქვედა ჩხუტუნეთი). ვენახი ხალხურ ლექსიკაში მენახის ფორმითაც მოიხსენიება. ტოპონიმი ჩხავნარი კი პირდაპირ ჩხაველა ჯიშის ვაზის არსებობას უკავშირდება, რომელიც ვაზის ჯიშებს შორის ერთ-ერთი უძველესია და მოსავლიანობითაც გამოირჩეოდა. სოფელ აჭარისაღმართში (კოპლაძეების დასახლებული უბანი), 97 წლის მუხამედ კოპლაძის გადმოცემით (ჩაწერილია 1964 წელს), ძველად ერთი ლეკის ხე (ჩხავერი ძირითადად ლეკის ხეზე იყო მიშვებული - ნ.კ.) იმდენ ჩხავერს ისხამდა, რომ ერთი კაცი ორი დღის განმავლობაში ძლივს ახერხებდა მოკრეფას (კახიძე, 1966:112). ტოპონიმები ვენახნარი//მენახნარი იმაზე მიუთითებს, რომ ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში ვენახით გაშენებული ადგილები გავერანდა, ნავენახარ//მენახნარად იქცა და გეოგრაფიულ ადგილებად დამკვიდრდა (კახიძე, 1966:112).

მაღლარი ვაზის არსებობას უკავშირდება ტოპონიმი დობირო, რომელიც სოფელ ზედა ჩხუტუნეთში ცხადიეთის უბნის ტერიტორიაზე მდებარეობს. როგორც ტერმინი, დობირო სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს ბაბილოსი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მაღალი ვენახი“ (საბა, 1949:42). ბაბილოს მეორენაირად „დობილოც“ რქმევია (ჯავახიშვილი, 1986:322). ტოპონიმი დობირო, მაჭახლის ხეობის გარდა, აჭარის სხვა სოფლებშიც ფიქსირდება.

ყველაზე მრავლადაა წარმოდგენილი მეხილეობასთან დაკავშირებული ტოპონიმები. თითქმის არ არსებობს ხილის ჯიში, რომელიც გეოგრაფიულ სახელებში არ იყოს ასახული. ასეთებია: ვაშლიანი, სხლიანი, ვაშლი ყანა, ბალვანა, ტყემლიანი, ნიგვზნარი, ხუმრები, წყავნარა, ქილიავნარი, ზღმარტლი ძირი და ა. შ. ასევე, დიდი რაოდენობით გვხვდება ფლორის ამსახვე-

ლი ტოპონიმები: დიდთელიანი, ცაცხვები ვაკე, ცხემლები, წიფლნარი, საბილანცრო, ეწრიანქედი, სამწიფლიანი, ოთხწიფლიანი, დილმიანი, ლეკმაკერჩხი ღელე, წაბლნარი, კორნალი, დიდკოს ძირი, ბარდნალი, საძმერხლე და სხვ.

ბევრია სახნავ-სათესი და სხვა სამეურნეო დანიშნულების ამსახველი გეოგრაფიული სახელები, რომლებიც შერქმეულია ტერიტორიული ნიშნით (ხიდითავი, დუქნიწინა, შარაქვეშა, ჯამიგაღმა, ჯამიგვერდი, ზედა ვაკე, ზედა სამკოდია, ქვედა სამკოდია), გარეგნული ფორმის მიხედვით (გვალი ყანა, გძელი ყანა, ონაგირა), სიდიდის მიხედვით (დიდმამული, დიდველი, დიდვაკე, ნაუჩვარა*, შეზიარება-შეამხანაგების ნიშნით (ზიარიყანა, სამზიარი, ოთხზიარი).

ტოპონიმიკაში კარგად აისახა მესაქონლეობის დამახასიათებელი თავისებურებანი. ამ რიგის ტოპონიმებია: ბოსელთხევი, იაილივაკე, ნაიაილევი, იაილები ღელე, იაილიკარი. ამ სახის ტოპონიმები ძირითადად მოქცეულია სოფლის ტერიტორიის გარეთ, სადაც ზაფხულობით საქონელს ამყოფებდნენ, ანუ აქაურ ბოსლებსა და იაილებში ინახავდნენ დაზამთრებამდე. არის ერთი შემთხვევა, როდესაც ასეთი საზაფხულო საძოვრები თანდათან მუდმივ დასახლებად იქცა. ასე გაჩნდა სოფელ ქოქოლეთის ერთ-ერთი დასახლებული უბანი - იაილიკარი, სადაც დღესაც ცხოვრობს რამდენიმე კომლი (კახიძე, 1966:115).

რამდენიმე ტოპონიმი დაფიქსირდა მეფუტკრეობის არსებობაზე. ესენია: საფუტკრეთი, ხეფუტკარა, სკებიანი ღარდა, ბოგილი ქედი. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სოფლის სახელწოდება საფუტკრეთი. ზემოთაც აღინიშნა, რომ

---

* ტოპონიმები ნაოჩვარი, ნაუჩვარა მეგრულ-ზანური წარმოშობისა ჩანს, ქართული მაწარმოებლით. სიტყვის ფუძე ოჩ და უჩ და აქედან მიღებული ოჩე მეგრულია და დიდ ყანას ნიშნავს (ზურაბიშვილი, 1961:129).

ეს სოფელი შუა საუკუნეებშიც ამ სახელით მოიხსენიებოდა. ამის დასტურია „ტბეთის სულთა მატიანის“ (XII-XVII საუკუნეები) ადრინდელ (XII-XIII საუკუნეები) ფენაში რამდენიმეჯერ მოხსენიებული გვარი მეფუტკრისძე, რომელიც დღევანდელი სოფელ საფუტკრეთის მცხოვრები უნდა ყოფილიყო. სოფელსა და სოფლის ტყეებშიც წიფლის ხეებზე შემოწყობილ სკებში ბევრი ფუტკარი ჰყოლიათ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეფუტკრეობასთან დაკავშირებული სოფლის სახელი, ანუ ტოპონიმი საქართველოში სხვაგან არ დასტურდება.

ზედა მაჭახლის სოფელ ეფრატში, რომელიც მაჭახელს ყოფს შავშეთისგან, ისეთი ოჯახებიც ყოფილა, რომელთაც ეზოკარმიდამოში თუ ტყეებში წიფლის ხეებზე შემოწყობილი 100-200 სკა ჰყოლიათ და დიდძალ არომატულ თაფლსა და სანთელს იღებდნენ. ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ს. გორგაძე აქაური მეფუტკრეობის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის: „მთა-ველის ტყეებში სკები აქვთ დადგმული ხეებზედ. არის ისეთი ხეც, რომ ზედ ოცდაათი ბუკი (სკა) არის დადგმული. გაზაფხულზე მთელ ტყეს ბუზუნი გააქვს, რადგან ფუტკარი გაცხარებულად მუშაობს. თეთრი თაფლი და სანთელი ასფუთობით იყიდება ყველა წელს. მყიდველები ართვინელი ფრანგები არიან. თაფლს ინახავენ ჭურებში. ვაჭრებს გუდებით გააქვთ“ (გაზ. „ივერია“, 1902, №140).

მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკაში თავისი კვალი ხელოსნობა-შინამრეწველობის ისეთმა დარგებმაც დატოვა, როგორიცაა ხის დამუშავება (მხვეწლობა), კერამიკული წარმოება. ტოპონიმები - საგობარას ღელე, დეზგარი ღელე (სოფელი ზედა ჩხუტუნეთი, სკურდიდი) იმაზე მიგვანიშნებენ, რომ აქაურ ღელეებზე მოწყობილი იყო წყლის ენერგიაზე მომუშავე დეზგრები (დაზგები), სადაც იხვეწებოდა ისეთი ხის ნაკეთობანი, როგორიცაა:

სხვადასხვა ზომის სუფრები ანუ მრგვალი სასადილო მაგიდები, ჯამები, გობები, მწვანილის სანაყები, სართავ-საძახი ჭახრაკები, რომელთა გარეშე მაჭახლელთა საოჯახო ყოფა წარმოუდგენელი იყო. ხოლო ტოპონიმები თერცი ხანა, სათიხე ღელე, საკეცე - თიხის ნაკეთობათა დამზადებას უკავშირდება. თერცი ხანა თურქულიდან მომდინარე სახელია და კრამიტის მოსაჭრელ ადგილს, სახელოსნოს ნიშნავს. ასეთი თერცი ხანები არსებობდა სოფლებში ცხემლარასა და ჩიქუნეთში, სადაც მზადდებოდა ღარიანი კრამიტი, სხვადასხვა ფორმისა და მოცულობის დოქები, ჯამები, წყალგაყვანილობის მილები. ცხემლარას თერცი ხანებში თიხის ნაკეთობანი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე მზადდებოდა. შემდეგ შეწყვეტილა აქ მომუშავე ოსტატთა თურქეთში მუჰაჯირად გადახვეწის გამო (კახიძე, 2004:91).

ინტერესს მოკლებული არაა ის ტოპონიმებიც, რომლებიც მიგვანიშნებენ ადრე არსებული და დღემდე მოუღწეველი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, მათი ადგილსამყოფელის შესახებ. ეს ტოპონიმებია: ნასახლევი, ნაფაცხევი, ნავანევი, ნასახლარი, ნაქოხვარი, ნასამდგურები, ნანალევი და ნალიკარი, ბეღელა ძირი. ამგვარი თვისტომი გეოგრაფიულ ადგილთა სახელები საქართველოს ბევრ კუთხეშია გავრცელებული და დაკავშირებულია სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებთან (ომები, მიგრაციული პროცესები, მუჰაჯირობა, ხალხთა ბუნებრივი ადგილმონაცვლეობა).

ტოპონიმების დიდი ნაწილი გვარსახელებიდანაა წარმოშობილი. ასეთებს ეკუთვნის როგორც სოფლის სახელწოდებები, ასევე სოფლის ცალკეული დასახლებული უბნები და სხვა ადგილთა სახელები (იხ.: შენიშვნები).

ბოლოს, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რელიგიურ (ქრისტიანულ, მუსლიმურ) პროცესებთან დაკავშირებული ტოპონიმების სიმრავლე. ასე, მაგალითად, მაჭახლის ხეობაში ქრისტიანული პერიოდის ამსახველი ტოპონიმებია: ჯვართა, ჯვარი ღელე, თავარანგელო, ხუცუბანი, ინაწმინდა, ნაქილისევი, ნაქილისვარი, ნაეკლესიარი, ეკლესიის ტყე. მუსლიმური პერიოდის ამსახველია: ჯამი გაღმა, ჯამი კარი, მედრესი კარი, თერცი ხანა, ზიარეთის სირთი, რომლებიც მაჭახლის ხეობაშიც ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის ანარეკლად მიგვაჩნია.

თავი მესამე

მაჭახლის ხეობის სოფლები და მათი ტოპონიმიკური აღწერილობა

მაჭახლის ხეობა, ანუ ძველი მიჭიხიანი, ადრე ერთიან, მთლიან და განუყოფელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა. იგი მოიცავს ტერიტორიას, რომელიც მდინარე მაჭახელას ორივე კალთაზე მდებარეობს.

მდინარე მაჭახელა (იგი მაჭახელასწყლის სახელითაც მოიხსენიება) შექმნილია ორი შენაკადის ხარჯზე. ერთია ჩუგათის ღელე, რომელიც სათავეს იღებს ინაწმინდას (ნინოწმინდის) მთიდან, მეორეა აკრია-მინდიეთის ღელე, რომელიც მოედინება კორდას მთიდან. მაჭახელას სიგრძე 37 კმ-ია, საქართველოს ტერიტორიაზე იგი აღწევს 21 კმ-ს, რომელიც მარჯვნივ უერთდება მდინარე ჭოროხს სოფელ მაჭახლისპირთან, კირნათის ხიდთან ახლოს, სადაც აღმართულია „მაჭახელა“ თოფის ძეგლი.

მდინარე მაჭახელას უმთავრესი შენაკადებია საფუტკრეთის, ჩხერის, სკურდიდის (მარცხენა შენაკადები), ქოქოლეთის (მარჯვენა შენაკადი) ღელეები. ამათგან უგრძესია ჩხერის (იგი გაგრძელებაა დეზგარი ღელისა და სათიბი ღელისა) და სკურდიდის ღელეები. ჩხერის, საფუტკრეთისა და ქოქოლეთის ღელეებზეა აშენებული შუა საუკუნეების ქვის თაღიანი ხიდები, რომლებზეც უმოკლესი სახმელეთო გზები გადიოდა. ეს ხიდები მაჭახლის ხეობას შავიზღვისპირეთთან აკავშირებდა (კახიძე, 1977:7). ამ გზის ნაწილი შავშეთიდან ეფრატზე გამოვლით ხერთვისში ჩამოდიოდა და აქედან ორად იყოფოდა. მარჯვენა გზა წისქვილნარას ქვის თაღიანი ხიდისა და სიკალეთ-ქოქოლეთის გამოვლით ნაქილისევამდე (სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი)

აღწევდა და უერთდებოდა ხერთვის-ზედა ჩხუტუნეთიდან მომდინარე გზას. სწორედ ამ გზაზე არსებობდა ძვარიასა და ჩხერის ქვის თაღიანი ხიდები, რომლებიც ჩომახისურისა და ცხემლარას ქვის თაღიან ხიდებთან შედარებით ფართო იყო და ზედაპირითაც სწორი.

ისტორიულად ერთიანი მაჭახლის ხეობა 17 სოფლისგან შედგებოდა. ამათგან 11 სოფელი მოქცეულია ქვედა მაჭახელში, რომელთა საფუძველზე შეიქმნა აჭარისაღმართის თემი. ეს სოფლებია: ქედქედი, სინდიეთი, ჭანივრი, აჭარისაღმართი, სკურდიდი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი, რომლებიც დღეს ქვედა მაჭახელად იწოდება. დანარჩენი 6 სოფელი (ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ეფრატი, ზედვაკე) 1921 წლიდან მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებში (ართვინის ვილაიეთი, ბორჩხის რაიონი), რომელსაც დღეს ზედა მაჭახელს ვუწოდებთ.

როგორც ირკვევა, ოსმალთა ბატონობის გარკვეულ პერიოდში მაჭახლის ხეობას მიაკუთვნეს აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობის მეზობელი სოფლებიც, რაც, ჩვენი ვარაუდით, ფისკალური გადასახადების ამოღების გაადვილებით უნდა აიხსნას. ასე მაგალითად, ერთ ოსმალურ დავთარში, რომელიც სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში ინახება და დათარიღებულია ჰიჯრით 1251 წლით (დაახლოებით, 1830-იანი წლები), მაჭახლის ლივაში, რომელიც მაშინ ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშოში შედიოდა, აღრიცხულია 23 სოფელი. ამათგან 15 სოფელი, რომლებიც თანმიმდევრობით ასეა ჩამოთვლილი: ზედვაკე, ხერთვისი, აჭარისაღმართი, საფუტკრეთი, ჭანიეთი, აკრია, ქედქედი, ქვაბითავი, ჩიქუნეთი, მინდიეთი, ეფრატი, ცხემლარა, ჩხუტუნეთი, სინდიეთი, ქვემო ჩიქუნეთი - საკუთრივ მაჭახელ-

ზე მოდის, ხოლო დანარჩენი 8 სოფელი: უჩხითი, ნამლისევი, მილისი, ქვემო ხერთვისი, მაღლაკონი (აჭარისწყლის ხეობა), კირნათი, გვარა, მაჭახლისპირი (ჭოროხის ხეობა) - მაჭახლის ლივაზეა მიწერილი, რომელიც ისტორიულად მას არ ეკუთვნოდა (დავთრის შესახებ ცნობა მოგვაწოდა პროფესორმა, თურქოლოგმა ზაზა შაშიკაძემ, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებ).

დავთრიდან ისიც ირკვევა, რომ მასში მხოლოდ ჩხუტუნეთია მოხსენიებული და არა ზედა და ქვედა ჩხუტუნეთი, რომელიც, შესაძლოა, მაშინ გაყოფილი არ იყო. ასევე, ცალკე სოფლებადაა მოხსენიებული ჩიქუნეთი და ქვემო ჩიქუნეთი. ხოლო მოხსენიებული არ არის გორგაძეთი და საფუტკრეთი, ასევე, მეზობელი აჭარისწყლის ხეობის სოფელი ჭალახმელა, რომელიც ხეობის სოფელთა სიაში შემდეგ გაჩნდა.

დავით წერეთლის ცნობით, მაჭახლის ხეობის ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებისა და დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, ანუ 1878 წლის ბოლოსათვის, საკუთრივ ხეობაში შემავალ 16 სოფელში, სოფელ სკურდიდის გამოკლებით, რომელიც აღნიშნულ ცნობაში არ სახელდება, ცხოვრობდა 1100 კომლამდე. კომლში ხუთი სულის ანგარიშით ეს შეადგენდა 5000 სულზე მეტ მცხოვრებს, რაც სოფლების მიხედვით ასე ნაწილდება: ხერთვისი – 80, მინდიეთი – 120, აკრია – 60, ეფრატი – 70, ქვაბითავი – 70, ზედვაკე – 80, გორგაძეთი – 20, საფუტკრეთი – 25, ზედა ჩხუტუნეთი – 70, ქვედა ჩხუტუნეთი – 40, ჩიქუნეთი – 103, ცხემლარა – 80, აჭარისაღმართი – 80, სინდიეთი – 46, ჭანივრი – 45 (წერეთელი, 1878).

მაჭახლის ხეობის მოსახლეობაზე ჩვენ მოგვეპოვება რუსი სამხედრო ისტორიკოსის - ალექსანდრე ფრენკელის ცნობებიც, რომლებიც შესულია 1879 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში, მაგრამ მეტი სიზუსტისათვის ჩვენ დავით წერეთლის

მონაცემებით დავკმაყოფილდით. მას, როგორც მაჭახლის ხეობის საპოლიციო უბნის უფროსს, ბათუმის ოლქის მაშინდელი გუბერნატორის - კომაროვისგან დავალებული ჰქონდა, სპეციალურად ემოგზაურა მაჭახლის ხეობის სოფლებში მოსახლეობის სტატისტიკური ვითარების შესასწავლად და, ამდენად, მას ზუსტად უნდა აღეწერა მასზე დაქვემდებარებული საპოლიციო უბნის მოსახლეობის კომლობრივი და სულადობრივი რაოდენობა (კახიძე, 2013:98).

ჩვენ გვაქვს ზაქარია ჭიჭინაძის ცნობა, რომლის მიხედვით, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად გამოწვეულ მუჰაჯირობამდე, მაჭახლის ხეობის ქვედა ნაწილში (ქვედა მაჭახელში), ზემოთ ჩამოთვლილი 11 სოფლის გარდა, სოფლებად სახელდება ისეთებიც, რომლებიც დღეს სხვადასხვა სოფლის ცალკე დასახლებულ უბნებადაა ცნობილი. ასეთებია: ბაზარევლი (სოფელი ცხემლარა), კეჟერეთა, საყანური (სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი), გვიანეთი, ძნელიეთი, კახიეთი (სოფელი ზედა ჩხუტუნეთი), ხინკილეთი, კირკიტეთი (სოფელი ჩიქუნეთი), გოშპარეთი (სოფელი აჭარისაღმართი), ოჯაბურა (სოფელი ქედქედი). ზაქარია ჭიჭინაძეს მაჭახელში მოგზაურობის დროს პირადად უნახავს ეს სოფლები, რომელთა ნაწილი მთლიანად ყოფილა დაცლილი მოსახლეობისგან მუჰაჯირად წასვლის გამო (ჭიჭინაძე, 1912:138). არაა გამორიცხული, რომ ჩამოთვლილი სოფლები, რომლებიც შემდეგ მითითებული სოფლების ცალკე დასახლებულ უბნებად ითვლებოდა, შესაძლებელია, სოფლების სტატუსით არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ აქ მცხოვრებთა რაოდენობა მცირე იყო. ასეთი მცირეკომლიანი სოფლები საქართველოს მთიანეთში სხვაგანაც არსებობდა. ამ მონაცემების შუქზე მართლაც ანგარიშგასაწევია განსაკუთრებით ზედა მაჭახლელთა მეხსიერებაში დღემდე შემონახული

ცოდნა მაჭახლის ხეობის (ძველი მიჭიხიანის) სოფელთა სიმრავლეზე (30 სოფელი) და აქ მცხოვრებთა რაოდენობაზე.

ოსმალთა ბატონობის ბოლო წლებში და ამ ბატონობისგან გათავისუფლების შემდგომ პერიოდში, 1930-იან წლებამდე, მაჭახლის ხეობის სოფელთა და აქ მცხოვრებთა რაოდენობაზე ზუსტი ცნობები ოფიციალურ წერილობით დოკუმენტებშიც აისახა. ამ ცნობებით, მაჭახლის ხეობაში, რომელიც ოსმალთა ბატონობის დროს ხან სანჯაყად, ლივად და ნაჰიედ მოიხსენიება, ხოლო გათავისუფლების შემდეგ - თემად და სამამასახლისოდ, აღირიცხებოდა 26 სოფელი, რომელშიც არაერთგზის მითითებული ისტორიული 17 სოფლის (ქვედა მაჭახელში 11, ზედა მაჭახელში – 6) გარდა, შედიოდა შემდეგ მიწერილი 4 სოფელი მეზობელი ჭოროხის ხეობიდან (კირნათი, კობალეთი, გვარა, მაჭახლისპირი), 6 სოფელი ასევე მეზობელი აჭარისწყლის ხეობიდან (ქვედა ხერთვისი, მაღლაკონი, უჩხითი, ჭალახმელა, მილისი, ნამლისევი) (წერეთელი, 1878; ფრენკელი, 1879, დანართი №2).

1921 წლიდან, როდესაც ერთიანი მაჭახლის ხეობა ორ ნაწილად გაიყო, საქართველოსა და თურქეთს შორის ამავე წლის 16 მარტს დელიმიტირებული და დემარკირებული იქნა სახელმწიფო საზღვრებიც (კეკელია, 2006:66). ამიერიდან საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩა 6 სოფელი (ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ეფრატი, ზედვაკე). 1928 წლიდან აქ ისტორიულ ქართულ სოფლებს ოფიციალურად შეეცვალა სახელები. ხერთვისს ეწოდა Camili, მინდიეთს - Maral, აკრიას - Ügur, ქვაბითავს - Kayalar, ეფრატს - Efeler, ზედვაკეს - Düzenli (Şahin, 2000:11). სოფელთა ძველ დასახლებულ უბნებს თურქულად მეჰლეები ეწოდა. ხერთვისის მეჰლეებია: თევთიეთი, მალაყმიეთი, ქვაბისური, ქათამო, წითელკილდე; მინდიეთის – ირემეთი,

ზეკალეთი, ოსანეთი, გივიეთი, ცივნარეთი, კორტანეთი, ზემტყისაი; აკრიისა – ველი, უკანტყე, მელასათიბი, ჯამიკარი, ნაფეტვარი, წიახი; ქვაბითავისა – ნაგომვარი, ქვედა ქვაბითავი, სასამოქედი, სანადურული, ვაკენთი, ზეგანი; ეფრატისა – ვაციეთი, ჩუგათი, კვატალეთი, კიბორეთი, დამზირათი, ტრედავლი, კვესაური; ზედვაკისა – ჩავლიეთი, გოხინავი, ჯაფარეთი, სურვანა, სამარი, კორდენი (გუჯეჯიანი, 2017).

ქვედა მაჭახლის ჩამოთვლილი სოფლები შუა საუკუნეების დროინდელი ქართული სოფლის ცოცხალ ისტორიას შეგვახსენებს. ზედა მაჭახლის სოფლებიდან სამი მოხსენიებულია „ტბეთის სულთა მატიანის“ (XII-XVII საუკუნეები) ადრინდელ, XII-XIII საუკუნეების ფენაში. ესენია: ზედვაკე, ეფრატი, ხერთვისი. მართალია, ეს გეოგრაფიული სახელები ანუ ტოპონიმები მატიანეში შემწირველთა ფორმითაა მოხსენიებული („ზედვაკით შემომწირველთა“, „ეფრატით შემომწირველთა“, „ხერთვისით შემომწირველთა“) და არა სოფლების სახით, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ზედვაკეს, ევფრატს (ეფრატს), ხერთვისს ამ პერიოდშიც სოფლის სტატუსი შეიძლება ჰქონოდა, მით უმეტეს, რომ სხვა პუნქტები გვართა და პირთა მოსახსენებელშია შეტანილი. მაგალითად, მატიანის შემწირველთა სიაში ვკითხულობთ: „ლურჯაეთ გაზრდილი ჩიჩქანა“ (78-ე მოსახსენებელი), „გუიანეთ აკრიელი ცხორება“ (112-ე მოსახსენებელი) და ა. შ.

ზედა მაჭახელი სოფელ ეფრატით უშუალოდ ესაზღვრება შავშეთის ისტორიულ კუთხეს, სადაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და საერთოდ, საქართველოს კულტურის ისტორიაში ცნობილი ტბეთის ეკლესია მდებარეობს და სადაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახლომახლო კუთხეებიდან სულის მოსახსენებლად თუ შემწირველებად მოსიარულე პირებთან ერთად ქვედა და ზედა მაჭახლელებიც დადიოდნენ (კახი-

ძე, 2010). შეიძლება ამ გარემოებითაც აიხსნას, რომ სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა აღწერილობაში (XVI საუკუნის დამდეგი), მაჭახელი, ანუ მაშინდელი მიჭიხიანი, შავშეთთან ერთად („შავშეთი მიჭიხიანით“) მოიხსენიება. საერთოდ კი, მაჭახელი, როგორც ისტორიულად, ისე გეოგრაფიულად, ყოველთვის აჭარის ნაწილს შეადგენდა.

ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით ისიც მნიშვნელოვანია, რომ თუ ეფრატი მაჭახლის ხეობისა და შავშეთის გამყოფი და ამავე დროს შემაკავშირებელი სოფელია, ხერთვისი ზედა და ქვედა მაჭახლის გამყოფი ძველი ისტორიული სოფელია, რომელსაც მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. ამის დასტურია აქ მოზრდილი ციხის არსებობა, რომელიც ხერთვისის ციხის სახელს ატარებს. დღეს ამ ციხის მხოლოდ ნაშთებია მოღწეული.

ჩვენი ვარაუდით, ხერთვისის ციხე ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო იმ ოთხ ციხეთა შორის, რომელიც XVI საუკუნის 50-იან წლებში ტრაპიზონის სანჯაყ-ბეგს დაუნგრევია მუსტაფა ფაშას ბრძანებით (შაშიკაძე, 2007:28). დანარჩენ სამ ციხეში იგულისხმება გვარას, სინდიეთისა და ჩხუტუნეთის, ანუ ყალივაკის ციხეები. ხერთვისის ციხე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ისტორიაში (კახიძე, 2013:72).

ზედა მაჭახელში სხვა ისეთი გეოგრაფიული სახელებიც გვხვდება, რომლებიც, გადმოცემით, თამარ მეფის აქ ყოფნას და მის აღმშენებლობით მუშაობას უკავშირდება. ამის დასტურად მარტო კარჩხალის მთის ზონაში ვაკე ადგილას მდებარე თავკალო იკმარებდა, რომელიც თამარის საყვარელი ადგილი ყოფილა. გადმოცემით, თამარს აქ დუქნებიც გაუშენებია. აქვე ყოფილა მშვენიერი კოშკიც, რომელიც ირმის რქებით ყოფილა შემკული (ჭიჭინაძე, 2004:52). ამავე გადმოცემით, თამარის საფლა-

ვიც თავკალოზე ყოფილა. ქვედა მაჭახლის 11 სოფელი (ქედქედი, სინდიეთი, ჭანივრი, აჭარისაღმართი, სკურდიდი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი) კვლავ საქართველოს საზღვრებში დარჩა და ყოფილი ბათუმის რაიონის (ახლანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) აჭარისაღმართის თემში გაერთიანდა. 1930-იან წლებამდე მაჭახლის უბანზე მიწერილი მეზობელი აჭარის-წყლისა და ჭოროხის ხეობის ზონის 9 სოფელი ადრინდელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას დაუბრუნდა და შედის ქედის მუნიციპალიტეტში.

აჭარისაღმართის თემის სოფლებში დღემდე შენარჩუნდა ადრინდელი უბნობრივი დაყოფა. მაგალითად, სოფელ აჭარისაღმართის უბნებია – აბესლამიძეები, ფარტენაძეები, წიახი, გოშპარეთი; ცხემლარის – გოგოძიები, პირპილეთი, შოტიეთი, ყუი; ქვედა ჩხუტუნეთის – ბადუყვეთი, ნაქილისევი, დავითეთი, კოსტანეთი; ზედა ჩხუტუნეთის – კახიეთი, გვიანეთი, ნაგერვეთი, დავითეთი; ცხადიეთი, მერკულეთი; ჩიქუნეთის – გორიეთი, ბასილეთი, ვაკე, ხინკილეთი, კირკიტეთი, სიკალეთი, ქოქოლეთი.

ამათგან, ზედა და ქვედა ჩხუტუნეთი ადრე ერთ სოფლად იწოდებოდა ჩხუტუნეთის სახელწოდებით. ასე მოიხსენიება იგი ზემოთ დასახელებულ მაჭახლის დავთარში, რომელიც 1830-იანი წლებით თარიღდება. მაშინ სოფელში 67 კომლი ითვლებოდა 216 მცხოვრებით. როგორც ჩანს, შუა საუკუნეებშიც, როგორც „ტბეთის სულთა მატიანე“ (XII-XVII საუკუნეები) გვაუწყებს, ერთი ჩხუტუნეთი არსებობდა ჩიქუნეთის მსგავსად (მატიანე, 1978:168). მატიანეში ამ ორი სოფლის მიკროტოპონიმებიც ამოიკითხება: გუიანეთი (დღევანდელი გვიანეთი), ბერსელეთი (ფერსელეთი), ქუაბელეთი (ქვაბელური), ცხადაეთი (ცხა-

დიეთი) (ზედა ჩხუტუნეთი); სიკალაეთი (სიკალეთი), ხინკილაური (ხინკილეთი), ქოქოლაური (ქოქოლეთი). მატიანისეულ გორგაძიეთსა და მეფუტკრიეთში უნდა ამოვიკითხოთ დღევანდელი სოფლები გორგაძეთი და საფუტკრეთი, რომლებიც, როგორც საზღვრისპირა სოფლები, 1946 წლიდან ნასოფლარებად იქცა. აქაური მოსახლეობა ორგანიზებული წესით ბათუმის რაიონის (ახლანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) სოფელ ჭარნალში იქნა ჩასახლებული.

ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი, - რომლებიც „ტბეთის სულთა მატიანის“ შემწირველთა სიებში მოიხსენიება, მაჭახლის ხეობის (მიჭიხიანის ხევის) ძველი სოფლების სიაში თავსდება.

მაჭახლის ხეობა წარსულში არ უნდა ყოფილიყო მცირერიცხოვანი სოფლებით და მცხოვრებთა რაოდენობით. XIX საუკუნის 90-იან წლებში, ხანდაზმულთა გადმოცემების საფუძველზე, ზაქარია ჭიჭინაძეც წერდა, რომ ძველად (იგულისხმება ოსმალთა ბატონობამდელი პერიოდი) მაჭახელი მრავლად იყო დასახლებული და გამუსლიმების პერიოდში ბევრი მათგანი აქეთ-იქეთ გაფანტულა, საქართველოს სხვა ქრისტიანულ კუთხეებში გახიზნულა, რათა ქრისტიანობა შეენარჩუნებინა, ბევრიც მუჰაჯირად გახიზნულა თურქეთის სხვადასხვა რაიონებში. ამის შედეგად ზოგი სოფელი ნასოფლარად იქცა. ქვედა მაჭახელში ასეთს ეკუთვნის კეჟერეთას, თაგვავრას, კინტურეთისა და ბაზარევლის ნასოფლარების გაჩენა, რაც ოსმალთა მოძალებისა (XVI საუკუნის მეორე ნახევარი) და ბატონობის პერიოდზე მოდის, სამი საუკუნის მანძილზე რომ გრძელდებოდა.

რაც შეეხება მაჭახლის ხეობიდან მოსახლეობის სხვაგან გახიზვნასა და ადგილმონაცვლეობის საკითხს, ამის შესახებ შედარებით ზუსტი ცნობები ჩვენ მუჰაჯირობის პერიოდიდან გვაქვს

(ვრცლად იხ.: კახიძე, 2004; ჩოხარაძე, 2018; თოფჩიშვილი, 2017:161, 163, 179, 191).

ცნობილია, რომ რუსეთ-ოსმალეთს შორის 1879 წლის 27 იანვარს კონსტანტინეპოლში (დღევანდელი სტამბოლი) დადებული ტრაქტატის თანახმად, მუჰაჯირობის ოფიციალურ ვადად დაწესებული იყო 3 წელი (1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე). თუმცა, ოსმალები ადრეც ცდილობდნენ აჭარიდან და, მათ შორის, მაჭახლიდან მოსახლეობის ძალდატანებით გასახლებას. ადგილზე შეკრებილი ცნობებით, ზაქარია ჭიჭინაძე მარტო ქვედა მაჭახლიდან წასულ მუჰაჯირთა რიცხვს 700 კომლით აცხადებდა (ჭიჭინაძე, 1912:138), რაც სწორი არ არის. ჩვენ გვაქვს გაზეთ „კავკაზის" (1881 წელი, №194) ცნობაც, რომლის მიხედვით, საერთოდ მაშინდელი მაჭახლის საპოლიციო უბნიდან, ანუ ქვედა და ზედა მაჭახლის 1600 კომლიდან, მუჰაჯირად წასულა 800 კომლი. ამასთან, არ ყოფილა არც ერთი სოფელი, რომელშიც 10-15 კომლი მაინც არ დარჩენილიყო ადგილზე. მუჰაჯირთა რიცხვში იანგარიშება მაჭახელზე მიწერილი მეზობელი სოფლებიდან გასახლებულებიც.

ოსმალთა ბატონობის სამსაუკუნოვანმა ბატონობამ და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად თავსმოხვეულმა მუჰაჯირობამ მძიმე დაღი დაასვა მაჭახლის ხეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხეობის მოსახლეობამ ძირითადად შეინარჩუნა თვითმყოფადი ტრადიციები, სამეურნეო და კულტურული თავისებურებანი, მშობლიური ქართული ენა და სალაპარაკო ლექსიკა. ასევე უნდა ითქვას გეოგრაფიულ სახელებზე, ტოპონიმიკურ მახასიათებლებზე, რომლებიც ძირითადად იგივე დარჩა და უცხოური გავლენა ნაკ-

ლებად განიცადა. ეს კარგად ჩანს ხეობის ცალკეული სოფლების ტოპონიმთა აღწერილობაში, რომელსაც აქვე ვურთავთ.

ნაშრომში შესულია 1200-ზე მეტი ტოპონიმი. ამათგან 800-ზე მეტი ტოპონიმი მოდის ქვედა მაჭახელზე, 400-ზე მეტი - ზედა მაჭახელზე. გარკვეულია და დახასიათებულია ბევრი მათგანის ეტიმოლოგია და წარმომავლობა (იხ. შენიშვნები), რომელიც შუქს ჰფენს ერთიანი მაჭახლის ხეობის ისტორიული წარსულის, მისი ყოფისა და კულტურის ნიშანდობლივ თავისებურებებს, ხეობის როლსა და მნიშვნელობას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში.

სოფელი ქედქედი[1]

ნაუყვარი (ტყე)
ოჯაბურა (სათესი, სოფლის უბანი)
ხეროღმა (ტყე)
ნაუჩვარი (სათესი)
ნაარწივები (ტყე)
ყორნალა (ტყე)
ჩირდილი (ტყე)
კორდი (ტყე, ადრე იაილები)
ვაკეყანა (ტყე)
ზედვაკე (ტყე)
დიდვაკე (ტყე)
როხიანი (ტყე)
კერკიტეული (ტყე)
სარახია (ტყე)
მარჯანევლი (ტყე)[2]
სახვეწელაი (სოფლის დასახლება, ადრე იაილები)
გრინტავლი (ტყე, სათესი)
ბეღლევი (სათესი)
პირსაბანა ღელე (ტყე)
ხილთავი (ტყე)
ზიარყანა (სათესი)
ქვასასვენი (სათესი)
კილდიხავაი (სათესი)
კონტოხი (სათესი)
ცარა (სათესი)
პლიკიანი (სათესი)
ლაზიბერი კალო (სათესი)
ცეცხლავრი (სათესი)
ახოთავი (სათესი)
ნაფლატაი (სათესი)
ნაოჩვარი (სათესი)
საკოხია (სათესი)
ჩამოწკვტილი (სათესი)
წისქვილიკარი (სათესი)
ნატბევი (სათესი)
მადენითავი (სათესი)
ნაასლევი (ტყე)
ნაღომვარი
ნაპურვალი
სამზიარი (ტყე, ადრე სათესი)
საბილანცრო (ტყე)
ბუიღელე (ღელე)
დევავრა
საფორჩხნელა
ბეღლები (ხეხილი)
სატურია (სათესი)
მეგრელავი (ტყე)
რაბათი (სოფლის უბანი)

მაჭახელჰესი (ჰესი)[3]

ნასხლეტიღელე (ღელე)

სოფელი ჭანივრი

სასირე (სათესი)

დარექვეშა (სათესი)

ნიგვზნარი (სათესი)

ორაბაძეთი (ჩაი)

ნაბეღლავი

ნამოხვარი (სათესი)[1]

გვალიყანა (სათესი)

თაბია (სათესი)

წყერასბაღჩა (ჩაი)

ავჯიოღლის ბახჩა (სათესი)

შირინას ბაღჩა (სათესი)

სამხლია (ბაღი)

ახოთავი (სათესი)

ნაბეღლავი (სათესი)

ნაბოსტნევი (ბუჩქნარი)

შუბლიწვერა (საძოვარი)

კოსლოპი (სათესი)

გზიქვეშა (სათესი)

ჩხერითავიღელე (ღელე)

ყრუღელე (ღელე)

საცრიქედი (ბუჩქნარი)

ნაფეტვარი (ბუჩქნარი)

ნაკაბახევი (სათიბი)

ჭენჭეხი (სათესი)

ნასახლევი (სათესი, ჩაი)

ნაჭვავარი (ბუჩქნარი)

ფერდი (სათესი)

სოფელი სინდიეთი

ნაპურვალი (სათესი)

ნასელვარი (სათესი)

ქვაბნარა (სათესი)

სურიანქვა (საძოვარი)

ბალვანა (სათიბი, საძოვარი)

სულიბეგიკალო (სათესი)

ტაბანი (სოფლის უბანი)[1]

კაკალაური (სათესი)

ჩირდილა (სათესი)

ტოხიგთი (სათესი)

ქვითავი (სათესი)

ნატბევი (სათესი)

ჩალეწილი (სათესი ტყე)[2]

ბურიღელე (ღელე)

წყარო (სათესი)

ზედვაკე (სათესი)

მაღაროკარი (ტყე)

ნაბეღლავი (საძოვარი, ტყე)

ხოჭოკაპანი (ბუჩქნარი)

ნაღომვარი (სათესი)

თავარანგელო (ტყე, გადასასვლელი)[3]

საწირეხიანი (სათესი)

სოფელი აჭარისაღმართი[1]

წიახი[2], ქუშნარა[3]

ქვაბითავი (სათესი)
ნაპურვალი (საძოვარი)
ნაფეტვარა (საძოვარი)
ჩავარდნილი (სათესი)
სანისლია (ტყე)
ფეიზიოღლი ყანა (სათესი)
ნასელვარი (სათესი)
სხლიანი (სათესი)
ჰარუნას ყანა ((სათესი)
ბიძაყანა (სათესი)
ყორი (სათესი)
სასირე (სათესი)
ძლევრი (სათესი)
ბალვანათავი (ტყე)
ქონდარაყანა
ხამუდასყანა
ჯორიღელე (ღელე)

დოლოგნი ვაკე (საძოვარი)
როხიანი ტყე (წაბლნარი)
დილმიანი ტყე (ტყე)
სასვენი (სათესი)
ლოლემი (სათესი)
ნასახლევი (საძოვარი)
ცივწყალი (საძოვარი)
წაბნარი (საძოვარი)
დიდიღელე (ღელე)
ვაკეყანა (სათესი)
იაილიკარი (ჩაი)
ალიბეგივაკე (სათესი)
ხიდითავი (საძოვარი)
ნასახლევი (სათესი)
წაბნარი (ტყე)
წისქვილიკარი (საძოვარი)
ხუშუტავაკე (საძოვარი)

კაპანი, ფარტენაძეები, კოპლაძეები

ჩალეწილი (სათესი)
აკვანეთა (სათესი)
ნაღომვარი (სათესი)
ცხემლარა (სათესი)
ხატიძირი (სათესი)

კალოთქედი (სათესი)
სარცხელაი (საძოვარი)
მელავი (სათესი)
ნაღომვარი (საძოვარი)
კვირიკავი (სათესი)

გოშპარეთი (დასახლება)[4]
საფერვანო (სათესი)
გორაქედი
საცრიქედი (სათესი)
ვაკისირა (დასახლება)
კორნალაქედი (ქედი, სათესი)
წაბუცებული (სათესი)
წაბლნარა (სათესი)
სარტყელა (სათესი)
ხორგიანი (სათესი)
ბეღელაძირი (სათესი)
გრძელიყანა (სათესი)
მინდორი (სათესი)
პიტნაწყარო (სათესი)
ტყემლიანი (სათესი)
ციციალა (სათესი)
წიფლნარიყანა (სათესი)
თალიბასყანა (სათესი)
გორაქედი (სათესი)
ჩიტიყანა (სათესი)
ნასკვიმერე (სათესი)
ბოსლიკარი
სხლიანი (სათესი)
ღარდა
დიდმამულა (სათესი)
პაწიაქედი
კაპანი (დასახლება)
ჩირდილა (ტყე)
ღამეღელე (ღელე)
ხორტნალი
აბანო (სათესი)
ჩირდილა (სათესი, ტყე)
ხეჩელა (სათესი)
საწიეხანი (სათესი)
ვაშლიანი (სათესი)
ტყემლიანი (სათესი)
ხამიყანა (სათესი)
ნალიკარი (საძოვარი)
ხორგნალი (სათესი)
კაპანთხევი (სათესი)
საწვეთურა (სათესი)
გრეხილა (სათესი)
ჩიტოყანა (სათესი)
ჩქუნი (სათესი)
ველქედი (სათესი)
ოწკენტები (სათესი)
დუროღლები (სათესი)
ჩირდილა (სათესი)
კროჭითავა (ტყე)
შარაქვეში (გზა)
ბაიახტრის ბაღჩა (სათესი)
მურადასტყე
ნაბეღლავი
მედრესიკარი
ქვიშნარა
სარცხელი

სოფლები სკურდიდი[1] და ნავანევი[2]

დიდვაკე (სათესი)
ნაპურვალი (სათესი)
ნაქურთვალა (სათესი)
ყადიბოლო (საძოვარი)
დიდვანი ქვები (საძოვარი)
ყურწითელაქედი (საძოვარი)
ჯამიკარი (საძოვარი)
ჭურათი (სოფლის უბანი)[3]
დუნგა (საძოვარი)
ნუკრავი (სოფლის უბანი)
თხილები (საძოვარი)
კვადავი (სათესი)
ყურიბოლო (საძოვარი)
ჯერმე (საძოვარი)
ზრუგენა (სათესი)
ნაახორავი (საძოვარი)
ნამწვარი ქედი
აჩხოილა (ტყე)
სადგომიანი (საძოვარი)
გადასაქციელი (ტყე)
დიდიღელე (ღელე)
ჩამპალი (სათესი)
სანისლია (ტყე)
ქილიავნარქედი (სათესი)
ნავანევი (სოფლის უბანი)
სამოცია (ტყე)
დიდვაკე (საძოვარი)
ბერადგუმი (სათესი)
დამპალი (საძოვარი)
ქილიავნარი (ხეხილი)
ქისიბიანი ყანა
პაწაღელე (ღელე)
უმალოღელე (ღელე)
ჩინჩალევი ღელე (ღელე)
ხერხეს ღელე (ღელე)
ვაკე (საძოვარი)
ბარდნალი (ბუჩქნარი)
მიღმაყანა (საძოვარი)
გვალყანა (საძოვარი)
ახალთა (ტყე, საძოვარი)
მიფლატული (ტყე)
ხავსნარის ტყე (ტყე)
ჯვართას გორა (გადასასვლელი)
ყურწითელაქედი
წითელკელდის ტყე (ტყე, საძოვარი)
ბოსტანას ტყე (საძოვარი)
ნახანძრევის ღელე
დიდღელე (ღელე)
ნაკიტრევის ყანა (სათესი)
შავშიყანა (სათესი)
თხილების ყანა (სათესი)
ჭურიანი ყანა (სათესი)
ილიასას ყანა (სათესი)

ნაჭველევი (სოფლის უბანი)
ნაჭვავის სათიბე (სათესი)
ნაქერვალის სათიბე (სათიბი)
გონიისსათიბი (სათიბი)
ეკლესიის ტყე (ტყე)
ფურნიკარი (სოფლის უბანი)
ზაბორიანი ყანა (სათესი)
მერესუბანი (სოფლის უბანი)
განაკიდე (სოფლის უბანი)
ქვითავი (საძოვარი)
ქუცუბანი (საძოვარი)
ქედქედიტყე (საძოვარი)

სოფელი ცხემლარა[1]

გოგოძიები, პირპილეთი, შოტიეთი[2], ავჯანდა

ნაღომვარი (თამბაქო)
დოკნები (ტყე)
ვირაბაღჩა (სათესი)
კაპანი (ხილი)
საანაი (ხილი)
ლაზიბაღჩა (სათესი)
ნაღომვარი (თამბაქო)
ლელვი ოროკი
ხუმრები (ხილი)
სერვანას ყანა (სათესი)
უსტამარის ყანა (სათესი)
ონაგირაი (სათესი)
ტყემლიანი (ტყე)
უყვი (სათესი)
სამზიარი (სათესი)
სასვენი (დასასვენებლი ადგილი)
თურთყური (სათესი)
ზრუგავი (სათესი)
ფელენძიები (დასახლება)
ღურბლანი (წისქვილი)
ხუმრები (წაბლნარი)
ბარდლუღი (ბარდნალი)
ტყემლიანი (სათესი)
ოთხზიარი (სათესი)
მოსაკრავი (ადრე საყანური, ახლა ტყე)
ბოლონწილა (ტყე)
ნაბაიდევი (ტყე)
ნაქერითვალა (კორდი)
დიდკობირი (სათესი)
დიდკო თავი (სათესი)
მეივალუღი (სათესი)
მადენები (სათესი, ტყე)
ჩირდილას ქედი (ტყე)
გადადევლაი (ტყე)

ხულათის სირთი (ტყე, გადასასვლელი)
ახალავრა (ტყე)
განგზა (მინდორი)
კოპლაძეები (ადრე კოპლაძე ცხოვრობდა)
დარე (საძოვარი)
საძმერხლე (ძმერხლი)
კავიანი ცაცხვი (ტყე)
თერციხანა (მიტოვებული ადგილი)[3]
ნაპურვალი (სათესი)
ციცნათელა ვაკე (სათესი)
დოლოგნი მინდორი (ტყე)
ბოიალმიწა (ტყე)
ჯაპანგუნა (ტყე)
სამზიარი (სათესი, ტყე)
ლომანდედექედი (სათესი, ტყე)
ტრიკიძე ყანა (სათესი)
განგზიქვეშა (საძოვარი)
ნაჯახას ბაღჩა (სათესი)
იშიღაბახჩა (სათესი)
ერგელური (სათესი)
კირნავი (სათესი, თამბაქო)
ჯარყვალევი (სათესი)
წითელმიწა (ქედი)
დუნგა
ღრუბლიანი (წისქვილი)
წისქვილების ღელე (ღელე)
პირპილეთის ღელე (ღელე)
ტოკანას ჩხერი

ველქედი (ქედი)
ხმელიღელე (ღელე)
ხუმრები (ხეხილი)
გასაძრომელა
ნაკიტრევი (სათესი, ტყე)
ნაფაცხევი (ტყე)
ნაკორნალები (ტყე)
დიდვაკე (ტყე)
დიდვაკე (საძოვარი)
იაილიკარი (სათესი)
ნასახლევი (სათესი)
ნაფაცხევი (სათესი)
ჭიშკარი (ხეხილი)
ფიდნები (ხეხილი)
წითელქედი (სათესი)

სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი

დავითეთი, კოსტანეთი, ბადუყვეთი[1]

ჯალაბავრი (სათესი)
ჩხავნარი (სათესი)
სასუქეთი (სათესი)
ქორისათი (სათესი)

ალიასყანა (სათესი)
ნასახლევები
ჯინოღლის ბახჩა (სათესი)
ტალახური (სათესი)
მოყორვილა
თოფჩიოღლის ბახჩა (სათესი)
ევსაბოღლის ბახჩა (სათესი)
ტაიას ბახჩა (სათესი)
სათუნალმა
ჯერმა
საპობი (წაბლნარი)
ბილალა (სათესი)
ჭაბუკავრი (სათესი)
საცივი (სათესი)
კინტურეთი (ტყე, ნასახლარი)
ხოხნას ბაღჩა (სათესი)
ჯამიკარი (კორდი)
ნაბოსტნევი (სათესი)
აგარათავი (ტყე)
ფარჩები (სათესი)
ქვაკიბე (ტყე)
ყალივაკე (ციხის ტერიტორია)[2]
საცივი (სათესი, თამბაქო)
ბორგლანა (კლდიანი ადგილი)
საფქვილა (სათესი)
აბანოქედი (ტყე)
ნაყულევი
საპობი (წაბლნარი)
ნაფურნევი (ბუჩქნარი)
მადენები (საძოვარი)
ქვადედოფალა (საძოვარი)
ლუმბათი (სათესი)
ნასამდგურევი (ხეხილი)
მაზარევი (სათესი, საძოვარი)
ქვაკიბე (კლდიანი ადგილი)
ნაჯახასყანა (სათესი)
ნანეხვარი (სათესი, თამბაქო)
სურიან მინდორი (ტყე)
ჩამპალი (ტყე)
აგარავაკე (საძოვარი)
ნაფაცხევი (ტყე)
წმინდა ბარდნალი (ტყე)
ჯარყვალევი (ტყე)
ტრიკიძეყანა (ტყე)
ფიქლები (ტყე)
წოწოლაები (საძოვარი)
ხუმრიანი (ტყე)
წაბლნარი (ტყე)
წისქვილიხევი (ბუჩქნარი)
წყავნარი (ტყე)
ნაღვარევი (სათესი)
ცივწყლითავი (კორდი)

სერვანასყანა (სათესი)
ნაღომვარი (ბუჩქნარი)
საძიგვლიანი (სათესი, ჩაი)
სკებიანი ღარდო (ტყე)
კუნჭულო (ტყე)
ჯებნევი (ტყე)
ცხემლიანი ქედი (სათესი)
ჯვართა (ტყე)
ბოლონწილაი (სათესი)
ლაზიყანა (სათესი)
ვაშლიანი (ხეხილი)
სათავო (სოფლის უბანი)
სასუქეთი
თოვლივაკე (ტყე)
დილმიანმინდორი (ტყე)
ნაღომვარი (ტყე)
წისქვილიხევი (ტყე)
წყავნარი (ტყე)

სოფელი ზედა ჩხუტუნეთი

კახიეთი, ცხადიეთი[1]

ქვაბელური (სათესი, დასახლება)
ფერსელეთი (სათესი)
წითელმიწა (მინდორი, ხეხილი)
წიწიბა (მინდორი)
მერკულეთი (სოფლის უბანი)
ლოდი (გზა)
ბარი (სათესი)[2]
ბარები (სათესი)
პეტრივი (სათესი)
ვაკითავი (ტყე)
პეტრივი ქედი (სათესი)
თეებე ხანა (თემბელ ხანა)
ახოთი (სათესი)[3]
საქათმიქედი (სათესი)
ახოთი ვაკე (საძოვარი)
რუსღელე (ღელე)[4]
რუსვაკე (საძოვარი)
პლაკიანი
ქვედა ოჭკრიალა ვაკე (საძოვარი)[5]
ზედა ოჭკრიალა ვაკე (საძოვარი)
ქვედა კაცავრა (საძოვარი, ტყე)[6]
ზედა კაცავრა (საძოვარი, ტყე)
კაცავრას გადასასვლელი
საბილანცრო (საძოვარი)
ლეკმაკერჩხი ვაკე (საძოვარი, ტყე)
დიდთელიანი (საძოვარი, ტყე)

სამწიფლიანი (საძოვარი, ტყე)
ოთხწიფლიანი (საძოვარი, ტყე)
დუზიანქვები (საძოვარი, ტყე)[7]
საჩორჩხე (საძოვარი, ტყე)
საყავრე (ტყე)
ფაფხავრა (ტყე)
სათაო (ტყე)
ყორი (ტყე)
იმედავი (სათესი)
წამოსადგეგი (საძოვარი, ტყე)
სამზიარი (სათესი)
ცხემლები (ტყე)
უყვი (ტყე)
უყვის გზა
ქვედაღელე (საძოვარი, ტყე)
ზედაღელე (საძოვარი, ტყე)
წითელკილდე (საძოვარი)
აბანო (საძოვარი)
წორეღელე (ღელე)
აჩხოილა (საძოვარი)
აჩხოილას სირთი (ტყე)
ქვედა სამკოდია (საძოვარი, ტყე)[8]
ზედასამკოდია (საძოვარი, ტყე)
ეწრიანქედი (საძოვარი)
ნაღომვარი (საძოვარი)
სარახუნა (ტყე)
ბოიანტიალი (ტყე)
წიფლები ვაკე (საძოვარი, ტყე)
დიდთელიანი (საძოვარი, ტყე)
ცაცხვებივაკე (საძოვარი, ტყე)
საძმერხლე (ტყე)
ანჭორიკების ღელე
კორნალი (ტყე)
კორტოხათი (სათესი, ტყე)
ფონიკიდე (სათესი)[9]
ჩხერი
ჩხერიღელე (ღელე)
შავღელე (ღლე)
ჩირდილა (სათესი)
ძვარია (სათესი)[10]
ქვაკიბე (სათესი)
ნასელვარი
წყავნარა (სათესი)
დედეს ბარი (სათესი)
ხაშიმას ბარი (სათესი)
ქიბაროღლების ბარი (სათესი)
ხიდითავი
კაპანტა (ტყე)

ჩერიმე (სათესი)[11]
ნაშვები (სათესი)
ოროკები (სათესი)[12]
მოყორვილა (სათესი)
შარვავლაი (სათესი)
ქურთას ბარი (სათესი)
მისილოღლების ბარი (სათესი)
თუფანას ბარი (სათესი)
თალიბას ბარი (სათესი)
დობირო (სათესი, ვენახი)[13]
ცხემლები (ტყე)
ნასელვარი (ღელე)
ვაკითავი (ტყე)
ჭედლივრა (სათესი)
სარცხელი ღელე (ღელე)[14]
კილდიკიკვინა (მთის წვერი)
ხვართქლიანი ქედი (ტყე)
ბოლონწილა
შამშხამო (ტყე) (მისი მეორე სახელია წამოსადეგი, საიდანაც კარგად მოჩანს ზედა ჩხუტუნეთის კახიეთის უბანი)
საყავრია (ტყე)
დეზგარი ღელე[15]
წამოსადეგი (ტყე, საძოვარი)

დავითეთი, ნაგერვეთი, გვიანეთი, ძნელიეთი

დავითეთი (დასახლება)[16]
გოხინავი (სათესი)
დუბიანი (სათესი)[17]
კვირიკაული (სათესი)
ცივწყარო (სათესი)
ნაგერვეთი (დასახლება, სათესი)[18]
სანისლია (სათესი, ტყე)
თაგვავრა (ტყე)[19]
ნასახლევი (სათესი)
ტარხვენი (ტყე)[20]
ნასაფენავი (საძოვარი)
მადენები (საძოვარი)
დიდღელე (ღელე)
საგობარა
საგობარას ღელე (ღელე)
ბაზარეთი (დასახლება)
ჯამიგაღმა (სათესი)
ბაქრევლა (სათესი)
ჯანავრა (ბუჩქნარი)
კაპან გუგულათი (სათესი)
ტიალგუგულათი (სათესი)
ხეფუტკარაი
მერე (სათესი)[21]
ცოცხათი (სარესი)
ცხემლები ვაკე (ტყე)

ახოთავი (ტყე)
საძმერხლე (ტყე)
ქუცუბანი (ტყე)[22]
საჩინო ქედი (ტყე)
შიმშილახევი (ტყე)[23]
ზედავაკე (მინდორი)
ჯვართა (ტყე,
გადასასვლელი)[24]
ყრუქედი (ტყე)
თოვლივაკე (ტყე)
აგარათავი (ტყე)[25]
ჩივთღელე (ღელე)
წყავები ვაკე (ტყე)
ძნელიეთ ქედი
(დასახლება)[26]
ჭონჭყო (ტყე-ბუჩქნარი)
ჯაფრიგულა (სათესი)
საჭინკურია (ტყე, ბუჩქნარი)
დიდყანიბოლო (ვენახნარი)
კეჟერეთა (სათესი)
ხარაბაშენი
ღელიბოლო (სათესი)
შავი ნასახლევი
იმენავი ღელე (ღელე)
წითელმიწა
ჯეგნევი ღელე (ღელე)
ნაღომვარი (სათესი)
ტურული (სათესი)
თხილნარი ვაკე (ტყე)
ნაზომი
ნაპურვალი (სათესი)
თოდორავლი
ნაფეტვარა
მაზმოღლის ბაღჩა (სათესი)
გენჯოსმანის ბაღჩა (სათესი)
შავიას ვაკე
სეიდიაღის ბაღჩა (სათესი)
ნანალევი (საძოვარი)

სოფელი ჩიქუნეთი[1]

გორიეთი[2], ბასილეთი

ნაასლევი (სათესი)[3]
საწუმპე (სათესი)
ყალივაკე (სოფლის
დასახლებული უბანი, ციხე)
მოყორვილა (სათესი)
ხუმრიანი (დაფნა)
ბუქაული (სათესი)
დელიაღის ბახჩა (სათესი)
საძლიგვერდა (ვენახი)
კორდი (სათესი)
ბასილეთი (დასახლება)
კონცხა (სათესი)
ჯამიგვერდი (სათესი)
ქვიანი (სათესი)

ალიაღიქედი
ხიდითავი (სათესი)
საბანგუნაი
ტაშავი (ჩაი)
ალიაღიქედი (ვენახი)
გოგანეთი (სათესი)
სასვენი (სათესი)
კორდითავი (სათესი)
თოფანა კალო (სათესი)
თერცი ხანა (სათესი)
საჭკიტე (სათესი)
ჰაჯიაყანა (სათესი)
ონაგირა (სათესი)

კორდი (ხეხილი)
ვაკითავი (საძოვარი)
ნაბალევი (სათესი)
კოპტამური (სათესი)
ნაშენი (სათესი)
იელი (სათესი)
ქვაბისგარი (სათიბი)
ბერიყანა (სათესი)
ნაპურვალი (სათესი)
ფოტორო (სათესი)
დიდღელე (ღელე)
ბარდნალი (საძოვარი)
წითელმიწა (სათესი)

კირკიტეთი, ხინკილეთი, ვაკე

ჯვარიღელე (დასახლება)[4]
ქვაწინწკელა (სათესი)
წყავნარი (სათესი)
კოტამერა (სათესი)
ნაკანაფევი (სათესი)
წისქვილამოღმართი (სათესი)
საკოხია (ყანა)
მერე (წყლის ნაპირი)
ჩომახისური (სოფლის უბანი, სათესი)[5]
ნალიკარი (სათესი)
მელაბოლო (სათესი)
ნიგზნარის ძირი (ხეხილი)

ბაბლუცაური (ჩაი)
ციხიახევი
ხიდითავი (ხეხილი)
ღირნალი (საჩეხი)
ნასელვარი (სათესი)
თავდიეთი (დასახლება)
მერე (სათესი)
კირკიტეთი (დასახლება)
მოყორვილა
კორდები (ვენახი)
ჭვინტური (სათესი)
ბოღაზო (ტყე)
ჭუმბავრი (სათესი)
მერთელნალი

ვაკე (სათესი)
საყნიძირი (სათესი)
საკოხია (სათესი)
ხინკილეთი (დასახლება)
ბეიზიარი (სათესი)
მელაპირი (სათესი)
კაპანი (სათესი)
ჰაზიროღლი ბახჩა
საშიშე (ტყე)
ნანალევი (ტყე)
მამული (სათესი)
ფუჭა
ვაკითავი (ტყე)
სამზიარი (სათესი)
იელი (ბუჩქნარი)
ნაშენი
ღრუბლანი
ბიბიაბოსტანი
ქოსიკილდე
მოლაისმეილის ბახჩა
თოფანაკალო
გოგანური
ძველბინა

გურგენეთი
კოპტანური
პატარა ხევი
ხარნაყანევი
ნაძვინარა (სათესი)
ჩირდილა (სათესი)
ლორტი
ნაპურვალი
ნაღომვარი
ჯინჭვანი
დიდვაკე (ტყე)
ჯაჯღო (ტყე)
ველა (ტყე)
ონაგირა (სათესი)
კორნალი (ტყე)
ბერიყანა
თერცი ხანა
მოსაკლავი (ტყე)
გაბრუჩეთი
პატარა ხევი (ღელე)
ქვაბის კარა (ღელე)
ლორტის ვაკე
ნაძვნარა

ქოქოლეთი

თავკალო (ტყე)
ხეფუტკარა (ტყე)
კარცხატიანი (საძოვარი, ტყე)
ნაოლავი (ტყე)

ნაღომვარი (ტყე)
შალაღელე (ღელე)
ბაგათის ღელე (ღელე)
დაბალყელობა (ტყე)
აჭარის გზები (ტყე)

ეწრიან ვაკე (საძოვარი)
ნაიალევი (ტყე)
ღომის ღარდო (ბუჩქნარი)
ცივწყაროს ღელე (ტყე)
ნაიარგვევი (მინდორი)
ტიალყანა (ტყე)
სანთელა ღელე (ღელე)
შავკილდე (ტყე)
ყირჯალოღლი ყანა (სათესი)
წაბლობელი (სათესი, მინდორი)
ვაკეყანა (სათესი)
თიკრათავი (სათესი)
დილმიანი (ტყე)
კოხორვაი (ტყე)
შორავლაი (ტყე)
აყორვილი (ბუჩქნარი)
საქყარო ქედი
იაილიკარი (ტყე)[6]
დანგრეული (კლდე)
ბოსელთხევი (საძოვარი)
კომსიმერე ქედი (ტყე)
კომსიმერე (სათესი)[7]
იაილები ვაკე (ტყე)
ფალინი (მინდორი)
ნაბეღლავი (სათესი)
ფსლიანი თავი (სათესი)
წოწოლაწინაი (სათესი)
ყურკაპანი (სათესი)
გორგოშაღელე (სათესი)
გრძელაყანა (სათესი)
ტურიბუდე (სათესი)
ციხეგოდორა (სათესი)
პლაკიები (სათესი)
მოლოქნარა (სათესი)
ნაპურვალი (სათესი)
ვაკიბოლო (სათესი)
ბუჯაღი (ტყე)
ქოქოლი კილდე
წყაროქვეშა (სათესი)
ნაფაცხევი (თამბაქო)
ჭახავრი (ვენახი)
ზღმარტლიძირი (ვენახი)
კურჭუმულო
კორდი (ვენახი)
ციცილეთ ქედი
მალაქედი (სათესი)
ბარდნალი (ტყე)
ორცოლვაკე (საძოვარი)
სამხეწრო (ტყე)
ქისიბი (ტყე)
ცაცხვნარი (ტყე)
კირკიტეთის ტყე
იარაქედი (ტყე)
პერანგა (ტყე)
ქოქოლეთის წყალი
შალალა ღელე

ბაგათის ღელე
იაილებიღელე
წისქვილი ღელე
წყავნარას ღელე
სველი ცაცხვიძირი (ტყე)
აბანო (ტყე)
დამწვარნალია (სათესი)

ყორითავი (ბაღჩა)
სასვენი (ყანა)
ჯვარიღელე
ქვაწინწკელა
მერე
ყულიქედი
ყალივაკე

სიკალეთი[8]

დოლაბეთა (საძოვარი, სათესი)[9]
მოსაქციელი
ვეების ყანა
ქედსიქითი
ხუმრიანი ყანა
ხალითას ვენახები
ურთხვალი (საძოვარი)
ლომფორო
ინჯასქედი
ხარუნას ნალაიევი
ვაშლიანი
კილდითავი
პურჭყი ყანა
უყვის ყანა
კვერცხიკაკალო (სათესი)[10]
სათიხე ღელე
ურთხვან ყანა
ქვიტივი (დასახლება)
ძაღლისარჩობელა

ხუმრიანი
ვაშლიყანა
ნაასლევი
ნაოლავი
კოლოფაი
შეფენილი
ურთხვალი
კონცხითავი
ჩამპალი ღელე
მოყორვილა
ჯიჯავრი ქედი
წისქვილი ღელე
წისქვინარა
წყავნარა
ოთხზიარი
ხორგი
სიკალეთის ღელე
სიკალეთის ღარდო
საწაბლობელი
მანუცა

სოფელი საფუტკრეთი და გორგაბეთი[1]

სოფელი საფუტკრეთი

სათემო
საბმერხლე (ტყე)
საწყარო
საღზემი (ტყე)
პერანგაი (საძოვარი)
წაბლუნი ქედი (საძოვარი, ტყე)
წყალგაღმათი
წითელმიწა
კაცავრა (ტყე, სათესი)
კონწატყე (ტყე)
კუტულა
კვადავრა (სათესი)
ეჯიღლი მაღარა
ქედი ბოსტანი (სათესი)
ქვადედოფალა
გვერგვეთი
ძნელიეთაი (სათესი)
ძვარიაი (სათესი)
ჭედლივრაი (საძოვარი)
ლოდიანი ყანა (სათესი)
ფიქლანა (სათესი)
თავშავათი (სათესი)
ცხადიეთური (სათესი)
ცანცლავრა (სათესი)
ცისკარაი (სათესი)
მამული (სათესი)
ჯვართა (ტყე)
ნაფეტვარა (სათესი)
ნაუყვარაი (საძოვარი)
ნატბევი (ტყე)
ნაუჩვარაი (სათესი)
ბაგათი (სათესი)
გვერდი (სათესი)
ჩირდილაი (სათესი)
უყვი (სათესი)
ახოთი (სათესი)
ოჯაღაი (სათესი)
ახოთი (საძოვარი)
ბელტური (სათესი)
ტყიკილდე
უყვი (ტყე)
საბილანცრო (სათესი)
ფაფხავრა (საძოვარი, ტყე)

სოფელი გორგაბეთი

აკვანა (საძოვარი)
ახოთი (სათესი)
ბლიანი (სათესი)
გვერგვეთი (საძოვარი)
გრძელი ყანა
ვაკე (სათესი)

ზეგანი (სათესი, ტყე)
ინაური
კაპანტა (ტყე, საძოვარი
კალაბოლო (სათესი)
კაცი მიწა (საძოვარი),
კონცა ტყე (ტყე)
კორნალი (საძოვარი)
მახუნდრავაი (საძოვარი)
მონაზლავი (სათესი)
გორვაული (სათესი)
მოყორვილაი
ნასელავი (სათესი)
ნატბევი (ტყე, ტბა)
ნაუჩვარი (საძოვარი, სათესი)
ნაჭიშკრევი (სათესი, საძოვარი)
ნიგვზიანი (სათესი)
პირდაპირი (სათესი)
საკეცე
სახადა (სათესი)
სხლიანი (სათესი)
ქებავრი (სათესი)
ქერაბსაჭარი (საძოვარი)
ჩირდილაი (სათესი)
ცანცლავრა (საძოვარი)
ცივწყარო (სათესი)
ცხრაგივა (ტყე)
წითელმიწა (სათესი)
წისქვინარა
წყავნარი (სათესი)
წყარო (წყარო)
წყლისაყარი (სათესი, საძოვარი)
ხოხოლები (სათესი)

სოფელი ქავთარეთი

ახოთი
ბექირაღაქედი (სათესი)
გორგაძეთი ღელე
დავლავრი (სათესი)
დედეს მამული
დვიბეში (სათესი)
დუქნიწინა (სათესი)
ინაური (სათესი)
მალაყმიეთი (სათესი)
ნაკანაფევი (სათესი, საძოვარი)
ნაფლატი
ნაქილისვარი
ნასაფინავი (საძოვარი)
პირდაპირი
სურვანა (სათესი)
ტურიფოსო ქედი (ტყე)
ფადო ბიბიას ბაღჩა (სათესი)
ქედი
ყანითავი (სათესი)

ღობალური (სათესი)
შტვირის ტყე (სათესი, ტყე)
წიაპა ღელე (საძოვარი)
წისქვილნარა

ზედა მაჭახელი

სოფელი ხერთვისი (Camili köyü)[1]

სისვარეთი
თევთიეთი
მალაყმიეთი
ღობალური
ყულე
ქვაბისური
ყარაგოლი
ნაჩადრევი გოლი
ფუნღარი წყარო
შრატაი გოლი

ხერთვისის იაილების ადგილთა სახელები

ყიბლი წვერო
ხევზნერი
ჭულე კვავრაი
ყელობა
კვირიკა
ნადარბაზნევი

სოფელი მინდიეთი (Mural köyü)[2]

ნაციხვარი
ხევიღელე
ირემეთი
ბალიქედი
ნაღომვარი ქედი
ზეკალეთი
ოსანეთი
კორტანეთი
კონკალეთი
გივიეთი
დიდტყე
ველი
გოგორტყე
ციმნარეთი
ჯორიეთი
დევავრი ქედი
დევავრი
ქავთარეთი
ქოფრი ქედი
თევთიეთი
ზემტყისი
ზემზვარე
ნაოლავი
საწუმპი

თელავნარა
ყიბლის სირთი
წიახის ნახევარი
ჩრევლი თავი
ტომბოშური
კავნარი
ველის ნახევარი
ქედას თავი
ცეცხლური
დიდქვა
ბალვანი ქედი

მინდიეთის იაილების ადგილთა სახელები

წითლობი
მერეთა
ლამაზი ვაკე
საყდარაი
მაღალსერი
სამფხლე
დიდვაკე
ფაფართი³
კუდიანი გოლი
მერეთის სირთი
ქავთარ ყანა
გოგორ ტყე
ჯირეთი
წიახი
წელითავი ყიშლა
ღრმა ღელე

სოფელი აკრია (Ugur köyü)

ნანინო
გალდო
ველი
უკანატყე
სურიანი
ჩიდილი
ვაშლის ქედი
ჯამიკარი
დიდღელე
აკვანათა
ზვარე
ჩივინთა
ბორბალი ქედი
გუდაბნო
საწვეთური
უსეინაღი ღელე
საპწიალა ქედი
კივირთა კილდე
ახალი გზა
გოგავრი
სიმონეთი
ნადარბაზევი

პირდაპირი
დევტობანი
ჭურიპირი
ნაჭიშკრევი
ოთხზიარი ტყე
მოდრეკელა
გუბათი
კორდა
გოგინიძეები
წყარტო
ბოსტანათი
ჯამიკარი
ბორგი
ჩატეხილი
თეთრო
ცაცხვნარი
არყნალი
ჭურიპირი
აკვანათა

იანვარ ქედი
გუბათი ღელე
წიქეთი ღელე
მელასათიბე
ნურია ღელე
ზვარე
წითელ კილდე
პლაკნარა ქედი
ეწრიან ქედი
ბორბალა
ნაოლავი
ჟოლა ქედი
მოყორვილა
გოგლიძეები
ჩხერი ღელე
სახათი
ნამყური
სავარცხალაი
წიფნარი

სოფელი ქვაბითავი (Kayalar köyü)

ტომბოშური
ოქროწყალი
კელობა
გობი
ქვედა ქვაბითავი
ჯამიკარი
ნასელვარი
დიდღელე

წითელყანა
ნაღომვარი
ხეჩოქედი
ქათამო
გუნდარავლი
ჩხერითავი
ზარმელიქედი
ლამაზი ქედი

ზეგანი ქედი
ზეგანი
ზრუგავი
ნაბოლქვარი
ვაშლიძირი
დიდგუნდარავი
ბოგილი ქედი
კანჯარავლი
პლაკიანი
ავაზაი
ტურული
მოლისანი
ჯირეკნალი ქედი
ყრუხიდი
ნაბეღლავი ქედი
ცივწყარო
ნაკორდალი
ტურული თავი
უყვი
სასამო
გულაამედ ყანა
შუამეელე (ორთამეელე)
ქავთარო თავი
წითელქედი
მაღალყანითავი
ალიაყანა
ნაახორავი
ფისნალ ვაკე
პაწაღელე
თელევნარი
სალოცავები
ლოკონი
ვაკენთი
ქავთარეთი ღელე
სანადურული
ნაკორდალი
ქვიღარა
უქმური წყალი
ნასახლევი
ყრუღარდი
ყორილავი
სასამო ქედი
თომავრი
ნაჰორავი
ნაუყვარი
ნაფეტვარი
წაბლანვაკე
დიდღელე ღელე
ჩხერი
ნაბეღლავი ქედი
კიბიები
არყიანიქედი
ჩივთმახასი
თაქუსწვერი
ზეგანთი

ქვაბითავის იაილების ადგილთა სახელები

დამპლაწყარო
გასაყარი
სალოცავი ღელე
ყალინდერე
დამწვარმაღარა
დამწვარი
ჩარჩალა ღელე
თელავნარი
ლოდივაკე
ყალდურმები
სასვენი
სადივევაკე
სახუნდარი[4]
ფოტორაი
საქასრიას ვაკე
ინაწმინდა[5]
ტიტველი სირთი
დაბალყელი
წითლობი
კილითავი
ლეკობნითა
საკუპრია ღელე
ქუჩუქიათაღი
ჩხუტუნარების თა
ნაქილისვარი
ცივწყლები
კილითავები
შაშნარი სირთი
დიდღარდი
ცივწყარო
სამპრასე ღარდი

სოფელი ეფრატი (Efeler Köyü)[6]

კაკალური
ჰარკაბავლი
ჭანჭვალევი
სანაქი[7]
ვაციეთი
კიბორეთი
კვატალეთი
ნაპურვალი
გორგილავი
დოკონი
თავღელე
ჭინჭვანი
ნაფლატიანი
სკილინჯეთი
სათელავი
ნაბოსტნევი
ტრედავლი
ყოყოს ყანა
ჩორდავლი
დიდქედი

ხეჩაყანა
მისიანქორი ძირი
ნავანევი
დამძირათი
ურწყული
ზედა დამძირათი
კვესაური
პატარა ვაკე
ნატბევი
სურვანა
ნანალევი
საქონდრე
სათლელი
სვეტიანი ღელე
ნასაფენავი
ვაშლიანი ქედი
ბარჯგინავი
ჩუგათი
სახათი ღელე
ხეჩა ყანა
ბუმბული ქედი
სურვანაი
ჩივთი ღელე
ავჯანდა

წინარი
სასვენი
ფუნდუღი[8]
სათიხე
ბაგათვაკე
გაჭრილი ყაია
ზედა ფუნდუღი
ზედა ჯამიკარი
ნაჩადირევი
დემირ ყაფი
ნაქილისვარი
ნაქალაქევი[9]
ლამაზყანა
ქვაკაცი ღელე
გუნდარავლი
წუთხე ღარდი
ფოტორი
დიდაკვანა
თეთრი წყალი
დიდ გობელი
თავკალო[10]
ჩორდავლი
ურწყლო ღელე

ეფრატის იაილების ადგილთა სახელები

დაბელტული
გამოხეთქილი
გორგითი
კორტოხი

მოყორვილა
დიკიანი წყალი
გაჭრილი ყაია
ეწრიან ღელე

კავნარა
გოლამინდორი
იათაღი ვაკე
ლამაზი ყანა
აკვანა
ზიარეთის სირთი[11]
გადასავალი
ნაქალაქევი

სოფელი ზედვაკე (Düzenli)

ქათამო
გოხინავი
ბარასკურეთი
კოდაველიანთი
აგუანთი
თგინარა
გუნდიღელე
ქობათლუმი
შალვიენთი
სამანი
ზვარითავი
უყვი ვაკე
ოჯაღი
გვალყანა
უტყისუბანი
დიდღელე
ფიქალთი
სამალევი
მაღრისინი
გელატყე
კორდები
ნაფეტვარი
უყვითავი
ნაღომვარი
სანდავრი
ხორგიანი
ჩავლიეთი
ვაციეთი
ჯაფარეთი
სურვანა
ჰელიმანთი
წყარო
ოჰორათი
გაჰმარო
ჭურა
წყავყანა
სავტური
მელავნარი
ხოჯი ყანა
დათვიტყე
ვარდაწყარო
ნაფაცხევი
კოტავიანთი
ლოდიანთი
გუნდი ღელე
ბალასკურეთი

ქუნთელეთი
ხორგიანი
უსტალიენთი
ნამალევი
ასანეთი
თხილნარი
მორცვიანი ქედი
ნადირავი
ურთხლი ქედი
ჭურაი
გორგა ტყე
ტყემლიანი
პირა თავი
ბაიახტარი
ლობალური
კატამო
ყული ქედი
ოხორათი
ფიქალათი

შენიშვნები

შესავლისათვის

1. ქვედა და ზედა მაჭახელი

მაჭახელი ქვედა და ზედა გეოგრაფიულ სახელებად (ტოპონიმებად) ადრე არ განიხილებოდა. იგი ერთიან, განუყრელ ხეობად იწოდებოდა. სამცხე–საათაბაგოს მღვდელმთავრთა (სამწყსოთა) აღწერილობაში (XVI საუკუნის პირველი ნახევარი) მაჭახელი მიჭიხიანად იწოდებოდა და შავშეთთან ერთად მოიხსენიებოდა.

ხეობის ქვედა (ქვედა მაჭახელი) და ზედა (ზედა მაჭახელი) ნაწილებად დაყოფა მას შემდეგ გაჩნდა, როდესაც 1921 წლის 16 მარტს დელიმიტირებული და დემარკირებული იქნა საზღვრები საქართველო-თურქეთს შორის (კეკელია, 2006:66) და ამიერიდან ერთიანი ხეობის ექვსი სოფელი (ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ეფრატი, ზედვაკე), მაღალმთიანი კარჩხალის მთის ზონის ჩათვლით, დღემდე მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებში (ართვინის ვილაიეთი, ბორჩხის ილჩე). ხეობის თერთმეტი სოფელი (ქედქედი, სინდიეთი, ჭანივრი, აჭარისაღმართი, სკურდიდი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი) საქართველოს საზღვრებში დარჩა და გაერთიანდა აჭარისაღმართის თემში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დღევანდელი აჭარისაღმართის საკრებულო).

ერთიანი მაჭახლის ხეობის ორ ნაწილად ტერიტორიულმა გამიჯვნამ უარყოფითი როლი ითამაშა რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დიდი ხნით შეწყდა ორად გაყო-

ფილ მაჭახლის მოსახლეობას შორის ტრადიციული მისვლა-მოსვლა, მათი სისხლით ნათესაური ურთიერთობა. გამონაკლისს შეადგენდა 1921-1930 წლამდე პერიოდი, როდესაც სპეციალური საშვით ზედა და ქვედა ჩხუტუნეთელ, ჩიქუნეთელ, საფუტკრეთელ, გორგაძეთელ მესაქონლეებს უფლება ეძლეოდათ ესარგებლათ კარჩხალის მთის ზონის საძოვრებით, რომლებითაც ისინი 1921 წლამდე, საქართველო-თურქეთს შორის საზღვრების დადგენამდე, სარგებლობდნენ.

არც ამ პერიოდის მაჭახლელთა სასაუბრო ლექსიკაში მოიპოვებოდა გამოთქმა „ქვედა მაჭახელი“, „ზედა მაჭახელი“. აქვე ვიტყვით, რომ ეს ცნებები სამეცნიერო ლიტერატურაშიც მოგვიანებით გაჩნდა - ისინი პირველად დააფიქსირა პავლე ინგოროყვამ. 1954 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, „გიორგი მერჩულე“, ის წერდა: მაჭახლის ერთი ნაწილი, ზემო მაჭახელი, ამჟამად თურქეთშია მოქცეული, ხოლო მეორე ნაწილი, ქვემო მაჭახელი, საქართველოს საზღვრებში შედის (ინგოროყვა, 1954:302). შემდეგ პროფესორმა იური სიხარულიძემ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკურ აღწერილობაში ცალკე გამოყო „ქვემო მაჭახლისა“ და „ზემო მაჭახლის“ ტოპონიმები (სიხარულიძე, 1958:130, 173, 175).

ბოლო წლებში ეთნოგრაფიულ და სხვა სახის ჩანაწერებში, მეცნიერებაში გაჩნდა სტატიები, სადაც სათაურადაა გამოტანილი „ზედა მაჭახელი“. 2019 წელს ცალკე ეთნოლოგიური ნაშრომიც გამოვიდა, რომლის სახელწოდებაა „ზედა მაჭახელი“ (წიგნი პირველი) (მალაყმაძე, ჩელებაძე, ფუტკარაძე, თანდილავა, 2019).

1990-იანი წლებიდან, როდესაც სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გახსნის დღიდან აღსდგა სამოცდაათი წლის წინ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში დარჩენილ და საქართ-

ველოში მცხოვრებ მაჭახელთა ტრადიციული მისვლა-მოსვლა, ნათესავთა მონახულება, თანდათან მკვიდრდება გამოთქმები „ქვედა მაჭახელი“, „ზედა მაჭახელი“. ალბათ, გაივლის დრო და შეიძლება ტოპონიმებადაც დამკვიდრდეს „ქვედა მაჭახელი“, „ზედა მაჭახელი“.

1921 წლამდე არსებული ერთიანი და ამავე წლიდან გაყოფილი მაჭახელი, სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გახსნის დღიდან (მას შემდეგ 30 წელზე მეტი გავიდა), კვლავ სულიერად გაერთიანდა. აღსდგა ძველი ტრადიციული ნათესაური და სხვა სახის ურთიერთობა. დღეს ხშირად სტუმრობენ ერთმანეთს ქვედა და ზედა მაჭახლის ხანდაზმულთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ზედა მაჭახლელთა წარმომადგენლები ყოველწლიურად მონაწილეობენ ქვედა მაჭახელში გამართულ მაჭახლობის სახალხო დღესასწაულში, ქვედა მაჭახლელები კი ზედა მაჭახელში გამართულ ყოველწლიურ თაფლის დღესასწაულში.

მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მეცნიერულ კავშირებსაც. თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში, ბათუმში და სხვაგან მომუშავე სხვადასხვა დარგის მეცნიერი მკვლევრები ორ ათეულ წელზე მეტია მეცნიერულად (ეთნოლოგიურად, ფოლკლორულად, დიალექტოლოგიურად, არქეოლოგიურად თუ სხვა სახით) სწავლობენ თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ძირძველი თუ მუჰაჯირი ქართველი მოსახლეობის ყოფასა და კულტურას, ერთად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის მეცნიერულ ფორუმებში. დღეს წარმატებით ვითარდება საქართველო-თურქეთს შორის მრავალმხრივი ბიზნესინტერესები და ა. შ.

ქვედა და ზედა მაჭახელთა ასეთი სასარგებლო ურთიერთობები კიდევ უფრო მეტ შინაარსს შეიძენს, თუკი მაჭახელშიც გაიხსნება სასაზღვრო გამშვები პუნქტი, რაც ორივე მხარის მოსახლეობის ინტერესებში შედის.

1. მაჭახლის ხეობის სახელწოდებისთვის

არც ერთი ქართველი თუ უცხოელი (რუსი, დასავლეთევროპელი) მოგზაური მკვლევარი, არც ერთი ავტორი, რომელიც უშუალოდ მაჭახელში მოგზაურობდა და ის ავტორებიც, რომელთაც მაჭახელში არ უმოგზაურიათ, მაგრამ მაჭახლის შესახებ წერდნენ, დიდად მოხიბლული და გაოცებული მაჭახლის ხეობის ბუნების მშვენიერებით, წარსული ისტორიით, მისი მატერიალური კულტურის ძეგლებით, აქ მცხოვრებთა შრომისმოყვარეობით, თავდადებული და გმირული ბრძოლით მომხვდურთა წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არ შეხებია ხეობის ეტიმოლოგიას, მისი სახელწოდების ახსნას. არც ის უცდიათ, გაერკვიათ, როდის იხსენიება პირველად მაჭახელი წერილობით წყაროებში.

არსებობს მხოლოდ ხალხური გადმოცემები მაჭახლის სახელწოდების ახსნაზე. ამ გადმოცემის მიხედვით, ხეობას მაჭახელი შეერქვა ადამიანის ხელის - მაჯის მიხედვით. ისე როგორც მაჯაზეა მიბმული თითები, ასევეა მდინარე მაჭახელაზე მიბმული მაჭახლის სოფლები, ე. ი. „მაჯახელის“ მიბაძვით შეერქვა აქაურობას მაჭახელიო.

მსგავსი გადმოცემები არსებობს ზედა მაჭახლელთა მეხსიერებაში (ფუტკარაძე, 1993:347; ზედა მაჭახელი, 2019:19).

მეორე ხალხური გადმოცემა 1964 წელს იქნა ჩაწერილი ჩვენ მიერ სოფელ კირნათში, „ძველი ამბების მცოდნე“ ხანდაზმული მუსა კახაბერიძისგან. ამ გადმოცემით, მაჭახელი კარგად იყო ცნობილი არა იმდენად კარგი ღვინის, არამედ საუკეთესო

არომატული ყურძნის მაჭრის დამზადებით. აქედანაა მიღებული ხეობის სახელწოდება მაჭარხევი, რომელიც შემდეგ მაჭახელად იქცა.

ამ გადმოცემებს, ბუნებრივია, აქვს არსებობის უფლება, მაგრამ მაჭახლის სახელწოდების ახსნის მყარ არგუმენტად მაინც არ გამოდგება.

წერილობითი სახით გასული საუკუნის ბოლოს გაჩნდა მოსაზრებანი მაჭახლის სახელწოდების ახსნისა გაზეთ „აჭარისა" და ჟურნალ „ჭოროხის" ფურცლებზე, რომლის ავტორები არიან ისტორიკოსი, ისტორიის დოქტორი სიმონ გოგიტიძე (გოგიტიძე, 1995; 1996) და ფილოლოგი მკვლევარი ანზორ ლორთქიფანიძე (ლორთქიფანიძე, 1995).

პირველის აზრით, სახელწოდება „მაჭახელი" უნდა უკავშირდებოდეს ჭარების სატომო სახელს, რომელიც თითქოს ძველად სახლობდა საკვლევი რეგიონის მიდამოებში. ამის საპირისპიროდ, მეორე ავტორმა „მაჭახლის" სახელწოდება „ჭას", „ჭალას" დაუკავშირა და აქედან წარმოშობილად ჩათვალა. ამას მოჰყვა პირველი ავტორის კონტრპასუხი, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა მეორე ავტორის მოსაზრებას და კვლავ ასაბუთებდა მაჭახლის სახელწოდების დაკავშირებას ჭარების სატომო სახელთან, რომლებიც ანტიკურ ხანაში ბიძერებისა და სხვა ვარიანტული სახელებით იყო ცნობილი.

მაჭახლის ეტიმოლოგიისა და სახელწოდების შესახებ წინამდებარე წიგნის ავტორმაც გამოთქვა მოსაზრება და არ გაიზიარა დასახელებულ ავტორთა შეხედულებანი, რომლებიც დამაჯერებლობას მოკლებულად მიიჩნია. ჩვენ ვწერდით, რომ მაჭახლის სახელწოდების წარმომავლობა დაკავშირებული უნდა იყოს რეგიონში უხსოვარი დროიდან მკვიდრ მოსახლე მაჭახლელთა სატომო სახელთან (კახიძე, 2013:107).

ჩვენთვის ხელმისაწვდომი წერილობითი წყაროს მიხედვით, მაჭახელი „მიჭიხიანის“ სახელწოდებით პირველად მოხსენიებულია სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა (სამწყსოთა) აღწერილობაში, რომელიც XVI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. ეს ცნობა პირველად დაიბეჭდა 1871 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მეოთხე ნომერში. ცნობა შეტანილია, აგრეთვე, დიმიტრი ბაქრაძის მიერ 1879 წელს პეტერბურგში რუსულად გამოქვეყნებულ ნაშრომში (ბაქრაძე, 1879:53), შემდეგ მოსე ჯანაშვილის ნაშრომში „მესხეთი“ (ჯანაშვილი, 1915:7) და „ქართული სამართლის ძეგლების“ მესამე ტომში (1970:245).

მაჭახლის ხეობა „მაჭახლის ლივის“ თუ „სანჯაყის“ სახით შესულია XVI საუკუნის ოსმალურ საგადასახადო სიებში, რომლებიც ინახება თურქეთის მინისტრთა საბჭოს სტამბოლის არქივებში (შაშიკაძე, 2007; შენგელია, 2016). მაჭახელი მოხსენიებულია, აგრეთვე, XVII საუკუნის ცნობილი თურქი მოგზაურის ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ (ჩელები, 1971:299). მაჭახელი დამახინჯებული – „მახიკელის“ სახელითაა შეტანილი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოგზაურის გიულდენშტედტის ნაშრომში (გიულდენშტედტი, 1962:315).

შეიძლება ითქვას, რომ „მიჭიხიანის“ სახელწოდება, სავარაუდოდ, მაინც მამაკაცის საკუთარი სახელიდან - „მიჭიხია“ უნდა მომდინარეობდეს, რომელიც მატიანის 525-ე მოსახსენებელშია შესული (ენუქიძე, 1977:132).

აქედან გამომდინარე, გამოვთქვამდით მოსაზრებას, რომ მაჭახლის დღევანდელი სახელწოდება შეიძლება მომდინარეობდეს „ტბეთის სულთა მატიანეში“ მოხსენიებული „მისჭიხია“-დან, რომელიც სან ფორმანტის გარეშე (მატიანისეული გვარსახელები სან ფორმანტით მოიხსენიება) იქნება „მიჭიხია“. სწორედ მიჭიხიანის სახელწოდებითაა მოხსენიებული მაჭახელი

სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა აღწერილობაში. მიჭიხიანიდან მივიღეთ მაჭახელი, რომელიც აქ მცხოვრებთა სატომო სახელი უნდა ყოფილიყო. ამის ნიმუშია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული კუთხეები შავშეთი და კლარჯეთი, რომლებიც აქ მცხოვრები კლარჯი და შავში ტომების სახელს უკავშირდება. ანალოგიურად, სოფელ ჩხუტუნეთის სახელწოდებაც უნდა უკავშირდებოდეს ქალის საკუთარ სახელ ჩხუტუნიას, რომელიც მატიანის 39-ე მოსახსენებლის ადრეულ ფენაშია (XII-XIII საუკუნეები) შეტანილი (ენუქიძე, 1977:64). ქალის სახელი კი საქართველოში არაერთ სოფელს დაედო საფუძვლად, მაგალითად, თამარაშენი, ნინოწმინდა, თამარიანი, თამარისი და ა.შ.

განხილული მონაცემები არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ დღევანდელი მაჭახლის ხეობის სახელწოდების გაჩენა უფრო შორეულ პერიოდს დავუკავშიროთ.

2. მიჭიხიანი

როგორც ითქვა, ჩვენთვის ხელმისაწვდომი წერილობითი წყაროებიდან, სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამრევლოების (სამწყსოების) აღწერილობა ჯერჯერობით პირველია, რომელშიც დღევანდელი მაჭახელი (მაჭახლის ხეობა) მიჭიხიანის სახელწოდებით მოიხსენიება. დოკუმენტში მიჭიხიანი შავშეთში შემავალ გეოგრაფიულ ერთეულადაა დასახელებული. თუმცა, ისტორიულად და გეოგრაფიულად მაჭახელი ყოველთვის აჭარის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. ასეა დღესაც. ამავე დროს, ახსნას საჭიროებს, მაშინ „შავშეთი მიჭიხიანით“ მთელ მაჭახლის ხეობას გულისხმობდა თუ მის ზედა ნაწილს

(ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ეფრატი, ზედვაკე). მკვლევართაგან, ვინც მაჭახლის ხეობაში მოგზაურობდა და იცნობდა აღნიშნულ დოკუმენტს, არავინ დაინტერესებულა საკითხით: რატომ მოიხსენიება მიჭიხიანი შავშეთთან ერთად. ჩვენი ახსნით, ცნებაში „შავშეთი მიჭიხიანით“ მიჭიხიანის (მაჭახლის ხეობის) ზედა ნაწილი უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც ტერიტორიულად და გეოგრაფიულად ტბეთის სამწყსოს იურისდიქციაში შემავალ შავშეთთან ახლოს მდებარეობდა.

1. ჩხუტუნეთი (ზედა და ქვედა ჩხუტუნეთი)

ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი წყაროს მიხედვით, ჩხუტუნეთი პირველად მოხსენიებულია „ტბეთის სულთა მატიანის“ (XII-XVII საუკუნეები) ადრინდელ (XII-XIII საუკუნეები) ფენაში. მატიანის 119-ე მოსახსენებელში ვკითხულობთ: „სულსა ყოველთა ჩხუტუნეთით შემომწირველთა ამის ეკლესიისასა შეუნდვენ ღმერთმან“ (ენუქიძე, 1977).

აქედან ისიც ირკვევა, რომ დღევანდელი ქვედა და ზედა ჩხუტუნეთი მაშინ ორად გაყოფილი არ ყოფილა და ერთ სოფლად იწოდებოდა. XIX საუკუნის 30-იან წლებშიც ჩხუტუნეთი ერთ სოფლადაა მოხსენიებული ოსმალურ დოკუმენტში, რომელიც ინახება თურქეთის მინისტრთა საბჭოს სტამბოლის არქივში. იგი ჰიჯრით 1251 წლით, ანუ 1835-1836 წლებით თარიღდება (თურქოლოგ ზაზა შაშიკაძის ზემოთ აღნიშნული ცნობა).

ერთიანი, განუყოფელი ჩხუტუნეთი მაშინ 67 კომლს ითვლიდა 216 მცხოვრებით. მაჭახელი ამ დროს ჩილდირის ვილაიეთში შედიოდა ლივის (ოლქის) სახელწოდებით. მაჭახლის ლივაში, ჩხუტუნეთის გარდა, ჩამოთვლილია კიდევ 14 სოფელი შემდეგი თანმიმდევრობით: ზედვაკე, ხერთვისი, აჭარისაღმართი, საფუტკრეთი, ჭანივრი, აკრია, ქედქედი, ქვაბითავი, ჩიქუნეთი, მინდიეთი, ეფრატი, ცხემლარა, სინდიეთი, ქვემო ჩიქუნეთი. ამ სიაში არაა მოხსენიებული მაჭახლის ორი სოფელი – გორგაძეთი და საფუტკრეთი.

დოკუმენტიდან ისიც ირკვევა, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებშიც ყოფილა მიწერილი მაჭახლის ლივაზე 8 სოფელი (მაჭახლისპირი, უჩხითი, გვარა, კირნათი, ნამლისევი, მილისი, ქვემო ხერთვისი, მაღლაკონი), რომლებიც გეოგრაფიულად მაჭახლის ხეობას არ ეკუთვნოდა. აქედან უშუალოდ მაჭახელს ეკვროდა მაჭახლისპირი, მაღლაკონი, ქვედა ხერთვისი, გვარა, კირნათი. ასე იყო XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ნამლისევი და მილისი კი მაჭახლისგან ქედებით იყო გამოყოფილი. მაგრამ, სავარაუდოდ, ტერიტორიული სიახლოვის გამო და საგადასახადო ოპერაციების ჩატარების გაადვილების მიზნით, ოსმალებმა ეს სოფლებიც მაჭახლის ლივაში შეიყვანეს.

ამრიგად, მაჭახლის ლივაში აღნიშნულ პერიოდში 25 სოფელი შედიოდა. ეს 25 სოფელია დასახელებული 9520 მცხოვრებით მაჭახლის ხეობაში ტრაპიზონის კონსულის ჯიფორდ პალგრევის 1867-1869 და 1872 წლების ანგარიშებში (პალგრევი, 2012:660). ამ დროსაც ჩხუტუნეთი გაყოფილი არ ჩანს. გაყოფილი რომ ყოფილიყო, მაშინ პალგრევი რაოდენობრივად 25 სოფელს კი არა, 26-ს დაასახელებდა.

ორად გაყოფილი ჩხუტუნეთი ქვედა და ზედა ჩხუტუნეთის სახელწოდებით შეტანილია რუსი ჟურნალისტის ალექსანდრე ფრენკელისა (იგი რუსეთის ჯარს შემოყვა ბათუმში 1878 წლის აგვისტოში) და დავით წერეთლის ჩანაწერებში (ფრენკელი, 2012:207; წერეთელი, 1878, 21 ნოემბერი).

რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით ჩხუტუნეთის ეტიმოლოგიაზე, მისი სახელწოდების წარმომავლობაზე. არის მოსაზრება ჩხუტუნეთის სახელწოდების დაკავშირებისა სვანურლეჩხუმურ სიტყვასთან „ჩხუტ“, რაც ქვა-კენჭიან ადგილს აღნიშნავს (ბექირიშვილი, 2001:296). ასეთი ახსნა, ცხადია, სინამდვილეს მოკლებულია. ქვა-კენჭიანი ადგილები საქართველოში

სხვაგანაც არის, მაგრამ მისგან მომდინარე სახელი გეოგრაფიულ პუნქტს არ დარქმევია.

ჩვენი აზრით, სოფლის სახელი ჩხუტუნეთი შესაძლებელია მომდინარეობდეს ქალის სახელისგან ჩხუტუნია, რომელიც მოხსენიებულია „ტბეთის სულთა მატიანის“ ადრეულ ფენაში (XII-XIII საუკუნეები). მატიანის 39-ე მოსახსენებელში ვკითხულობთ: „სულსა გიგანისძისა ზაქარიასასა და მისისა მეუღლისა ჩხუტუნიასასა შეუნდვენ ღმერთმან“ (ენუქიძე, 1977:64). საქართველოში გეოგრაფიული პუნქტისათვის ქალის სახელის შერქმევის ფაქტები უცნობი არ არის (მაგალითად, თამარაშენი ქარელის რაიონში, თამარისი მარნეულის რაიონში, თეკლათი სენაკის რაიონში, შუშანეთი ხელვაჩაურის რაიონში).

როგორც ქვედა, ისე ზედა ჩხუტუნეთი გამორჩეული სოფლებია მდიდარი ისტორიისა და კულტურის ძეგლებით. ქვედა ჩხუტუნეთი ცნობილია ყალივაკის შუა საუკუნეების ციხით, კინტურეთის ნასოფლარით, ნაქილისევით ანუ ნაეკლესიარით, სადაც, გადმოცემით, თამარ მეფის რეზიდენციაც ყოფილა. ზედა ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე აღრიცხულია ქვიტკირით ნაშენი ექვსი საწნახელი, ერთი მარანი, ორი ქვის თაღიანი ხიდი, ორი ნასოფლარი. აქ ცხოვრობენ ნაგერვაძეები და ძნელაძეები, რომლებიც მაჭახლის ხეობის გარეთაც ცნობილი იყვნენ ცივი და ცეცხლსასროლი (კაჟ-ჩახმახიანი თოფი და დამბაჩა) იარაღების დამზადებით. ორივე ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე გადიოდა უმოკლესი სახმელეთო საქარავნო გზა, რომელიც შავშეთის მხარეს შავიზღვისპირეთთან აკავშირებდა (კახიძე, 1974:7).

ისტორიამ შემოგვინახა ცნობა, რომლის მიხედვით, XVII საუკუნის ბოლოს აქ მოღვაწეობდა ვინმე იოანე ჩხუტუნეთელი, რომელსაც 1696 წელს ისტორიული ხასიათის ნაწარმოები შეუქმნია. იოანე შემდეგ აქ მცხოვრებ ფუტკარაძეებთან, კახი-

ძეებთან და სხვებთან ერთად იმერეთში გადახვეწილა (გაზეთი „აღორძინება“, 1997, 123 თებერვალი, მითითებულია ი. ბექირიშვილის წიგნიდან (ბექირიშვილი, 2001)).

სოფელი ქედქედი

1. ქედქედი

საქართველოში „ქედ“ ძირიანი რამდენიმე გეოგრაფიული სახელი, მათ შორის, სოფელი, გვხვდება, მაგრამ ორმაგ „ქედ“-იანი მხოლოდ სოფელი ქედქედია. როგორც ჩანს, ეს სახელი სოფელს იმის გამო შეერქვა, რომ მოსახლეობის განსახლება აქ ძირითადად ქედებს, როგორც მომაღლო ადგილს, მისდევს და ამდენად, გეოგრაფიული თავისებურებებით აიხსნება.

სოფელი ქედქედი სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას და სიძველითაც გამოირჩევა. ამის დასტურია ახლახან მიკვლეული შუა საუკუნეების დროინდელი ქვის თაღიანი ხიდის ერთი მხარის საძირკვლის ნაშთი, რაც დღემდე ცნობილი არ იყო. ამის შესახებ ცნობა მოგვაწოდა და მის მიერ გადაღებული ფოტოსურათი გვაჩვენა ისტორიის დოქტორმა როინ მალაყმაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ. ამიერიდან სოფელი ქედქედი მაჭახლის ხეობის იმ სოფლების სიაში ირიცხება, სადაც ქვის თაღიანი ხიდები არსებობდა. ასეთი ხიდებით კი ხეობა გამორჩეულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. როგორც ჩანს, ქედქედის ხიდიც იმ წყალდიდობის შედეგად დაინგრა, რასაც XIX საუკუნის ბოლოს ჰქონდა ადგილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

სოფელ ქედქედის მიკროტოპონიმებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რაბათი, რომელიც სოფლის ერთ-ერთ და-

სახლებულ უბანს ეწოდება. უცხო სიტყვათა ლექსიკონში რაბათი განმარტებულია არაბულიდან მომდინარე სიტყვად და VII-VIII საუკუნეებში ეწოდებოდა ხელოსნებითა და ვაჭრებით დასახლებულ გარეუბანს, რომელიც IX-X საუკუნეებში აღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი ხდება (ჭაბაშვილი, 1989:420).

როგორც ირკვევა, XVI საუკუნის მეორე ნახევრის ოსმალური წერილობით წყაროების მიხედვით, ასეთი რაბათები აჭარის მაშინდელ ციხეებთანაც არსებობდა (შაშიკაძე, მახარაძე, 2011). შავშეთში კი რაბათის სახელწოდებით ცალკე სოფელიც არსებობს (ყაზბეგი, 1995:83). მარტო აჭარისწყლის ხეობაში ექვსი ციხის რაბათი არსებობდა, რისი საფუძვლიანი შესწავლის აუცილებლობა დღის წესრიგში პირველად დააყენა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ბიჭიკო დიასამიძემ (2016).

ციხეებთან რომ რაბათები არსებობდა, ეს ფაქტია. მაგრამ სოფელ ქედქედში ასეთი რაბათის არსებობა, რაზეც ამ სახელის ტოპონიმი მიუთითებს, მართლაც განსაკუთრებულ შესწავლასა და შეფასებას იმსახურებს. ჩვენი აზრით, ქედქედის დასახელებული რაბათი, რომელიც ტერიტორიულად ახლოს იყო გვარას წინაფეოდალური ხანის ციხესთან, თავისი ხელოსნებითა და ვაჭრებით ამ ციხის ინტერესებს ემსახურებოდა ან უფრო ახლო მდებარე ციხეს ეკუთვნოდა, რომელიც დღემდე არ შემორჩენილა და მხოლოდ ტოპონიმმა „ყული კარმა“ შემოგვინახა. ყულე თურქულიდან მომდინარეობს და ციხეს ნიშნავს.

ტოპონიმები „რაბათი“ და „ყული კარი“ არქეოლოგიური თვალსაზრისითაც საინტერესო იქნება, თუ აქ არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები მაინც ჩატარდება, რათა რაბათისა და ყული კარის რაღაც ნაშთი შეიძლება აღმოჩნდეს.

2. მარჯანევლი

ქედქედელთა გადმოცემით, სოფლის დასახლებას, სადაც გასული საუკუნის დამდეგიდან, სოფელ საფუტკრეთიდან ჩამოსახლებული მესაქონლე ხასან ფუტკარაძე ცხოვრობდა, მარჯანევლი იმიტომ შეერქვა, რომ ახლომახლო ბევრი ძმერხლი იყო, რომელიც საქონლის საუკეთესო საკვებად ითვლებოდა.

ტოპონიმის სახელი მიღებულია თურქული სიტყვიდან „მერჯან“, რაც, აქაური მთხრობლის მიხედვით, ძმერხლს ნიშნავს. მცენარის სახელიდან ნაწარმოები ტოპონიმები ქართულ ტოპონიმიკაში მრავლად გვხვდება, მათ შორის, საკუთრივ მაჭახლის ხეობაში (ცხემლარა, სხლიანი, თხილები, დიდთელიანი, ცაცხვები ვაკე და ა.შ.).

3. მაჭახელჰესი

მაჭახელჰესი გვიან გაჩენილი ტიპონიმია და დაკავშირებულია აქ 1956 წელს აგებულ ჰიდროელექტროსადგურთან. ეს იყო ერთ-ერთი დიდი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური საქართველოში, რომელმაც მთლიანად დააკმაყოფილა მაშინდელი ბათუმის რაიონის (ახლანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე. მისი სიმძლავრე 1600 კილოვატი იყო. ამჟამად მაჭახელჰესი ჩართულია საქართველოს ერთიან ელექტროენერგიის სისტემაში.

სოფელი ჭანივრი

1. ნამოხვარი

სახელწოდება ნამოხვარი დაკავშირებულია აქ ენდემური პურეულის - მახას მოყვანასთან. მოხა მახას ლაზურ-მეგრული შესატყვისია (შდრ.: ჩიტაია, 1969; მაყაშვილი, 1961:48). ამ ტოპონიმის არსებობა ნათელი ფაქტია იმისა, რომ მაჭახლის ხეობა ქართული ენდემური პურეულის - მახას გავრცელების ლოკალურ კერად ჩაითვალოს. წარსულში მახას პურეულის გავრცელებას მაჭახლის ხეობაში საკუთრივ ეთნოგრაფიული მონაცემები ხანდაზმულთა გადმოცემებიც ადასტურებს (კახიძე, 1974:27-28).

საინტერესოა თვით სოფელ ჭანივრის სახელწოდების გარკვევაც, სადაც ტოპონიმი ნამოხვარი არსებობს. ჭანივრი, რომელშიც ძირი ჭან გამოიყოფა, ეთნონიმური წარმოშობისაა და აქ ჭანიძეთა საცხოვრისზე უნდა მიუთითებდეს. მართალია, დღეს სოფელში მხოლოდ ჭანიძეთა მხოლოდ ერთი კომლი სახლობს, მაგრამ წარსულში მათი სიმრავლეა საგულისხმებელი. საინტერესოა ჭანიძის გვარის ორჯერ მოხსენიებაც ჭანისძის ფორმით „ტბეთის სულთა მატიანის" (XII-XVII საუკუნეები) ადრინდელ (XII-XIII საუკუნეები) ფენაში. ერთ მათგანზე პირდაპირაა ნათქვამი, რომ იგი ჯოჭოელი ჭანიძეა, სახელად გრიგოლი (ენუქიძე, 1978:124). მაგრამ ძნელი სათქმელია, ეს პიროვნება წარმოშობით ჯოჭოელი ჭანიძეა თუ სოფელ ჭანივრიდან ჯოჭოში ჩასახლებული. ჩვენი ვარაუდით, ასეც შეიძლება იყოს. ჭანიძე რომ სოფელ ჭანივრის მკვიდრი გვარია, ამაზე თვით სოფლის სახელწოდებაც მიუთითებს.

მაჭახლის ხეობის სხვადასხვა სოფლიდან ჯოჭოსა და სოფელ ერგეში (ჯოჭო დღეს ერგეში შემავალი დასახლებული

პუნქტია) ჩასახლების ფაქტები მოგვიანო საუკუნეებშიც (გასული საუკუნის ჩათვლით) დამახასიათებელი მოვლენა ჩანს (უზუნაძე, 2016. (იხ. თავი მიგრაციულ პროცესებზე).

სოფელი სინდიეთი

1. ტაბანი

ტაბანის, როგორც ადგილის სახელწოდების, წარმომავლობის ახსნით აჭარის ტოპონიმიკის მკვლევარი იური სიხარულიძე არ დაინტერესებულა. 1935 წელს საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ პირველ ტომში (1976), აჭარაში შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით, ალ. ღლონტი წერს, რომ ტაბანი ბინის საძირკვლის აღმნიშვნელია (ღლონტი, 1984:504). ივანე ჯავახიშვილი კი სიტყვა ტაბანს ქართულ ტბას უკავშირებდა. ეს აზრი მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938-1939 წლებში ლექციების კითხვის დროს გამოუთქვამს ტამანის ნახევარკუნძულის სახელწოდების ახსნასთან დაკავშირებით (კახაძე, 1961:1940). ჩვენი ახსნით, მაჭახლის ტაბანი, როგორც სოფელ სინდიეთში არსებული ტოპონიმი, ტბასთან არ არის დაკავშირებული. აქ ტბის არსებობა საერთოდ არ დასტურდება. უფრო მისაღებია ტაბანის, როგორც საგეოგრაფიო სახელის, დაკავშირება მის ადგილმდებარეობასთან, რადგან ეს ტოპონიმი ფერდობის ძირში მდებარეობს. აჭარულში ტაბანი ეწოდება ფეხსაცმლის ძირსაც. სინდიეთი მაჭახლის ხეობის პირველი სოფელია, რომელიც ზღვის დონიდან 30 მეტრზე მდებარეობს. ამდენად, ჩვენი აზრით, ტაბანი მთისძირა სოფლის აღმნიშვნელი

სახელწოდებაა, მსგავსად კაპანდიბისა, რომელიც კაპნის ძირას მდებარე ადგილის სახელია.

2. ჩალეწილი

ჩალეწილი მოიცავს მოზრდილ ტერიტორიას, რომელიც მოქცეულია მაჭახლის ხეობის ორი სოფლის – აჭარისაღმართ-სინდიეთისა და ქედის რაიონის მეზობელი ორი სოფლის – მილის-უჩხითის შუალედში. ჩალეწილი გამოირჩევა მეტად ნაყოფიერი ნიადაგებით, სადაც სიმინდისა და სხვა მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოდიოდა. ამიტომაც ჩალეწილის საყანე ადგილების დაპატრონებისათვის, რომელიც ადრე თავისუფალ ზონად ითვლებოდა, ერთის მხრივ, აჭარისაღმართის, სინდიეთისა და ქედქედის, მეორე მხრივ, მილის-უჩხითის მცხოვრებლებს შორის დავა ჩამოვარდნილა. ჩალეწილის დაუფლებისათვის დავა მაჭახლელების – აჭარისაღმართ-სინდიეთ-ქედქედლების სასარგებლოდ გადაწყვეტილა (კახიძე, 1967:60). არსებობს მეორე ვარიანტიც, რომლის მიხედვით ჩალეწილის საყანე ადგილების დაპატრონებისათვის დავა სოფელ მაღლაკონში მცხოვრებ ზაქარაძეებსა და სინდიეთელ კვირიტიძეებს შორის მომხდარა (ეს ტერიტორია ამ სოფლებსაც ესაზღვრება, რომელიც მაშინ სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა). მოდავეებს ასეთი სანაძლეო დაუდვიათ: თითოეულს წასაღებად უნდა დაემზადებინა რაღაც კერძი და სადაც გაცივდებოდა, იქ დაიდებოდა საზღვარი. ზაქარაძეებს კვერცხი შეუწვავთ და წაუღიათ, მაგრამ ახლო მანძილზე გაცივებულა. სინდიეთელ კვირიტიძე-ყარაღაშვილებს კი ბრინჯიანი „ქათმის ჩორბა“ გაუკეთებიათ და გაცივებამდე ჩალეწილამდე მისულან. სანაძლეოს თანახმად, ჩალეწილი ამ უკანასკნელთა საკუთრებად გამოცხა-

დებულა. ეს XIX საუკუნის ბოლოს მომხდარა (ცნობა ჩაწერილია ქედქედელი 67 წლის ისმაილ კოპინაძისგან, 1963 წელს).

ჩალეწილი სამეურნეო ტოპონიმია და მისი ამ მიზნით ათვისება და გამოყენება ადრე უნდა მომხდარიყო. ამაზე მიუთითებს 2005 წელს აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ცული, რომელიც, მსგავს ძველ კოლხურ ცულებთან შედარებითი შესწავლის საფუძველზე 3000 წლის ისტორიის ნიმუშად მოიხსენიება (კახიძე, 2008:39).

ჩალეწილის მიდამოები ისტორიული ამბებითაც ხასიათდება. პირველი მსოფლიო ომის წლებში აქ ცხარე ბრძოლები გამართულა რუსებსა და თურქებს შორის. 1950-იან წლებამდე სანგრების ნაკვალევი და ცოტათი ადრე ტყვიის ცარიელი ვაზნებიც ყოფილა შემორჩენილი.

3. თავარანგელო

მაჭახლელთა მეხსიერებაში ამ ტოპონიმის ახსნა არ შემონახულა, მაგრამ ცხადია, რომ იგი სახენაცვალი ფორმაა ბერძნული მთავარანგელოზისა, რაც ნიშნავს უფროს, მთავარ ანგელოზს (გელოვანი, 1990:11). ქრისტიანული მითოლოგიის თანახმად, მთავარანგელოზი განასახიერებს ზეციურ არსებას, რომელიც ითვლება მტრული ძალის მძლეველად, ავადმყოფთა მკურნალად, უცოდინართა განამანთლებალდ, გაჭირვებულთა დამხმარედ, ღვთისადმი სიყვარულის გამღვიძებლად და ა. შ. (ქსე, ტ. VI:662-663). თავარანგელო სხვადასხვა ფორმით (თარანგელო, თარანგელოსერი, თარანგელოყელი) დადასტურებულია აჭარის სხვა სოფლებშიც (გობრონეთი, ტაკიძეები, წაბლანა, გუნდაური), აჭარის მეზობელ შავშეთის ნიგალში (სიხარულიძე, 1958:68, 73, 80, 101; 1986:66). თავარანგელოში, თარანგელოში

ფუძედ მოჩანს ბერძნულის საწყისი ფორმა „არქანგელო“, რაც მეტად საყურადღებოა. ასევე საყურადღებოა ისიც, რომ ტოპონიმ თავარანგელოს არსებობა უკავშირდება მთას, გადასასვლელს, ანგელოზთა ადგილსამყოფელს და, ამდენად, ქრისტიანთა მფარველ ფუნქციას იძენს. თავარანგელოსა და სხვა ამ რიგის ტოპონიმების არსებობა იმის მაჩვენებელია, თუ რაოდენ ძლიერი იყო ქრისტიანული მრწამსი, ქრისტიან მფარველთა ძალისადმი თაყვანისცემა ადგილობრივ მოსახლეობაში.

1. სოფელი აჭარისაღმართი

სოფლის სახელწოდება დაკავშირებულია აქედან ცხემლარას ქვის თაღიანი ხიდისა და ხულათის სირთის გავლით მეზობელი აჭარისწყლის ხეობაში, ქედაში გადასასვლელ გზასთან, საიდანაც შეიძლებოდა ხულაში (ხულოში) ჩასვლა. დღევანდელი აჭარისაღმართიდან იწყებოდა ხულათის სირთის გავლით ზემო აჭარაში მიმავალი გზის აღმართი. ამიტომაც შეერქვა სოფელს აჭარისაღმართი (აბაშიძე, 1945:11). მაჭახლიდან სხვაგან გადასასვლელი გზების დახასიათებისას, ამ გზასაც გულისხმობდა ინგლისის კონსული ტრაპიზონში XIX საუკუნის 60-70-იან წლებში. იგი წერდა: „მაჭახლიდან ორი სხვა გზაც მიდის. ერთი აჭარის ქედით პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ, ხულოში, მეორე სამხრეთისკენ არსიანის მთებში და შემდეგ, საბოვრების გავლით შავშეთის ოლქში მიემართება (პალგრევი, 2012:97).

აჭარისაღმართის სახელწოდებითა და აქედან ზემო აჭარისკენ გადასასვლელი გზის მონახულებით დაინტერესებული ყოფილა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის, გამო მან ეს ოცნება ვერ განახორციელა.

დღევანდელი ხულოს აღმნიშვნელი ძველი სახელწოდება ტოპონიმმა ხულათის სირთმა ცოცხლად შემოგვინახა. ხულოს ხულად XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოგზაურებიც მოიხსენიებენ (მაგალითისათვის იხილეთ: დიმიტრი ბაქრაძე, 1987:61-67).

2. წიახი

ტოპონიმს ხალხური ახსნა არ მოეპოვება. აჭარისაღმართის თემში შემავალი წიახის ტოპონიმის წარმომავლობაზე შეიძლება გავავრცელოთ ის ახსნა, რაც მაჭახლის ხეობის მეზობელი იმერხევის სოფლის - ჩედილას ერთ-ერთი უბნის - წიახის ახსნისას ჩაუწერია ნიკო მარს. ამ სოფლის მამასახლისს ნ. მარისთვის განუმარტავს, რომ „წიახ" ქართულად ნიშნავს ადგილს, სადაც ყოველთვის მზე ანათებს (Mapp, 1911:115). მართლაც, სოფელ აჭარისაღმართში შემავალი სოფლის უბნის მაგალითზე თუ ვიტყვით, აქ ამომავალი მზე დიდხანს ანათებს და მცხუნვარებს. წიახის განმარტება სულხან-საბა ორბელიანთანაც მოგვეპოვება და იგი კალთასა და უბეს აღნიშნავს (საბა, 1949:449). ამდენად, ეს ტოპონიმი, როგორც შენიშნულია, არქაიზმად უნდა განვიხილოთ (კუკულაძე, 1990:11).

3. ქვიშნარა

ტოპონიმის სახელი მომდინარეობს ქვიშიდან. აჭარისაღმართელთა გადმოცემით, აქაურობა ქვიშიანი ადგილია. 87 წლის ხამუდ ნაგერვაძის გადმოცემით (მასალა ჩაწერილია 1964 წელს), ქვიშნარა დასასვენებელი და თავშეკრების ადგილიც იყო, სადაც ხეობის სხვადასხვა სოფლიდან, მათ შორის, ზედა მაჭახლის

მინდიეთიდან და აკრიიდან ჩამოსულებიც იკრიბებოდნენ და სხვადასხვა საკითხზე მსჯელობდნენ. ქვიშნარა მდინარე მაჭახელას მარცხენა მხარეზე, დღევანდელი აჭარისაღმართის ხიდთან მდებარეობს. აქ მუდამ ნიავი ქროდა და ზაფხულის ცხელ დღეებში საუკეთესო დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. ქვიშნარას მიდამოები, რომლებიც უშუალოდ მდ. მაჭახელას ეკვრის, თევზის (კალმახი) სიუხვითაც გამოირჩეოდა და აქ დასასვენებლად მყოფნი ბადით თუ ანკესით თევზის დაჭერითაც ერთობოდნენ.

4. გოშპარეთი

გოშპარეთი სოფელ აჭარისაღმართის ძველი დასახლებული უბანი ჩანს. ეს გეოგრაფიული პუნქტი მდინარე მაჭახელას მარჯვენა მხარეს, სოფელ ჭანივრთან ახლოს მდებარეობს. ამ ტოპონიმის ახსნას პირველად ყურადღება მიაქცია პროფესორმა მიხეილ ქამადაძემ და, შუახევის რაიონის სოფელ წაბლანის ერთ-ერთი უბნის - გოშპარების მსგავსად, საკუთარ სახელს – გოშპარს დაუკავშირა. იგი აქვე მიუთითებდა აჭარისაღმართის გოშპარეთში ამჟამად მცხოვრებ დემურაძეებზე, რომლებსაც გოშპაროღლებს ეძახიან, რაც იგივე გოშპარიშვილებს ნიშნავს, სახელი გოშპარ სხვა ქართულ ისტორიულ წყაროებშიც დასტურდება (ქამადაძე, 1990:89-90).

სახელწოდება გოშპარეთის ძიებისას, პლატონ იოსელიანის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ შემთხვევით წავაწყდით გოშპარ კობიაშვილის გვარს (იოსელიანი, 1978:47). იგი 1864 წელს, 112 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას გიორგი XII ხსომებია. გოშპარეთიც ეთ-მაწარმოებლიანი ძველი ქართული ადგილმდებარეობის აღმნიშვნელია. ასეთი ეთ-მაწარმოებლიანი სახე-

ლები ძველი ქართული სახელების ნომენკლატურის სიაში ფართოდ ცნობილი მოვლენაა.

1. სოფელი სკურდიდი

საქართველოში სეხნია ტოპონიმები იშვიათი არ არის. ამ საკითხს, სხვებთან ერთად, პავლე ინგოროყვაც შეეხო. იგი წერდა: „სახელწოდება სკურია ქართული წარმოშობისაა, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ სახელწოდება ამ ფუძე-სიტყვით ჩვენ მრავალგზის გვხვდება შიდა საქართველოში“ (ინგოროყვა, 1959:171). მან ამ რიგის ტოპონიმებს შორის მაჭახლის სოფელი სკურდიდიც დაასახელა. „სკურ“-ფუძიანი გეოგრაფიული სახელები, ანუ ტოპონიმები და, მათ შორის, სოფელი სკურდიდი, პროფესორმა იური სიხარულიძემაც განიხილა და იგი, ისევე, როგორც საქართველოში გავრცელებული ამ რიგის სხვა ტოპონიმები, წყალს, მდინარეს დაუკავშირა (სიხარულიძე, 1958:173). დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ „სკურ“-ფუძიანი გეოგრაფიული სახელები უფრო დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული (ბერაძე, 1964:28), მათ შორის, ჭანეთშიც (ლაზეთი) (ყიფშიძე, 1937:196).

საქართველოს დღევანდელი სოფლობრივი სახელწოდებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სოფლის სახელწოდება სკურდიდის ფორმით, მაჭახლის ხეობის გარდა, სხვაგან არ გვხვდება. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ სოფელი სკურდი მარტვილის მუნიციპალიტეტში (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1987:219). მაჭახლის ხეობის სკურდიდი, როგორც ჰიდრონიმი, ამ მხრივაც განსაკუთრებულ შეფასებას იმსახურებს.

2. ნავანევი

ნავანევიც სოფელ სკურდიდის ძველი დასახლებული ადგილი უნდა იყოს, რაზეც ამ სახელის ფუძე - „ვანი“ მიუთითებს. სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებებით, ვანი სადგომის, ბინის აღმნიშვნელია. ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, ვანი უძველესი ტერმინია, რომელიც VI-VII საუკუნის ქართულ და ნათარგმნ ძეგლებში იხმარებოდა საცხოვრებელი სახლის აღსანიშნავად. მოგვიანებით კი ეს სახელი გვხვდება სავანეს მნიშვნელობით (ჯავახიშვილი, 1946:7-8). სავანეც იგივე სადგომის, ბინის აღმნიშვნელია (ჩუბინაშვილი, 1961:342).

ანალოგიურად, ნავანევი მიუთითებს იმ ადგილმდებარეობაზე, სადაც ადრე ასეთი სადგომი, ბინა არსებობდა. ანუ, ნავანევი წარმოქმნილია ვანიდან, „ნა“ პრეფიქსის დამატებით, რაც ყოფილობის აღმნიშვნელია (შდრ.: ნა პრეფიქსით წარმოქმნილი ადგილის სახელები მაჭახლის ხეობაში: ნაოლავი (სოფ. ჩიქუნეთი), ნასაფენავი, ნაპურვალი, ნაღომვარი (სოფ. ზედა ჩხუტუნეთი) და ა.შ.).

ნავანევის სეხნია ტოპონიმი გვხვდება ზედა მაჭახლის სოფელ ეფრატში (Şahin, 2000), რომელსაც, სავარაუდოდ, სავანეს ფუნქცია უნდა ჰქონოდა. საბას განმარტებით, ნავანევი დასასადგურებულ ადგილს ეწოდებოდა. სოფელ ეფრატს, რომელიც შავშეთიდან შავი ზღვისკენ გამავალ სახმელეთო გზაზე მდებარეობდა, ასეთი დასასადგურებული ადგილი ნამდვილად უნდა ჰქონოდა.

3. ქურათი (სკურდიდი)

ტოპონიმის სახელწოდება დაკავშირებულია აქ მიწაში ჩამარხული ჭურების აღმოჩენასთან. ჭურები ბევრ ადგილას უნა-

ხავთ და ისინი ყველგან ტოპონიმებად დამკვიდრებულა. ბუნებრივია, ჭურათი ისეთ ადგილს უნდა დარქმეოდა, სადაც დიდი რაოდენობით და დიდი მოცულობის ჭურები იყო დამარხული. მაგალითად, ასეთნაირადაა ცნობილი ადგილის სახელწოდება ჭურათი შავშეთის სოფელ ტბეთში, სადაც მრავალი ჭური და ქვის დიდი საწნახლები არსებულა (ცეცხლაძე, 2000:245). სკურდიდის ტოპონიმებში ცალკე ტოპონიმად მოიხსენიება, აგრეთვე, ჭურიანი ყანა, რომელიც სათესად გამოიყენებოდა.

1. სოფელი ცხემლარა

სოფლის ერთ მხარეს ახლაც ბევრია ხე-მცენარეები, მათ შორის, ცხემლა. სოფლის სახელიც ცხემლიდან უნდა იყოს მიღებული. ამ მცენარიდანაა მიღებული სოფლის სახელები: ცხემლისი შუახევის რაიონის ჭვანის ხეობაში, ცხემნა ქედის რაიონში და ა. შ.

ცხემლარაც ხეობის ძველი სოფელია. სოფლის მშვენებაა შუა საუკუნეების ქვის თაღიანი ხიდი, რომელიც დღესაც თავდაპირველი სახითაა მოღწეული. ამ ხიდზე გადიოდა ხულათის სირთისაკენ მიმავალი გზა, რომლითაც ცხემლარა ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებს უკავშირდებოდა.

ხულათის სახელში დაცულია ხულოს ძველი სახელწოდება ხულა. როგორც ითქვა, ხულათის სირთიდან იწყებოდა ზემო აჭარაში გადასასვლელი გზის აღმართი, რომელმაც მისცა სახელწოდება სოფელ აჭარისაღმართს (იხ. აჭარისაღმართი). სოფელში კარგად ხარობდა მაღლარი ვაზი, აქაურები წურავდნენ საუკეთესო ღვინოს. ამის მაჩვენებელია მარანი, რომელიც რ. სალვარიძის საკარმიდამო ტერიტორიაზეა დაცული.

სოფელ ცხემლარას მარცხნიდან ჩამოუვლის მდინარე მაჭახელა, რომელზეც გადაჭიმულია ქვის თაღიანი ხიდი. ცხემლარაში იყვნენ სახელგანთქმული მეთუნეები, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულების თიხის ნაკეთობას ამზადებდნენ სპეციალურ სახელოსნოებში, რომელსაც თერციხანა ეწოდება (იხ.: თერცი ხანა). ისინი, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრებისთანავე, თურქეთში მუჰაჯირად გადახვეწილან. ამ დროიდან აქ კერამიკული ნაკეთობის დამზადებაც შეწყვეტილა.

2. შოტიეთი//ფშოტიეთი

ამ ტოპონიმის დადგენა ძნელდება. საქართველოში არაერთი სეხნია ტოპონიმი მოგვეპოვება და ზოგი მათგანის წარმომავლობის დადგენა ადვილად ხერხდება. შოტიეთის მსგავსი ტოპონიმი სხვაგან არ გვხვდება. ი.ბექირიშვილი შეეცადა შოტიეთის სახელწოდების წარმომავლობა დაეკავშირებინა XIX საუკუნის ქართველი ლექსიკოგრაფის თეიმურაზ ბაგრატიონის ლექსიკონში (ბაგრატიონი, „წიგნი ლექსიკონი“, თბილისი, 1979) მოყვანილ ქართველთა ერთ-ერთ უპირველეს ღმერთთან, არმაზის კერპთან - შოტთან ანუ შოთთან (ბექირიშვილი, 2001:283). მისი აზრით, შოტიეთიდან შეიძლება მიგვეღო გვარი შოთაძე, რომელთა წარმომადგენლები, მკვლევართა ვარაუდით, შოთა რუსთაველის შთამომავლები იყვნენ (მაისურაძე, 1990:194).

შოთაძეები დღეს ცხემლარაში არ ცხოვრობენ. ისინი ცხემლარას მოსაზღვრე ქედის რაიონის სოფელ გზუგზუში სახლობენ. თუ ტოპონიმის მიხედვით ვიმსჯელებთ, მართლაც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცხემლარაში ვინმე შოტიები მართლაც ცხოვრობდნენ, საიდანაც გვარი შოთაძე მივიღეთ.

3. თერციხანა

თერციხანა სოფელ ცხემლარაში ის დასახლებული უბანია, სადაც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე მზადდებოდა სხვადასხვა სახის კერამიკული ნაკეთობა (დიდი და პატარა ქვევრები, დოქები, ქოთნები, ჯამები, წყალგაყვანილობის მილები, ღარიანი კრამიტი (კახიძე, 1975:100-101). ამდენად, თერციხანა ის ადგილია, სადაც ჩამოთვლილი კერამიკული ნაკეთობა მზადდებოდა. თერციხანა თურქული სიტყვაა და აღნიშნავს ადგილს, სადაც სამკერვალო არსებობდა (თერცი – მკერავი, ხანე – ადგილი) (Магазаник, 1995:612), მაგრამ აჭარულში იგი მაინც კერამიკული ნაკეთობის დამამზადებელი სახელოსნო ადგილის აღმნიშვნელია. შოთა ნიჟარაძეც თავის ლექსიკონში თერციხანას კრამიტის მოსაჭრელ სახელოსნოდ განმარტავს (ნიჟარაძე, 1971:208). კერამიკული ნაკეთობა მაჭახლის სოფელ გორგაძეთსა და აჭარის სხვა სოფლებშიც (შუახევი, მერისი) მზადდებოდა. მაგრამ აქ ამ ხელოსნურ საქმიანობასთან დაკავშირებული ადგილის სახელად თერციხანა არ დამკვიდრებულა. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ცხემლარას თერციხანა კერამიკული ნაკეთობის უფრო დაწინაურებული და მნიშვნელოვანი ლოკალური კერა იყო. ის ოსტატები, ვინც ცხემლარას თერციხანაში კერამიკულ ნაკეთობას ამზადებდნენ, პირველი ანუ დიდი მუჰაჯირობის დროს თურქეთში გადახვეწილან. ამიერიდან, ცხემლარაში ამ ნაკეთობის დამზადებაც შეწყვეტილა (კახიძე, 2004:91).

სოფელი ქვედა ჩხუტუნეთი

1. ბადუყვეთი

მაჭასლის ხეობის გეოგრაფიული სახელებიდან, რომლებიც მიკროტოპონიმების სიაში ექცევა, სხვა ტოპონიმებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყვ- და ყვა-ფუძიანი სახელები. ასეთები ორია: ბადუყვეთი და დედალუყვათი. ორივე სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის ცალკე დასახლებული უბანია.

ტოპონიმ ბადუყვეთთან დაკავშირებით პირველად მოსაზრება გამოთქვა პროფესორმა იური სიხარულიძემ ნაშრომში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“ (წიგნი I) (სიხარულიძე, 1958:173). ამ ტოპონიმის წარმომავლობის გასარკვევად, იგი ეყრდნობა ცნობილი ქართველი მეცნიერების, აკადემიკოსების - სიმონ ჯანაშიასა და გიორგი ახვლედიანის, პროფესორ ქსენია სიხარულიძის, ასევე, პავლე ინგოროყვას გამონათქვამებს. როგორც იური სიხარულიძე დასძენს, სიმონ ჯანაშია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ყვა- და მასთან ერთად ფსა-ელემენტიან ტოპონიმებს ჩერქეზულ-ადიღეურიდან მომდინარედ თვლიდა, რომელიც საკუთრივ ჩერქეზულ-ადიღეურში ხევის, ღელის, ხეობის გამოსახატავ გეოგრაფიულ სახელებადაა მიჩნეული. იური სიხარულიძე აქვე მოიშველიებს გიორგი ახვლედიანის შეფასებას, რომელმაც არ გაიზიარა სიმონ ჯანაშიას მოსაზრება ყვა ელემენტიანი ტოპონიმების ჩერქეზულიდან მომდინარეობაზე და ყვას პირვანდელ სახედ ივარაუდა ყუა, რომელიც ქართველური და ადიღეური ენებისათვის საერთო უნდა ყოფილიყო. ამასთან, ქართველურ ენებში გეოგრაფიულ სახელთა და გვარების ყვა დაბოლოება გადმონაშთად ჩათვალა და არა ჩერქეზულის ნაკვალევად საქართველოს ტერიტორიაზე (სიხარულიძე, 1958:173-174). თუმცა, გიორგი ახვლედიანის ამ აზრს არც იური სიხა-

რულიძე მიიჩნევს სარწმუნოდ. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ყვა, ისე როგორც ფსა ელემენტი, დღემდე ცოცხალია და გავრცელებულია ადიღე-ჩერქეზეთის ადგილთა სახელებსა და ენაში და არ უარყოფს უძველეს დროში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიურ ტომთა ცალკეული ჯგუფების არსებობას (სიხარულიძე, 1958:173-174).

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ენათმეცნიერ ალექსანდრე ონიანის აზრი ქართულ ტოპონიმიკაში ჩერქეზულის გავლენაზე. იგი წერდა, რომ ჩერქეზულად მიჩნეული ტოპონიმიკური მასალა იმდენად მცირერიცხოვანია, რომ ასეთი გაბედული ვარაუდის წამოყენებისას, არ არის საკმარისი ყველა მათგანის უეჭველად ჩერქეზულიდან მომდინარედ მიჩნევის შემთხვევაშიც კი (ონიანი, 1969:12).

ჩვენ კი დავუმატებთ, რომ მართლაც საეჭვოდ გვეჩვენება მოსაზრება ყვა/ყვე-ფუძიანი ტოპონიმების (ბადუყვეთი, დედალუყვათი) მაინცდამაინც ჩერქეზულ-ადიღეურიდან მომდინარეობის საკითხი. თუ ამას ასე მივიჩნევთ, მაშინ უნდა გავიზიაროთ დებულება ამ ჩრდილოკავკასიურ ტომთა ცალკეული ჯგუფების არსებობაზე მაჭახლის ხეობაში. სინამდვილეში, დასახელებული ტოპონიმები, ისევე, როგორც ყვა-ფუძიანი სხვა სახელები, წმინდა ქართული წარმოშობისა უნდა იყოს. მაჭახლის ხეობის ტერიტორიაზე ჩერქეზულ-ადიღეური ტოპონიმიკური ელემენტების არსებობაზე ლაპარაკი გაუმართლებელია, თუ კონკრეტული შესაბამისი ხელშესახები მონაცემები არ გვექნება.

2. ყალივაკე

ადგილის სახელწოდება დაკავშირებულია აქ არსებულ ჩხუტუნეთის ციხესთან. ყალე თურქულია და ციხეს ნიშნავს. ეს ციხეც ადგილობრივ მოახლეობაში ყალივაკის ციხედ მოიხსენიება.

ციხე მომაღლო ბორცვზე მდებარეობს, მდინარე მაჭახელის მარცხენა მხარეს, სოფელ ჩიქუნეთისკენ მიმავალ გზასთან ახლოს. ციხე დღემდე არქეოლოგიურად, მეცნიერულად შეუსწავლელია. იგი ზოგადად პირველად პროფესორმა იური სიხარულიძემ აღწერა (სიხარულიძე, 1962). მან ციხე, რომელიც 150-200 კვადრატულ მეტრზეა გაშლილი, შუა საუკუნეებს მიაკუთვნა. ციხე დღემდე სრული სახით არ მოღწეულა. იგი აგებულია მეტად ხელსაყრელ ადგილას და კეტავდა მაჭახლის ხეობაში გამავალ გზას. სწორედ ამ გზის მონაკვეთზე გადიოდა უმოკლესი სახმელეთო საქარავნო გზა, რომლითაც შავშეთის ქვეყანა შავიზღვისპირეთს უკავშირდებოდა.

ციხის ძირში არსებობდა ღია მარანი, რაზეც მიგვითითებს აქ ერთ რიგზე მიწაში ჩამარხული ქვევრების წყება. ქვევრები გამოყენებული უნდა ყოფილიყო როგორც ღვინის დასაყენებლად (ერთ მათგანში ყურძნის წიპწები აღმოჩნდა), ისე წყლის მარაგის შესანახად. დღესაც შემორჩენილია ციხის გვირაბი, რომელიც ღელემდე ჩადიოდა და საჭიროების შემთხვევაში, აქედან სასმელი წყლის ამოსატანადაც გამოიყენებოდა.

ყალივაკის ციხესთან დაკავშირებით, ადგილობრივ მოსახლეობაში გადმოცემაც არსებობს, რომელიც 1948 წელს აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს შ. აბაშიძეს ჩაუწერია სოფელ ცხემლარაში მცხოვრებ ას წელს მიღწეულ ხაფიზ სალვარიძისგან.

ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის დროს ციხის მპყრობელი ყოფილა სოფელ სინდიეთელი ბეგი სერდალოღლი. გადმოცემით, სერდალოღლი ასპარეზზე შემთხვევამ გამოიყვანა. იგი ადგილობრივ მოსახლეობას თურმე სასტიკად ეპყრობოდა და გზაზე გამვლელებს ბაჟს ახდევინებდა, ავიწროებდა; თუ სადმე ქათამი დაიკაკანებდა, ქათმის პატრონს შეუთვლიდა: შენმა ქათამმა კვერცხი დადო და გამომიგზავნეო. ამის გამო, მოსახლეობა ბეგის დიდი უკმაყოფილო ყოფილა. უკმაყოფილონი ყოფილან ზედა მაჭახლელებიც. ისინი წამოსულან და ციხეს თავს დასხმიან. სერდალოღლი თავის დასაცავად ციხეში გამაგრებულა, მათ შორის სროლაც მომხდარა. სერდალოღლის სოფელ ჩიქუნეთის ზოგიერთი მცხოვრები მიმხრობია. ისინი შეძლებული პირები უნდა ყოფილიყვნენ. თავდამსხმელებს ციხეში მყოფნი გაურეკიათ და ციხეც დაუზიანებიათ. სროლის დროს გამოუყენებიათ მსხვილი კალიბრის კაჟიანი თოფი „ყირიმ გირეი“. ხაფიზ სალვარიძის ცნობით, ახალგაზრდობაში იგი ამ თოფს, რომელსაც რამაზანის მარხულობის პერიოდში იყენებდნენ დღესასწაულის დაწყებისა და დამთავრების აღსანიშნავად, თავადაც მოსწრებია (აბაშიძე, 1948:21).

სოფელი ზედა ჩხუტუნეთი

1. კახიეთი და ცხადიეთი

კახიეთი და ცხადიეთი სოფელ ზედა ჩხუტუნეთის უძველესი და შედარებით დიდი დასახლებული უბნებია.

კახიეთი ამ დასახლებულ უბანს აქ მცხოვრებ კახიძეთა გვარის გამო შეერქვა. ადრე ზედა და ქვედა ჩხუტუნეთი გაყოფილი არ იყო და ერთ სოფლად – ჩხუტუნეთად იწოდებოდა. „ჩხუტუ-

ნეთ" ფორმით იხსენიება სოფელი „ტბეთის სულთა მატიანის" (XII-XVII საუკუნეები) ადრეულ (XII-XIII საუკუნეები) ფენაში. იგი იწყება ცხადიეთის დასახლებული უბნიდან და გრძელდება სოფლის დასასრულამდე.

კახიეთის დასახლებაში ამჟამადაც ძირითადად კახიძეები ცხოვრობენ. მათ გვერდით სხვა გვარებიდან მხოლოდ ქობულაძეთა და ფერსელიძეთა რამდენიმე კომლი სახლობს. აქაურ კახიძეთა რამდენიმე განაყოფი კომლი საცხოვრებლად გადასულა მეზობელ სოფელ სკურდიდში და მოშორებით – სოფელ ჯოჭოში. ზედა ჩხუტუნეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები კი ცხოვრობენ თურქეთის რესპუბლიკის უნიესა და სხვა რაიონებში.

ჩხუტუნეთელ კახიძეთა თავდაპირველი საცხოვრისისა და, შესაბამისად, ტოპონიმ კახიეთის სახელწოდების დადგენა ძნელდება. ერთი გადმოცემის მიხედვით, აქაური კახიძეები კახეთიდან მოსულებად ითვლებიან და კახიეთიც ამ უბანს მაშინ დარქმევია. ეთნოგრაფიულად ასევე მოსულებად ითვლებიან შავშეთ-იმერხევში მცხოვრები კახიძეები. გადმოცემით, მათი წინაპარი სამი ძმიდან ორი შავშეთ-იმერხევში დარჩენილა, ერთიც – იმერხევის სოფელ ფარნუხში დასახლებულა და მათ სამოსახლოსაც კახიეთი დარქმევია, რომელსაც მეორენაირად კახიეთკარებსაც ეძახიან (თოფჩიშვილი, 2017:32).

ქართულ გვარ-სახელთა შემსწავლელი მკვლევრები არ გამორიცხავენ, რომ ესა თუ ის გვარი სხვადასხვა ადგილას შეიძლება დამოუკიდებლადაც წარმოქმნილიყო, მისი წინაპრის სახელის მიხედვით. მაგალითად, საკუთარი სახელებიდან – კახი თუ კახა მივიღეთ გვარები: კახაბერიძე, კახაბრიშვილი, კახიშვილი, კახეთელიძე, კახიანი და ა.შ. „კახ" სახელთანაა დაკავშირებული ისტორიაში ცნობილი გეოგრაფიული სახელი

კახაბერი (მაისურაძე, 1990:87). კახა და კახაი კახიძეთა უძველესი საკუთარი სახელებია. ი. ახუაშვილის მიერ მიკვლეული ცნობებით, ვინმე კახი ერისთავი მოიხსენიება 853 წელს, რომელსაც თავი გამოუჩენია არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. კახიძეთა გვარი კი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქართულ გვარ-სახელთა ისტორიაში. ისინი თავადაზნაურებიც ყოფილან, რომელთა ნაწილი რუსეთის იმპერიაში 1850 წლის 6 დეკემბერს შედგენილ ე. წ. „ხავერდის" სიაში შეუტანიათ. ეს წიგნი სანკტ-პეტერბურგშია დაცული, რომლის სამტომიანი ასლი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება (ახუაშვილი, 2001:19).

კახიძეები ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია საქართველოში. მათი რაოდენობა გასული საუკუნის ბოლოს, არასრული მონაცემებით, 4800-ზე მეტს აღწევდა, რომელთაგან 3000 სულზე მეტი აჭარაში ცხოვრობდა (აქედან 1570-ზე მეტი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, 900-მდე – ქობულეთის მუნიციპალიტეტში, 500-მდე – ბათუმსა და მის შემოგარენში, 540-ზე მეტი – ქუთაისში (სილაგაძე, თოთაძე, 1997:107; ახუაშვილი, 2001:19). დასანანია, რომ დღემდე არ შექმნილა ამ უძველესი გვარის – კახიძეთა საგვარეულო კავშირი.

უეჭველია, კახიძეთა დასახლების მიხედვით გაჩნდა ორი სეხნია ტოპონიმი – კახიეთი: ერთი მაჭახლის ხეობის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, მეორე – მის მეზობელ იმერხევის სოფელ ფარნუხში, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული. გასარკვევია, არსებობს თუ არა რაიმე ნათესაური კავშირი ორივე კახიეთში მცხოვრებ კახიძეთა შორის.

სოფელ ზედა ჩხუტუნეთის კახიეთი რომ უძველესი დასახლებული ადგილია, ამას მოწმობს სოფლის ახლანდელი სკოლის საძირკვლის გათხრისას, 1970-იან წლებში აღმოჩენილი ქვითკირით ნაშენი საწნახელი. აგრეთვე, მის ახლომახლო არსებული

ძველი სასაფლაო, რომლის ხნოვანება 1950-იან წლებში მცხოვრებ უხუცეს პირებსაც არ ახსოვდათ. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, რომელიც მას მაჭახელში მოგზაურობისას, 1890-იანი წლების ბოლოს ჩაუწერია ხანდაზმულთაგან, 1851 წელს კლდე „კილდიკიკვინა“ მოშვავებულა და აქ მცხოვრები რამდენიმე კომლი და ერთი ძველი ნაეკლესიარი ჯამე წაუღია (ჭიჭინაძე, 1913:77). როგორც ჩანს, საწნახელიც მაშინ დაუფარავს მოსულ მეწყერს. ჩვენი აზრით, საწნახელიც და სასაფლაოც ამ ეკლესიის საკუთრება შეიძლება ყოფილიყო.

ცხადიეთიც ეთ-მაწარმოელიანი ძველი ტოპონიმია, რომელიც საკუთარი სახელიდან – „ცხადა“-დან უნდა მომდინარეობდეს, მსგავსად მაჭახლის ხეობის სხვა ტოპონიმებისა, რომლებიც „ტბეთის სულთა მატიანეში“ (XII-XVII საუკუნეები) გვხვდება. როგორც ითქვა, ცხადიეთი დღეს სოფელ ზედა ჩხუტუნეთის ცალკე დასახლებული უბანია, რომელსაც ამ სოფლის კახიეთის დასახლებული უბანი ეკვრის. ცხოვრობდნენ თუ არა ცხადიეთში ცხადაძეები, ძნელი სათქმელია. სავარაუდოდ, „ტბეთის სულთა მატიანისეული“ „ცხადაეთ იოვანე“ აქაური მცხოვრები შეიძლება ყოფილიყო და ტოპონიმის სახელიც – ცხადიეთი – აქედან გაჩენილიყო.

ცხადიეთი რომ სოფლის ძველი დასახლებული უბანია, ამაზე აქ არსებული ქვის დიდი საცეხველიც მიუთითებს, რომლის პრაქტიკული გამოყენება აქ მცხოვრებთ არ ახსოვთ.

2. ბარი//ბარები

ამ სახის ტოპონიმები მოიცავს ვრცელ ტერიტორიას, რომელიც მდინარე მაჭახელას მარცხენა ნაპირას მდებარეობს. ტოპონიმის ადგილმდებარეობა სავსებით შეესაბამება ბარის ძველ

ქართულ ენაში არსებულ განმარტებას. ბარი გამოიყენებოდა ვაკე ადგილის, ველის მნიშვნელობით (აბულაძე, 1973:29). ბარების ტერიტორია სხვადასხვა გვარს შორის იყო დანაწილებული და მის მფლობელთა სახელებს ატარებდა. ერთ-ერთი ბარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ქვითკირით ნაშენი საწნახელი, რომელიც აქაური, ანუ ბარის ზონის უძველეს სამეურნეო გამოყენებაზეც მიუთითებს.

ბართან დაკავშირებით, უნდა დავასახელოთ ორი ტოპონიმი - ზეგანი და ზეგანთ ქედი, რომელიც ზედა მაჭახლის სოფელ ქვაბითავის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ბარისა და ზეგანის ტოპონიმების სახით, უფლება გვაქვს ვიმსჯელოთ მაჭახლის ხეობაში საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობაზე არა მარტო მისი ხევისპირულობის, რაზეც უკვე ვწერდით, არამედ მთა-ბარული ცხოვრების მიხედვითაც, ანუ „მთა-ბარის ახლორებაზე", როგორც ადრე ვახუშტი წერდა მაჭახლის ხეობის მეზობელი ლიგანის (ლივანის) ხეობის მაგალითზე. მთისა და ბარის ფიზიკურ-გეოგრაფიული სიახლოვე, ანუ „მთა-ბარის" ახლორება, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის დამახასიათებელი ნიშანია, რაც აჭარის მაგალითზე კარგად შენიშნა აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა. იგი წერდა: „აჭარის ტერიტორია, ფაქტობრივად, „მთისა" და „ბარის" ზონებად ყოფილა დანაწილებული არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული, არამედ ეკონომიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით, ანუ მეურნეობრივი მნიშვნელობით, როგორადაც ტერმინები „მთა" და „ბარი" ისმარებოდა ძველ ქართულში" (მუსხელიშვილი, 2007:66). აქვე შეიძლება მოვიშველიოთ ზეგანის სულხან-საბა ორბელიანისეული განმარტება: „ზეგანი მთაბარობის საშუალო" (საბა, 1949:126).

ამდენად, მთა და ბარი ერთიანი სამეურნეო მნიშვნელობის ტერმინებიც არის და მათი ეს მნიშვნელობა ერთმანეთს ავსებს, ანუ, ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ გამოვხატოთ, „ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ“ (ჯავახიშვილი, 1930:317). მთისა და ბარის სიახლოვე, მთაბარობა ვერტიკალური ზონალობის თავისებურებასაც წარმოაჩენს, რამაც მკვეთრი დაღი დაასვა ისტორიულად საქართველოს მთიანი რეგიონების და, მათ შორის, მაჭახლის ხეობის, ცხოვრებას.

3. ახოთი

ახოთი ღელის (ახოთი ღელე) სახელწოდებითაც მოიხსენიება. ესეც ადრეულ პერიოდში გაჩენილ ტოპონიმად უნდა ჩაითვალოს. მისი წარმომავლობის ახსნისას, ორი ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ. ერთი შეხედვით, ეს გეოგრაფიული სახელი თითქოს ახოობას, ახოს აღების სისტემას უნდა უკავშირდებოდეს და ამ შემთხვევაში სულხან-საბას განმარტება შეიძლება მოვიშველიოთ: „ახო საყანური გაკაფული“ (საბა, 1949:40). ახოთის ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებით მართლაც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ ადრე ახლომახლო საყანურები არსებობდა. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში აქ ყანების არსებობა არ დასტურდება.

აჭარის სხვა სოფლებში ახოობასთან დაკავშირებული ტოპონიმები ძალზე ხშირია. ახოს სახელწოდებით ქედის მუნიციპალიტეტში სოფელიც გვხვდება (ცხმორისის თემი).

ახოთის სახელწოდების ახსნისას, გასათვალისწინებელია ერთი წეს-ჩვეულება, რომელიც პროფესორ შუშანა ფუტკარაძეს ჩაუწერია მაჭახლის ხეობის მეზობელ იმერხევის სოფელ შოლ-

ტისხევში. აქ ახოობას ეძახიან ჭალებიდან პირუტყვის გამოსაზამთრებელი საკვების მოპოვებას (ფუტკარაძე, 1993:389). მაჭახლის ახოთიც შეიძლება ამ ფუნქციის მატარებელი ადგილი იყო.

4. რუსღელე. რუსვაკე

ტოპონიმის სახელწოდება აქედან ახოთ მდებარე წისქვილისთავის წყლის არხის (იგივე რუს) გამოყვანის გამო შეერქვა. რუსღელის ზემოთ მოვაკებულ ადგილს კი რუსვაკე ეწოდება.

5. ქვედა ოჭკრიალა ვაკე, ზედა ოჭკრიალა ვაკე

ტოპონიმების სახელწოდება მომდინარეობს საძოვრების ზონაში მწყემსების გასართობად მოწყობილი ოჭკრიალადან. იგი წარმოადგენდა მიწაში უძრავად ჩარჭობილ ხის სვეტის თავზე შუა ნაწილით წრიულად მოძრავად წამოცმულ ხის გრძელ ლარტყას, რომლის ბოლოებზე წელით დაყრდნობილი ორი პირი (მწყემსი) ბრუნვით თავს ირთობდა. ოჭკრიალა ეწოდებოდა აგრეთვე ნაკეთობას, რომელიც ბორბლებზე იყო შემდგარი და შიგ ჩასვამდნენ ბავშვს „ფეხის ასადგმელად“. ეს იგივე ოჭივარაა, რომლიდანაც მივიღეთ ადგილის სახელწოდება ოჭივარა ვაკე (სოფელი კვიახიძეები) (სიხარულიძე, 1958:90).

6. კაცავრა

კაცავრა მეტად საინტერესო ტოპონიმია, რომელიც მაჭახლის ხეობის გარდა სხვაგან არ გვხვდება. ეს ადგილი დღეს ტყითაა დაფარული. ყოფილა პერიოდი, როდესაც ზედა ჩხუ-

ტუნეთელ ხანდაზმულთა გადმოცემით, „კაცავრას ასვლამდე და უფრო ზეითაც ადგილები მუშავდებოდა“. მხედველობაშია აქაური მიდამოების სათესად გამოყენება. სავარაუდოდ, აქ ფეტვი და ღომი ითესებოდა. აქაური მიდამოების ვიზუალური დაკვირვებაც ეჭვს არ იწვევს, რომ იგი გამოყენებული იყო არა მარტო სათესად, არამედ, შესაძლოა, ყიშლებადაც.

კაცავრას სახელწოდების ახსნაც ძნელდება. თითქოს ჩანს, რომ აქ ვინმე კაცები ცხოვრობდნენ. სიტყვაში ფუძედ „კაც“ გვევლინება. თუ სულხან-საბა ორბელიანის მიერ კაც-ის განმარტებას მოვიშველიებთ, „კაცი ზოგად ყოველთა ეწოდების. ესე კაცი განიყოფების: მამაცად და დიაცად, რომელ არს მამაკაცი და დედაკაცი“ (საბა, 1949:163), მაშინ შეიძლება ითქვას, რომ კაცავრა წარმოადგენდა ადგილს, სადაც მცირედ ცხოვრობდა მოსახლეობა და რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო მან აქაურობა დატოვა და აქაურობაც „კაცავრად“ ანუ ისეთ ადგილად იქცა, სადაც „კაცნი“ ცხოვრობდნენ. აქვე უნდა მოვიშველიოთ ცნობა ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან“, სადაც ვკითხულობთ: „წინათ ჩვენსა არიან ადგილნი, მცირედ კაცრიელნი“ (ვაჩნაძე, 1975:164), ანუ ადგილი, სადაც მცირედ ცხოვრობდა მოსახლეობა. ამ „კაცრიელს“ უნდა უტოლდებოდეს ტოპონიმი „კაცავრა“. ტერმინი ლინგვისტური თვალსაზრისითაც საინტერესო ჩანს. ამ სახის ტოპონიმების მეცნიერული ახსნა ბევრს შემატებს ჩვენს ტოპონიმიკურ მეცნიერებას. კაცავრას მიდამოების არქეოლოგიური დაზვერვითი დაკვირვებაც შეიძლება მოგვცეს.

7. დუზიანქვები

ეს ტყის საძოვრების ზონაში მოქცეული ტოპონიმია, რომელსაც ეს სახელი აქ ქვაზე ამოკვეთილი დუზის სათამაშოდან შეერქვა. დუზი შეიძლება იყოს სამ და მეტქვიანი, რომელსაც ლობიოს და სიმინდის მარცვალიც ცვლის. დუზი მწყემსთა გასართობი საშუალებაც იყო. თუმცა მას სხვა დაინტერესებული პირებიც თამაშობდნენ, გართობის მიზნით (დუზის აღნაგობისა და თამაშის წესის შესახებ იხ.: ნიჟარაძე, 1971:184; ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, აჭარა, 2019:192).

8. ქვედა სამკოდია, ზედა სამკოდია

ამ სახელწოდებით მოხსენიებული ტოპონიმები, რომლებიც ტყის საძოვრების ზონაშია მოქცეული და სოფლიდან 4-5 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, აქაურ სიმინდის ნათესებში მოწეული მოსავლის რაოდენობის მაჩვენებელია. ორივე მათგანში სამ-სამი კოდი სიმინდი მოჰყავდათ. 1960-იანი წლების ხანდაზმული მთხრობლები წინაპართა გადმოცემებს იხსენიებდნენ აქ სიმინდის ყანების არსებობაზე და გაოცებასაც გამოთქვამდნენ მაღალმთიანი ტყის ზონაში ასეთი ყანების ათვისებასა და მათი მოვლა-პატრონობის სიძნელეებზე, ნადირის (დათვის) მიერ განადგურების საფრთხის გამო. აქვე იმასაც დავუმატებთ, რომ სამკოდიასთან ახლოს, ასევე, დღეს ტყის ზონაში მოქცეულ ერთ-ერთ ადგილს ნაღომვარი ეწოდებოდა და ფაქტია, აქ ადრე ღომი ითესებოდა. ღომთან და ფეტვთან დაკავშირებული ტოპონიმები მაჭახლის ხეობაში ბევრია.

9. ფონიკიდე

ფონიკიდე გვხვდება მრავლობითშიც ფონიკიდიები. ეს ტოპონიმი განლაგებულია მდინარე მაჭახელას მარცხენა მხარეს და, როგორც ჩანს, სახელიც ამიტომ შეერქვა. საბას ლექსიკონში ფონი განმარტებულია, როგორც „მდინარის გასავალი“ (საბა, 1949:360).

10. ძვარია

ძვარია ძველი სამეურნეო ტოპონიმია, რომლის სახელი უნდა მომდინარეობდს „ზვარე“-დან, რაც სამზეურო ადგილს ჰქვია.

ძვარია სრული შესატყვისია მზვარესი (დიალექტური ფორმა „ზვარე“), რომელიც „ჩრდილ“ სიტყვასთან ერთად, როგორც აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ გაარკვია, საქართველოში ტოპოგრაფიული ცნების აღსანიშნავად გავრცელებული ყოფილა დიდი ხნიდან და ძველად უფრო ფართო გამოყენება ჰქონდა, ვიდრე შემდეგ. აქაური ადგილმდებარეობა მართლაც მზიანია. მდებარეობს ზედა ჩხუტუნეთიდან ზედა მაჭახელში მიმავალი გზის პირას. შესაძლოა, აქ ადრე ვაზი იყო გაშენებული. გვაქვს სოფელი ზვარე, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

11. ჩერიმე

ამ ტოპონიმის სახელი მომდინარეობს თურქულიდან, რაც შემორაგულს, შემოღობილს ნიშნავს. ეს ტოპონიმი ზემოთ დასახელებული ბარის/ბარების ზონაში მდებარეობს.

12. ოროკები

ოროკები ძველ ქართულში დატერასებული ფერდობი ადგილის აღმნიშვნელი იყო (შდრ.: ოროკო მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებული“ - საბა, 1949:266). ოროკი, როგორც ტოპონიმი, ძირითადად, მაჭახლის ხეობაში იყო გავრცელებული. ასეთი ოროკების მოწყობა სათესი ადგილების მთაგორიანობითა და სიმცირით იყო გამოწვეული, რასაც მაჭახლის მეზობელი შავშეთისა და მასთან ერთად კლარჯეთის მევენახეობის მაგალითზე, ივანე ჯავახიშვილიც მიაქცევდა ყურადღებას. იგი წერდა: „ბუნებრივი პირობები, უაღრესი მთაგორიანობა და სახმარი მიწების საარაკო სიმცირე მევენახეობას მეტად მცირე არეს უტოვებდა და ის იქ ხელოვნურად ბაქან-ბაქან მოვაკებულ ნიადაგზე იყო შესაძლებელი“ (ჯავახიშვილი, 1930:135). ოროკი საერთო ტერმინოლოგიით იგივე ტერასს ნიშნავს. ამრიგად, ოროკი და ტერასი იდენტური ტერმინებია.

13. დობირო

ადგილის სახელწოდება დობირო სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს სიტყვისა „ბაბილო“, რომელიც ლექსიკოგრაფ სულხან-საბა ორბელიანის მიერ ძველ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით განმარტებულია, როგორც „მაღალი ვენახი“ (საბა, 1949:42). ამრიგად, როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, საბას განმარტებით, ბაბილო ხეზე გაშვებული ვაზის აღმნიშვნელი ყოფილა, რომელსაც დობილოც რქმევია (ჯავახიშვილი, 1986:322).

ტოპონიმ დობიროს არსებობა იმის დასტურიც არის, რომ წარსულში სოფელ ზედა ჩხუტუნეთში და, საერთოდ, მაჭახლის ხეობაში მევენახეობის გაბატონებულ ფორმას მაღლარი წარმო-

ადგენდა. ასე იყო მთელ დასავლეთ საქართველოში, სადაც დაბლარი ვენახი გვიან გავრცელდა. აქვე შევნიშნავთ, რომ მაღლარი ვაზის არსებობასთან დაკავშირებული ტოპონიმები მაჭახლის ხეობის გარდა დასტურდება მეზობელი აჭარისწყლის ხეობის სხვა სოფლებშიც (კაპნისთავი, მაღლაკონი, ქოსოფელი და სხვ. (სიხარულიძე, 1958. იხ. საძიებლები სიტყვასთან „დობირო"). ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. საქართველოს სხვა ხეობებში ამ სახის ტოპონიმები არ მოგვეპოვება.

მევენახეობის დარგის შემსწავლელი ქართველი მკვლევრებიც შენიშნავდნენ, რომ აჭარის ტერიტორიაზე მაღლარი ვაზის ჯიშები უფრო მრავლად იყო წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში (რამიშვილი, ქანთარია, 1948:2; რამიშვილი, 1951:341).

მაღლარი ვაზის ღვინო იწურებოდა და ინახებოდა ქვითკირით ნაშენ მარნებსა და საწნახლებში, რითაც მაჭახლის ხეობა გამორჩეული იყო. მარტო სოფელ ზედა ჩუტუნეთში ქვითკირით ნაშენი ექვსი საწნახელია აღრიცხული, რომელთა დიდი ნაწილი დაზიანებული სახით დღემდეა დაცული და ტურისტულ ღირსშესანიშნაობათა სიაშია შეტანილი.

14. სარცხელი

ტოპონიმის სახელწოდება უკავშირდება თეთრეულის და ჩაცმულობისთვის ადგილზე დამზადებული ქსოვილების მდინარის წყალზე რეცხვასა და აქვე გაშრობას. სოფელ ზედა ჩხუტუნეთის (კახიეთის დასახლებული უბანი) გარდა, ამ სახის ტოპონიმი გვხვდება სოფელ აჭარისაღმართსა და ზედა მაჭახლის სოფელ ზედვაკეში. სოფელ ზედა ჩხუტუნეთში ჩაწერილი მონაცემებით, სოფლის ქალები მზიან ამინდში იკრიბებოდნენ სარც-

ხელის ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობდა ტოპონიმ ნასელვარის მდინარისპირა ტერიტორიაზე. აქვე ანთებდნენ ცეცხლს, ადუღებდნენ წყალს, რეცხავდნენ და აშრობდნენ სარეცხს.

15. დეზგარი ღელე

ტოპონიმების - დეზგარი ღელესა და საგობარას ღელეს წარმომავლობა დაკავშირებულია ხის სამხვეწლო ხელოსნობასთან, კერძოდ, ხის ხარატულ ნაკეთობათა დამზადებასთან.

ტოპონიმი დეზგარი ღელე იმაზე მიუთითებს, რომ ამ ღელეზე, რომელიც მდინარე მაჭახელას მარცხენა შენაკადია, მოწყობილი იყო ხის სამხვეწლო დეზგარი, ანუ დაზგა, რომელიც წყლის ენერგიაზე მუშაობდა. ასეთი სამხვეწლო დაზგები აჭარის თითქმის ყველა ხეობასა და ბევრ სოფელში არსებობდა. მაჭახლის ხეობაში ხით ხელოსნობის ამ დარგსაც მასობრივად მისდევდნენ. გადმოცემით, პირველ მსოფლიო ომამდე მარტო მაჭახლის ხეობაში 15-მდე ასეთი სამხვეწლო დაზგა არსებობდა. ასეთ დაზგებზე, რომლებიც ხის შესაბამის ნაკეთობათა დასამზადებლად საჭირო ხე-ტყით (თელა, ცაცხვი, თხმელა ნეკერჩხალი, წიფელი) მდიდარ ადგილებში ეწყობოდა, მზადდებოდა სხვადასხვა ხის ნაკეთობა (ერთ ფეხში გამოყვანილი მრგვალი სასადილო სუფრები (მაგიდები), მარცვლეულ და რძის მეურნეობასთან, მეხილეობასთან, ფეიქრობასთან, მეწისქვილეობასთან და სხვ. დაკავშირებული ხარატული ნაკეთობა და ა.შ.).

ამ სახის ნაკეთობათა დამზადებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ზედა ჩხუტუნეთელი, ზედვაკელი, ქვაბითაველი, ეფრატელი, სკურდიდელი ხის მხვეწლები (კახიძე, 1974:65; 2004:52-54).

დღეისათვის დასახელებულ ხის ხარატულ ნაკეთობათა დამზადება მხოლოდ ზედა მაჭახელში შემორჩა. ქვედა მაჭახელში ხის ამ უძველეს ნაკეთობათა დამზადების ტრადიცია მხოლოდ შესაბამისმა ტოპონიმებმა შემოგვინახა, რაც ამ ტოპონიმთა შესწავლის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

16. დავითეთი

დავითეთი და, საერთოდ, -ეთ სუფიქსით წარმოებული ადგილთა სახელები მიჩნეულია არქაულად და ისინი დაკავშირებულია ამა თუ იმ გვარის წარმომავლობასთან. პროფესორი ვარლამ დონდუა წერდა, რომ ამ სახელის წარმომავლობას პირველად ყურადღება მიაქცია ფრანგმა ორიენტალისტმა მარი ბროსემ. სწორედ მან ჩათვალა პირველად ფორმა დავითეთი გვარის აღმნიშვნელ არქაულ ფორმად, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშიც“ ორჯერ მოიხსენიება (დონდუა, 1967:101). ვ. დონდუა აქვე შენიშნავდა, რომ საერთოდ -ეთ სუფიქსიანი კრებითი სახელები სპეციალურ ლიტერატურაში (აკაკი შანიძე, ნიკო მარი) კარგად არის ცნობილი, მაგრამ ამ წრის საკუთარი სახელებიდან იქ მაინცდამაინც გეოგრაფიული სახელებია გათვალისწინებული (დონდუა, 1967:102).

ჩვენ მიერ სოფელ ზედა ჩხუტუნეთში ასლან ძნელაძისგან ჩაწერილი ინფორმაციით, დავითეთი, რომელიც სოფლის განაპირას მდებარე ტოპონიმია ძველ ნასოფლარ თაგვავრასთან ახლოს, ვინმე დავითის საკუთრება ყოფილა ჯვართას ასვლამდე (იხ. ჯვართა). ეს ასლან ძნელაძეს მოხუცებული ეშრეფ ნაგერვაძისგან გაუგონია. ამ დავითს სახლი კი დავითეთთან ახლოს, ჯებნევში ჰქონია. სახლის ქვის საძირკველი დიდხანს ყოფილა შემორჩენილი.

დავითეთი, როგორც ადგილთა სახელი, სოფლის უბნების სახით გვხვდება მეზობელ ქვედა ჩხუტუნეთში, მაჭახლის ხეობის მოსაზღვრე სოფელ სურევანში (იმერხევის ხეობა), რომელიც დღეს თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, მაჭახლის დავითეთში ადრე დავითაძეები ცხოვრობდნენ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სხვაგან გახიზნულან. მწერლის, პოეტისა და ჟურნალისტის ემენ დავითაძის ცნობით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოში მცხოვრები დავითაძეები მაჭახლის დავითეთიდან ყოფილან ჩასახლებული (დავითაძე, 2012-2013:23). დავითაძეები აჭარის სხვა სოფლებშიც მრავლად სახლობენ. ვინმე დავითისძე (დავითაძე) მოიხსენიება „ტბეთის სულთა მატიანის“ XII-XIV საუკუნეების ფენაში (ენუქიძე, 1978:66). არაა გამორიცხული, მატიანისეული დავითისძე მაჭახლის ხეობელი ანუ მაშინდელი მიჭიხიანის მცხოვრები ყოფილიყო. მატიანეში მაჭახლელთა გვარსახელები სხვაც მრავლად მოგვეპოვება.

17. დუბიანი

ადგილის სახელწოდება მიღებული უნდა იყოს სიტყვიდან დუბე//დვიბე, რაც აჭარულში ნიშნავს კარგ საყანე ადგილს, სადაც ქარი არ უდგება (შდრ.: ნიჟარაძე, 1971:54). ასეთ ადგილს გობეღიც ეწოდება, რაც გობეგის სახენაცვალი ფორმაა. დუბეს სახელწოდებით ტოპონიმი გვხვდება, აგრეთვე, შავშეთის სოფელ ზაქიეთში (ცეცხლაძე, 2000:176).

18. ნაგერვეთი

ნაგერვეთი, როგორც მიკროტოპონიმი, მხოლოდ მაჭახლის ხეობაში გვხვდება და იგი სოფელ ზედა ჩხუტუნეთის დასახლებული უბანია. აქ დღეს მხოლოდ ნაგერვაძეები ცხოვრობენ. აჭარაში სხვაგან მცხოვრები ნაგერვაძეებიც აქედან წასულებად ითვლებიან. ამ გვარის წარმომადგენლები დღეს მაჭახლის ხეობის კიდევ სამ სოფელში (აჭარისაღმართი, ცხემლარა, თურქეთის საზღვრებში მოქცეული ზედა მაჭახლის სოფელი ეფრატი), ცხოვრობენ, ასევე, ხეობის მეზობელ სოფელ უჩხითში (ქედის მუნიციპალიტეტი). ზედა ჩხუტუნეთელ ნაგერვაძეთა ახლო წინაპრები ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების დამამზადებელნი ყოფილან.

ტოპონიმ ნაგერვეთის წარმომავლობის შესახებ რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება. არის ცდა მისი დაკავშირებისა სიტყვასთან „ნაგერალა“ (ბექირიშვილი, 2001:185). ლექსიკოგრაფთა (სულხან-საბა ორბელიანი, ნ. ჩუბინაშვილი და სხვ.) განმარტებით, ნაგერალა წინა წელს ნათეს მიწაზე დაუთესველად ამოსულ მცენარეს ნიშნავს. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, ეს სახელი მაშინ უნდა დარქმეოდა, როდესაც ასეთ მიწაზე მოხდა მათი დასახლება.

ნაგერვეთი ძველი დასახლებული უბანია, რაზეც აქაური კორდი მიწის დამუშავებისას, 1930-იან წლებში ნაპოვნი ძველი ქვევრებიც მოწმობს, რომლებშიც ღვინოც უნახავთ. ნაგერვეთთან ახლოსაა დავითეთის დასახლებული უბანი, სადაც ადრე მხოლოდ დავითაძეები ცხოვრობდნენ (იხ.: ტოპონიმი დავითეთი).

19. თაგვავრას ნასოფლარი

მაჭახლის ხეობაში რამდენიმე ნასოფლარი და ძველი ნასახლარი აღირიცხება. ერთ-ერთი მათგანია თაგვავრა, რომელიც მოზრდილ ტერიტორიაზეა გაშლილი და მდებარეობს სოფელ ზედა ჩხუტუნეთის დავითეთის უბნის გაგრძელებაზე. თაგვავრას ეკვრის ტარხვენის ნასოფლარი.

პირველი ცნობა ამ ნასოფლარების შესახებ ჩაწერილ იქნა არქეოლოგ ალექსანდრე რამიშვილის მიერ, 1959 წელს, დავითეთში მცხოვრები 75 წლის ისმაილ კახიძისგან, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური დაზვერვითი ექსპედიციის დროს. მისი აღწერილობით, თაგვავრას ნასოფლარს აღმოსავლეთით საზღვრავდა ტარხვენის ნასოფლარი, დასავლეთიდან - აგარათავის ღელე, სამხრეთიდან - სოფელ სკურდიდისკენ მიმავალი საცალფეხო გზა, ჩრდილოეთით კი - სოფლის უბანი დავითეთი (იხილეთ შენიშვნებში). თაგვავრას მისასვლელებში მიწაში ჩამარხული რამდენიმე ქვევრიც უნახავთ. აქვე დაფიქსირდა ფლეთილი ქვისგან კირის ხსნარზე ნაგები შენობის ნაშთები და მიწაში ჩასობილი დიდრონი ქვის სვეტებით შემორაგული ადგილი, რომელსაც ირგვლივ გრძელი ქვის ყორე აკრავდა. ნასოფლარის დასავლეთით კიდევ აღმოჩნდა შენობის ნაკვალევი, რომელიც, არქეოლოგთა აზრით, ხის უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, ეს ნაშთები საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო, ქვედა სართულზე სამეურნეო დანიშნულების სათავსოთი. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ნასოფლარს თამარ მეფის პერიოდს უკავშირებს.

ანალოგიური ნასოფლარი ყოფილა ქვედა ჩხუტუნეთში კინტურეთის სახელწოდებით, ნასახლარები სოფელ ჩიქუნეთში ვაკის უბნის მიდამოებში. ამ ნასახლარის დასტურად აქ ნაპოვნ ქვევრებს თვლიან. ასეთი ნასოფლარ-დასახლებები არქეოლო-

გიურად სოფელ ცხემლარაშიც დადასტურდა, რომელიც სოფელ ჩიქუნეთს ესაზღვრება (დაწვრ. იხ.; რამიშვილი, 1959).

ქვედა მაჭახელში მოგვიანო პერიოდის კიდევ სამი ნასოფლარი არსებობდა: კეჟერეთა, ბაზარეული, საყანური, რომლებიც ნასოფლარებად იქცა ოსმალთა ბატონობის პერიოდში აქაური მოსახლეობის საქართველოს სხვა კუთხეებში გახიზვნის გამო. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, კეჟერეთას მცხოვრები კეჟერაშვილები გარე კახეთს გადასახლებულან (ჭიჭინაძე, 1913:2243).

ნასოფლარი ბაზარეთი სოფელ ცხემლარას ტერიტორიის ამჟამად ტყიან მასივში მდებარეობს, ხოლო საყანურის ნასოფლარის სადაურობა გაურკვეველია. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ბაზარეთიდან 30, საყანურიდან კი 40 კომლი გადასახლებულა მუჰაჯირად (ჭიჭინაძე, 1912:138).

დავუბრუნდეთ ტოპონიმ თაგვავრას. მისი ეტიმოლოგია დღემდე უცნობია. ჩვენი ვარაუდით, ტოპონიმის სახელი მცენარიდან შეიძლება მომდინარეობდეს. ეს მცენარეა თაგვაყურა, იგივე მსუქანა, რომლის ნორჩ ფოთლებსა და ღეროებს, როგორც მხალეულს, საკვებად ხმარობდნენ და მისგან მწნილსაც აკეთებდნენ (ნიჟარაძე, 1971:2012). ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში ამ მცენარის შესახებ რაიმე ცნობა არ შემონახულა. ჩვენი დაკვირვებით, ასეთი მცენარის არსებობა წარსულში ეჭვს არ იწვევს. თანაც, დროთა ვითარებაში ამ მცენარის სახელწოდება - თაგვაყურა ხალხის მეხსიერებაში წაიშალა და დღეს თაგვაურას ფორმით შემორჩა. მცენარის მიხედვით ადგილმდებარეობის სახელის შერქმევა საქართველოს ტოპონიმიკაში უცნობი არ არის. მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკაშიც, როგორც ითქვა, მცენარეული ტოპონიმები მრავლადაა (ტყემლიანი, სხლიანი, ვაშლოვანი, ეწრიანქედი, საბილანცრო და ა. შ.).

20. ტარხვენი

ტარხვენი განსაკუთრებული მნიშვნელობის ტოპონიმია, რომლის რაობის გარკვევა მაჭახლის ხეობის წარსული ისტორიის არქაულ პერიოდს უკავშირდება. მისი წარმომავლობის ახსნა მხოლოდ პარალელური შესადარებელი მონაცემების მოშველიებით ხერხდება. ეს მონაცემები, როგორც ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა გამონათქვამების საფუძველზე, უკავშირდება ხეთების, მითანის, დასავლეთ და აღმოსავლეთ მცირე აზიის არქაული ხანის მცხოვრებთა საკუთარ და ღვთაებათა, აგრეთვე, ატენის სიონის მეცხრე და მეთერთმეტე საუკუნის წარწერებში მოხსენიებულ „ტარკუნ“, „ტარხონ“, „თარხუნ“ სახელებს.

მკვლევარი წერდა, რომ „ტარკუნ“ მარსის, ანუ ომიანობის ღვთაების სახელი უნებლიედ გვაგონებს ხეთელთა ღვთაების „ტარკუნ“ ან „ტარხოს“ სახელს, რომელიც ხეთების, მითანის და დასავლეთ და აღმოსავლეთ მცირე აზიის წინანდელ მცხოვრებთა (მეფეთა) საკუთარ სახელებშიც გვხვდება. ეს სახელი შემდეგ მცირე აზიაში მცხოვრებ ბერძნებსაც შეუთვისებიათ. მითითებულია ამ სახელის არსებობაზე ლათინურშიც. ატენის სიონის ტაძრის კედლის მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ წარწერაში კი მოხსენიებულია ციხისთავის მამის სახელი „თარხონი“. თარხუნია ყოფილა გავრცელებული საკუთარ სახელად სამეგრელოსა და აფხაზეთში. აქედან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ „თარხუნი“, როგორც წარმართული დროის სახელი, გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში (ჯავახიშვილი, 1960:136).

„ტარხვენი“ სახენაცვალი უნდა იყოს „ტარკუნ“/„ტარხონ“/„თარხუნისა“ და ეს დამთხვევა შემთხვევითი არ ჩანს. მაგ-

რამ გასარკვევია, საიდან, როგორ გაჩნდა ადგილის სახელწოდება ტარხვენი მაჭახლის ხეობის სოფელ ზედა ჩხუტუნეთის ტოპონიმთა სიაში და ისიც ადამიანის საკუთარი სახელია, თუ რომელიმე ღვთაებისა, რომელსაც აქ თაყვანს სცემდნენ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი სახეზეა. ტოპონიმ ტარხვენის სახით ჩვენ საქმე გვაქვს წარმართული ხანის მოვლენასთან და ამდენად მნიშვნელოვანია მასზე საუბარი.

21. მერე

ქართველი ლექსიკოგრაფების სულხან-საბა ორბელიანისა (XVIII საუკუნე) და ნიკო ჩუბინაშვილის (XIX საუკუნე) განმარტებით, მერე მდინარის პირას მდებარე ადგილის აღმნიშვნელია. ამ სახელის მქონე ადგილთა სახელები საქართველოში ბევრია და საერთოქართველურ ფუძეზე აღმოცენებული ტერმინია. იგი ყველაზე მეტად გავრცელებულია აჭარის, გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე (ქურდიანი, 2002:396).

მერე სამეურნეო ტოპონიმია, რომელიც მდებარეობს მდინარე მაჭახელას მარჯვენა, სოფელ ჩიქუნეთის მოპირდაპირე მხარეს. ამ სახელს ატარებს ვრცელი სახნავ-სათესები, რომლებიც დღეს თითქმის მიტოვებულია. მერე, როგორც ტოპონიმი, მრავლობითშიც მოიხსენიება მერიების სახელწოდებით.

აქაური ადგილმდებარეობა რომ ადრე იყო ათვისებული, ამაზე აქ შუა საუკუნეების დროინდელი ქვითკირით ნაშენი საწნახლის არსებობაც მიუთითებს. მერეს ახლომახლო სხვა საწნახლებიც (საჭინკურია, ჯანავრა, ჭონჭყო) არსებობს. საწნახელთა მიდამოები დღეს ტყე-ბუჩქნარითაა დაფარული.

22. ქუცუბანი

ქუცუბანი იგივე ხუცუბანია, რომლის სახელწოდება მომდინარეობს ხუცესიდან და ნიშნავს ხუცესთა ადგილსაცხოვრებელს. ხუცესიდან მომდინარე ადგილთა სახელები კი საქართველოსა და, კერძოდ, აჭარაში ბევრია. ასეთებია: სოფელი ხუცუბანი ქობულეთში, ხუციაშვილების უბანი სოფელ დიდაჭარაში, ხუციქედი ყინჩაურში, ხუციგორა ხინოში (სიხარულიძე, 1958, იხ. საძიებლები).

სავარაუდებელია, რომ ქუცუბანი ქრისტიანობის პერიოდში ხუცესთა საცხოვრებელი შეიძლება ყოფილიყო. გამორიცხული არც ის არის, რომ ოსმალთა მოძალების პერიოდში აქ ფარული ქრისტიანები (ხუცები) აფარებდნენ თავს. 1940-იან წლებამდე ზედა ჩხუტუნეთელ ნაგერვაძეებს აქ ზაფხულობით იაილაც ჰქონდათ გამართული, სადაც თვეობით რჩებოდნენ.

23. შიმშილახევი

ტერმინი ხევი თუ ხეობა მაჭახლელთა ლექსიკაში არ გვხვდება, მაგრამ იგი მოჩანს ამ ორი სიტყვით შეერთებულ ტოპონიმში. მიკროტოპონიმიდან ჩანს, რომ ტერმინი ხევი, რომელიც საფუძვლად დაედო ტოპონიმს, ადრე ადგილობრივი მოსახლეობის ლექსიკაში არსებობდა. ეს ტოპონიმი სოფელ ზედა ჩხუტუნეთის ტყიან ზონაში მდებარეობს. ადრე ტოპონიმის ტერიტორიაზე პატარა მდინარე მოედინებოდა, რომელიც დროთა განმავლობაში დამშრალა და ადგილსაც შიმშილახევი დარქმევია.

შიმშილახევის სახელი ადგილობრივ მოსახლეობაში იმითაა ცნობილი, რომ აქ სამკურნალო მინერალური წყალი ანუ აბანო არსებობდა. გადმოცემით, სახსრებით დაავადებული

ავადმყოფი ზაფხულობით სალაჯით ანუ საკაცით აჰყავდათ, რამდენიმეჯერ აბაზანის მიღების შემდეგ კი ის უკან საკუთარი ფეხით ბრუნდებოდა.

დროთა ვითარებაში აბანო გაუქმებულა. გადმოცემით, ზოგიერთი უღირსი მამაკაცი თურმე აბანოში ჩასულ ქალებს უთვალთვალებდა. ამით გაღიზიანებულ მოსახლეობას აბანო ქვებით ამოუვსია. 1940-იან წლებში ზედა ჩხუტუნეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის იოსებ ნაგერვაძის თაოსნობით, უცდიათ აბანოს მიდამოების გაწმენდა და ამოქმედება, მაგრამ სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო ეს ვერ მოუხერხებიათ.

შიმშილახევის აბანოს გარდა, არსებობდა მეორე სამკურნალო წყარო და ადგილსაც სახელად აბანო ეწოდება. აბანო ქვით ამოყორილი ყოფილა და პატარა ზომის. ის წითელკილდის (საძოვრის სახელია) მიდამოებში არსებობს და ამჟამად უმოქმედოა.

დღეს, როდესაც მაჭახლის ხეობის ეთნოსოფლის მოწყობის სამთავრობო პროგრამა ხორციელდება, შეიძლება დაისვას საკითხი ამ აბანოთა რეაბილიტაციაზე, რაც სამედიცინო ტურიზმის ინტერესებსაც მოემსახურება. აქვე მივუთითებთ, რომ -ხევ დაბოლოებიანი ტოპონიმები ხეობის სხვა სოფლებშიც დასტურდება (ნაკაბახევი ჭანივრში, კაპანთხევი აჭარისაღმართში).

24. ჯვართა

ჯვართა ქრისტიანობის დროინდელი ჯვარფუძიანი ტოპონიმია, რომელიც საქართველოსა და, კერძოდ, აჭარაში ხშირად გვხვდება. ჯვართას სახელს ატარებს გადასასვლელი, რომელიც სოფელ ზედა ჩხუტუნეთს, დავითეთის უძველეს დასახლებაზე გამავალი გზით, აკავშირებს ასევე უძველესი დასახლების სო-

ფელ სკურდიდთან. სკურდიდის მოსახლეობაც ამ გადასასვლელს ჯვართას გორას ეძახის. შესაძლებელია, ჯვართას ადრინდელი სახელწოდება ყოფილიყო ჯვარის მთა, სადაც ქრისტიანული ჯვარი უნდა ყოფილიყო აღმართული, მსგავსად სოფელ ჩიქუნეთის დასახლებული უბნის სახელწოდებისა, რომელიც ცნობილია ჯვარიღელეს სახელწოდებით (იხ: შენიშვნებში).

გადმოცემით, ჭირიანობის ჟამს, როდესაც ბევრი სიცოცხლეს გამოსალმებია, უვნებლად დარჩენილა ზედა ჩხუტუნეთელი შეძლებული პიროვნება, მოხუცებულობის ასაკში მყოფი ქობულაძე, რომელსაც ხეირათად ანუ საქველმოქმედოდ დავითეთიდან ჯვართამდე გზის დიდ მონაკვეთზე კიბისებურად ქვაფენილი დაუგია. ეს ქვაფენილი ახლაც არსებობს.

არ არის გამორიცხული, რომ ჯვართაზე (ჯვარის მთაზე) საზაფხულო მუდმივი თუ დროებითი ადგილსამყოფელიც ყოფილიყო. არქეოლოგიურმა დაზვერვითმა ძიებამ ამის დამადასტურებელი ნაკვალევიც შეიძლება აღმოაჩინოს.

25. აგარათავი

აგარათავი სიტყვათშეერთებით საზღვრითი ტოპონიმია. მისი სახელწოდების ასახსნელად საჭიროა ვიცოდეთ აგარის განმარტება. საბას განმარტებით, აგარა არის „სადგური საზაფხულო“. ხოლო აქედან მიღებული „აგარაკი“ კი არის „ადგილი საყანური, გინა სავენახე, გინა დაბა“ (საბა, 1949:19). აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის განმარტებით, აგარა თუ აგარანი იყო არა მარტო ჩვეულებრივი სადგომი, არამედ დასასვენებელი, სახნავსათესი და სავაჭრო ადგილი (ბერძენიშვილი, 1958:314).

აგარათავის, როგორც ტოპონიმის, სახელწოდებაც აგარის ამგვარ განმარტებას უნდა დავუკავშიროთ. მაგრამ ახსნას საჭი-

როებს: თუ მიკროტოპონიმი აგარა არ დასტურდება სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, მაშინ აგარათავი საიდან გაჩნდა? სოფლის მოსახლეობის მეხსიერებაში მისი არსებობის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ არსებობს ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში დაცული დოკუმენტი - ოსმალთა ბატონობის დროინდელი შავშეთ-იმერხევისა და მაჭახლის ლივების საგადასახადო სიები (თარიღდება ჰიჯრით 1175 წლით, ანუ ევროპული წელთაღრიცხვით 1761 წელი), რომლის მიხედვით, მაჭახლის ლივების სოფლების ჩამონათვალში სხვა 19 სოფელთან ერთად, აგარა ცალკე სოფლად სახელდება (შენგელია, 2016:385).

თუ XVII საუკუნის 60-იან წლებში მაჭახლის თემში აგარა ცალკე სოფლად არსებობდა, მაშინ ეს აგარა დღევანდელ აგარათავთან ახლოს უნდა ყოფილიყო. მაგრამ რატომ არ მოიხსენიება შემდგომი პერიოდის სხვა დოკუმენტებში სოფელი აგარა? ჩვენი ვარაუდით, დღევანდელი ზედა ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე მაშინ აგარა შეიძლება პატარა, რამდენიმეკომლიანი სოფელი შეიძლება ყოფილიყო და შემდეგ, რაღაც მიზეზის გამო, მან არსებობა შეწყვიტა. ასეთი მცირეკომლიანი სოფლები საქართველოს მთიანეთში იშვიათი შემთხვევა არ ყოფილა.

აგარათავის სახით მართლაც განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ტოპონიმი აგარათავი გვაქვს და აგარა - არა. იგივე მაჭახლის სოფელ ჩიქუნეთის დასახლებულ უბან ბასილეთში გვაქვს კორდითავი და კორდი, იგივე ზედა ჩხუტუნეთის კახიეთის დასახლებულ უბანში გვაქვს მიკროტოპონიმი ახოთი თავი და ახოთი, ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში - თიკანაურის თავები და თიკანაური, შუახევის რაიონის სოფელ მახალაკიძეებში - ბეშურის თავი და ბეშური, სოფელ ჯაბნიძეებ-

ში - ვერხვანთავი და ვერხვანი, ქედის რაიონ სოფელ აგარაში გვაქვს თვით აგარა და მასთან ერთად ქვედა და ზედა აგარა.

ამ ტოპონიმიკური მახასიათებლების შუქზე, მოცემულ შემთხვევაში, მართლაც საინტერესო ვითარებასთან გვაქვს საქმე: გვაქვს აგარათავი, მაგრამ არ გვაქვს აგარა, რაც საფუძვლიან გარკვევას საჭიროებს.

ტოპონიმ აგარათავის ახლოს დღეს მდებარეობს სოფლის დასახლებული უბანი ნაგერვეთის სახელწოდებით, რომელიც ძველი დასახლება ჩანს. 1930-იან წლებში აქ კორდი მიწის დამუშავებისას მიწაში დაფლული რამდენიმე ქვევრი უნახავთ. ერთერთ მათგანში ღვინის ნარჩენიც ყოფილა წიპწებთან ერთად. ნაგერვეთში ამჟამად მხოლოდ ნაგერვაძეები ცხოვრობენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი ნაგერვეთი ადრინდელი აგარის ტერიტორიაზე არსებობდა.

აგარათავი გეოგრაფიული მდებარეობით (იგი სოფლის განაპირას მდებარეობს) ნამდვილად პასუხობს იმ განმარტებას, რომელიც მოცემულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონსა და ნიკო ბერძენიშვილის დახასიათებაში. იგი მართლაც საუკეთესო დასასვენებელი ადგილია ზაფხულის პერიოდში. ასეთივე გეოგრაფიული მდებარეობა უკავია აგარის სახელის მქონე სოფლებს ღორჯომის ხეობაში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. აჭარაში სულ 15-ზე მეტი ტოპონიმია აღრიცხული, რომელიც აგარის სახელწოდებას ატარებს (სიხარულიძე, 1958: იხ. საძიებლები).

26. ძნელიეთ ქედი//ძნელიეთა

დასახლების სახელი აქ მცხოვრები ძნელაძეების გვარიდან მომდინარეობს. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ძნელაძეები მაჭახ-

ლის ხეობის ძველი გვარია, რაც მას მაჭახელში მოგზაურობის დროს ჩაუწერია. ძნელაძეები, ისე, როგორც მაჭახელში მცხოვრები ქავთარაძეები და ზაქარაძეები, გამოჩენილი აზნაურები ყოფილან.

ოსმალთა შემოსევის პერიოდში ქრისტიანობის დაცვის ბრძოლის ისტორია ბევრ ეპიზოდს იცნობს. ერთ-ერთი ამ ეპიზოდთაგანი მაჭახლელი ძნელაძეების გვარს უკავშირდება. როდესაც ოსმალებმა ძნელაძეთელ აზნაურებსაც გამოუცხადეს ბრძოლა და გამაჰმადიანება მოსთხოვეს დიდძალი საჩუქრების საფასურად, პასუხი ასეთი იყო: ჩვენ არც გავმაჰმადიანდებით და არც თქვენი საჩუქრები გვინდაო. საბოლოოდ, ოსმალთა მუქარის და ძლიერი ზეწოლის შედეგად, თითქმის ყველა ძნელაძე გამაჰმადიანებულა, ერთის გარდა, რომელსაც ოსმალებისთვის განუცხადებია: გვარად ძნელაძე ვარ და საქმითაც ძნელაძედ უნდა დავრჩეო, ენა და ყელი რომ გამომჭრათ, მაინც არ გავმაჰმადიანდებიო. ბოლოს ოჯახის ყველა წევრი გამაჰმადიანებულა, ოჯახის უფროსის გარდა. იგი, ღონემიხდილი, სიკვდილამდე ქრისტიანად დარჩენილა. მას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ მაჰმადიანურად დამარხავდნენ და არა ქრისტიანული წესით. გარდაცვალების შემდეგ გამაჰმადიანებულმა ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა, დაპირების თანახმად, ართვინიდან მღვდელი მოიყვანეს და ქრისტიანულად, საგვარეულო ეკლესიაში დაასვენეს (ჭიჭინაძე, 2004:66).

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ოსმალთა მოძალების ჟამს მაჭახლელთა ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გახიზნულა. ძნელაძეთა წარმომადგენლებს კი იმერეთსა და ქართლ-კახეთში შეუფარებიათ თავი (ჭიჭინაძე, 2004:67).

1963 წელს ძნელიეთ ქედში მცხოვრები ასლან ძნელაძისგან მოწოდებული ინფორმაციით ჩანს, რომ ხსენებული ქრისტიანი

ძნელაძის ოჯახი მრავალრიცხოვანი ყოფილა. მას 18 შვილი ჰყოლია და გამუსლიმების შემდეგ ამ ოჯახისათვის ონსექისოღლი დაურქმევიათ (ონსექიზ თურქულია და ქართულად თვრამეტს ნიშნავს).

ძნელიეთ ქედზე მცხოვრებ ძნელაძეებს საგვარეულო ეკლესიაც ჰქონიათ, რომელიც ზვავს წაუღია. ამ ადგილას ახლა ძნელაძეთა საცხოვრებელი სახლი დგას, რომლის საძირკვლის გათხრისას რაღაც ნივთები აღმოუჩენიათ. აქ მცხოვრები ძნელაძეები ცნობილი მეიარაღეებიც ყოფილან. მათ შორის სახელდებიან სალიხ ძნელაძე და მისი შვილი ყედირი, რომელიც ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1940-იან წლებში. შემდეგ მჭედლობას ეწეოდნენ მისი შვილებიც: აწ გარდაცვლილი ხუსეინი, ასლანი და აბდული. სალიხ და ყადირ ძნელაძეების სამჭედლო ნაწილობრივ ახლაც მოქმედებაშია.

1. ჩიქუნეთი

ჩიქუნეთის სახელწოდების წარმომავლობა დადგენილი არ არის. იგი რომ მაჭახლის ხეობის უძველესი სოფელია, ეს „ტბეთის სულთა მატიანიდანაც“ (XII-XVII საუკუნეები) ჩანს. მატიანის XII-XIII საუკუნეების ფენაში მოხსენიებული არიან „ჩიქუნეთით შემომწირველები“, რომლებიც სულის მოსახსენებლად შავშეთის ტბეთის ეკლესიაში დადიოდნენ.

სოფელი ჩიქუნეთი ისტორიული სიძველეებითაც გამოირჩევა. მის ტერიტორიაზეა ჩომახისურის შუა საუკუნეების ქვის თაღიანი ხიდი, სოფლის სხვადასხვა დასახლებულ უბნებში აღრიცხულია ღია ტიპის მარნები, მიწაში ბევრგან ჩამარხული ქვევრები, ძველი ნასახლარების ნაშთები და ა.შ. ჩიქუნეთის ტერიტორიაზე (სიკალეთი, ქოქოლეთი) გადიოდა საცალფეხო

ბილიკი (მდინარე მაჭახელას მარჯვენა მხარე), რომლითაც ქვედა მაჭახელი ზედა მაჭახელს უკავშირდებოდა სოფელ ხერთვისთან. აქედან კი, ზედა და ქვედა ჩხუტუნეთის გამოვლით, გზა მიემართებოდა შავიზღვისპირეთამდე.

სოფელმა ჩიქუნეთმა თავისი სახელი კარჩხალის მთის საზაფხულო საძოვრების ზონაში არსებულ ტოპონიმშიც შემოგვინახა, „ჩიქუნართა მთის“ სახელწოდებით. 1921 წლამდე, საქართველო-თურქეთს შორის საზღვრების ჩაკეტვამდე, სოფელ ჩიქუნეთის მოსახლეობა სარგებლობდა კარჩხალის მთის საძოვრებით. კარჩხალის მთის ზონაში საძოვრები განაწილებული ჰქონდა ქვედა და ზედა მაჭახლის სხვა სოფლებსაც. დღესაც ჩიქუნართა მთის საძოვრებით ზედა მაჭახლის სოფლების მოსახლეობა სარგებლობს და მისი სახელწოდებაც „მაჭახელთა თის“ სახით შემორჩა. „ჩიქუნართა თა“ მესაქონლეობასთან დაკავშირებული ადგილის სახელწოდებაა. ადრე ამ ტერიტორიაზე ორი მთა-საძოვარი არსებობდა, რომელსაც გორგითი და კავნარა ერქვა (კახიძე, 1973:32).

2. გორიეთი

გორიეთიც ძალზე საინტერესო ტოპონიმია. მისი წარმომავლობა შეიძლება დავუკავშიროთ იმ პერიოდს, როცა, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის დახასიათება რომ მოვიშველიოთ, „ჩვენი წინაპრები საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ საფეხურზე „გორაებად“ სახლობდნენ. ეს გორაები იყო საფუძველი, საიდანაც განვითარდნენ უძველესი „დაბები“, „ქალაქები“, „ციხეები“, „სალოცავები“ (ბერძენიშვილი, 1964:363). ამასთან, მეცნიერი ბუნებრივად სვამდა საკითხს „გორას“ ურთიერთობის შესახებ სო-

ციალურ ტერმინ „გვართან“ (ბერძენიშვილი, 1964:401). ამ ადგილას ძველი ნამოსახლარის ნაშთებიც შემორჩა.

თავდაპირველად, გორიეთის დასახლებულ უბანში მხოლოდ გორაძეები ცხოვრობდნენ. დღესაც ისინი შეადგენენ უმრავლესობას. გორაძე ხეობის უძველესი გვარია, რომელიც „ტბეთის სულთა მატიანის“ ძველ ფენაში (XII-XIII საუკუნეები) მოიხსენიება.

3. ნაასლევი

ტოპონიმის სახელწოდების წარმომავლობა აქ ასლის კულტურის მოვლა-მოყვანას უკავშირდება. ასლი უძველესი მარცვლეული კულტურების ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული (ჯავახიშვილი, 1930:337), მათ შორის, აჭარა-მაჭახლის ხეობაშიც.

ასლის კულტურასთან დაკავშირებული ტოპონიმები მაჭახლის ხეობის რამდენიმე სოფელში გვხვდება. ასევე უნდა ითქვას მთლიანად აჭარის მაგალითზე (სიხარულიძე, 1958, იხ.: საძიებლები), მაგრამ ხანდახმულ მთხრობლებსაც კი გაუჭირდათ რაიმე ეთქვათ ასლის მოყვანასთან დაკავშირებით. მხოლოდ გუნდოვნად ახსოვდათ, რომ ისიც პურეულის სახეობას ეკუთვნოდა და მისგან საუკეთესო პურიც ცხვებოდა. ეს იმით აიხსნება, რომ ასლის კულტურამ აჭარა-მაჭახელშიც, ისე როგორც საერთოდ საქართველოში, ადრე დატოვა ასპარეზი და მისი ნაკვალევი შემოგვინახა მხოლოდ ტოპონიმიკამ ნაასლევის სახელწოდებით და ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ. მაჭახლის ხეობასა და მის მეზობელ სოფელ კირნათში ჩაწერილი მასალებით, ზეპირსიტყვიერებაში შემორჩა მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებული

ქალთა ნადურ სიმღერებში შემორჩენილი ნაწყვეტები: „პური ვჭამე ასლისაო, დროა ჩემი წასვლისაო“, „ასლი პურის ნაჭარიო თავზე გადაგაჭარიო“ (ჩიჯავაძე, 1971:39).

4. ჯვარიღელე

ეს ტოპონიმიც უძველესი წარმოშობისაა და მისი წარმომავლობა უნდა უკავშირდებოდეს პერიოდს, როდესაც ხშირი გვალვებით შეწუხებული მოსახლეობა სხვადასხვა წეს-ჩვეულებას მიმართავდა წვიმის გამოწვევის მიზნით. ერთ-ერთი ასეთი წეს-ჩვეულება იყო დადგენილ დღეებში ჯვრის წყალში ჩასვენება, რაც ეკლესიის მსახურის მეთვალყურეობით სრულდებოდა. გაწვიმებისთანავე ჯვარი წყლიდან აუცილებლად უნდა ამოესვენებინათ. ასეთი წეს-ჩვეულება ჩვენ მიერ ჩაწერილ იქნა ტყიბულის რაიონის სოფელ ჯვარისაში, 1963 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს, ტყიბულის მეშახტეთა ყოფისა და კულტურის საკითხების შესწავლისას. ჯვარიღელეც ასეთი შინაარსის ტოპონიმი უნდა იყოს და ქრისტიანობის პერიოდს უკავშირდება.

5. ჩომახისური

ადგილმდებარეობის სახელწოდების წარმომავლობის დადგენა ძნელდება. ამ ადგილს ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს მდინარე მაჭახელას მარჯვენა მხარეს, მდინარე ქოქოლეთის წყალზე აგებული ქვის თაღიანი მოზრდილი ხიდი. გადმოცემით, ეს ხიდი XVII საუკუნეში აუგია სოფელ ჩიქუნეთის კირკიტეთის უბანში მცხოვრებ თანთო ახმედ-აღა ხინკილაძეს. ხიდის მახლობლად შემორჩენილია ბურჯის ნაშთი, რომელიც შუა

ფეოდალურ ხანაში აქ ხიდის არსებობაზე მიუთითებს. როგორც თვლიან, თანთო ახმედ-აღას ეს ახალი ხიდი ამ ძველი ხიდის ზემოთ აუგია (სიხარულიძე, 1962:61). ხინკილაძე მაჭახლის უძველესი გვარია. ვინმე სამი ხინკილასძეა მოხსენიებული „ტბეთის სულთა მატიანის" ადრეული ფენის (XII-XIII საუკუნეები) შემწირველთა სიაში.

6. იაილიკარი

იაილიკარი სოფელ ქოქოლეთის ერთ-ერთი დასახლებული უბნის სახელია, სადაც ახლა რამდენიმე კომლი ცხოვრობს. ადრე ეს ადგილი სოფლის ყიშლას წარმოადგენდა, სადაც აქაურებს იაილებიც ჰქონდათ. იაილები შემდეგ მუდმივი დასახლების ადგილად იქცა და მან თავისი ფუნქცია დაკრგა. ადგილი იაილიკარად გადაიქცა. იგი სოფელს შეერწყა (კახიძე, 1973:35). მესაქონლეობასთან დაკავშირებული სოფლის ცალკეული უბნების წარმოშობის მსგავსი მაგალითები აჭარის სხვა ხეობებშიც გვხვდება. ზემო აჭარაშიც ბევრი ყიშლა (ფერდა) სოფელს შეერთებია და მის უბნად გადაიქცა (შამილაძე, 1969:92).

7. კომსიმერე

კომსიმერე სოფელ ქოქოლეთის, მდინარე მაჭახელას მარჯვენა ნაპირას მდებარე სამეურნეო ტოპონიმია, რომელიც ამჟამად არ მუშავდება. იგი კომპოზიტი ტოპონიმია. მისი პირველი ნაწილი, როგორც მსაზღვრელი, პიროვნების (ვინმე კომსის) აღმნიშვნელი უნდა იყოს, მეორე ნაწილი - მერე კი საერთო ქართველურ ფუძეზე აღმოცენებული ტერმინია, რომელიც აჭარა-გურიისა და სამეგრელოს ტოპონიმიკაშია გავრცელებული და

ნიშნავს მდინარის პირას მდებარე ადგილს (საბა, 1949:171, ჩუბინაშვილი, 1964:252; ქურდინი, 2002:396). ჩვენი ვარაუდით, ტოპონიმი „კომსიმერე“ ადრე „კომსის მერეს“ თუ „კომსიძის მერეს“ ფორმით უნდა ყოფილიყო და დროთა ვითარებაში განიცადა მან ცვლილება და მოგვევლინა „კომსიმერეს“ სახელწოდებით. თუ ამ მოსაზრებას ვერწმუნებით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ კომსიმერე ვინმე ნიკოლოზ კომსიძის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. თუ კომსიძეს სოფელ ჩიქუნეთის მკვიდრ მცხოვრებად მივიჩნევთ (იგი, როგორც მწერალი, „ტბეთის სულთა მატიანის“ ადრეულ ფენაში (XII-XIII საუკუნეები) არის მოხსენიებული, მეზობელ ხინკილაძეებთან ერთად), მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი კომსიმერე მართლაც ამ ნიკოლოზ კომსიძის საკუთრება შეიძლებოდა ყოფილიყო (მწერალ კომსიძის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: ნოდარ კახიძე, ნიკოლოზ კომსიძე (შუა საუკუნეების დღემდე უცნობი მწერალი მაჭახლის ხეობიდან). - ჟურნალი „მაჭახელი“, ბათუმი, 2009-2010:7-9. ამავე სახელწოდების სტატია დაიბეჭდა, აგრეთვე, გაზეთ „აჭარაში“ - 2009, №147, 24-25 დეკემბერი).

8. სიკალეთი

სიკალეთის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს აქ მცხოვრები სიკალიძიდან (სიკალიძეებიდან), რომლებიც პირველ ანუ დიდ მუჰაჯირობამდე სოფელში ცხოვრობდნენ. 1887 წლამდე ჯერ თურქეთის რომელიღაც ადგილას ცხოვრობდნენ და შემდეგ სოფელ ჩიქუნეთიდან წასულ სხვა გვარებთან (გორაძე, ხინკილაძე, კირკიტაძე, აბაშიძე, მალაყმაძე, ქოქოლაძე, ლექურაშვილი, გურგენიძე, დოლიძე) ერთად, 1887–1888 წლებში, ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში

დასახლებულან (ფუტკარაძე, 1993:346). დღეს სიკალეთში არცერთი სიკალიძე არ ცხოვრობს.

სიკალიძე, რომლის მიხედვით სოფელ ჩიქუნეთის დასახლებულ პუნქტს შეერქვა სახელი, უძველესი გვარების რიცხვს ეკუთვნის. მისი წინამორბედი სიკალეთში დიდი ხნის წინ ცხოვრობდა. ისინი სიკალაეთ ფორმით არიან მოხსენიებული „ტბეთის სულთა მატიანის“ (XII-XVII საუკუნეები) ადრინდელ (XII-XIII საუკუნეები) ფენაში (ენუქიძე, 1977). ამდენად, სიკალეთი სოფელ ჩიქუნეთის უძველესი დასახლებული პუნქტია და ასევე უძველესია სოფელ სიკალეთის სახელწოდებაც.

9. დოლაბეთა

ტოპონიმ დოლაბეთაში/დოლაბეთში ფუძედ გამოიყოფა დოლაბ-ი, რომელიც, ლექსიკოლოგთა განმარტებით, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, განმარტებულია, როგორც წისქვილი, დიდი წისქვილი, დიდი საფქვავი ქვა (ჩუბინაშვილი, 1961:206; ნიჟარაძე, 1971:181; ღლონტი, 1984:209). ამ განმარტების საფუძველზე, მართლაც, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტოპონიმ დოლაბეთას და ჩამოთვლილი დოლაბ-ფუძიანი სხვა ტოპონიმების წარმომავლობა უკავშირდებოდეს წისქვილის არსებობას, რადგან სხვა ახსნა, მათ შორის, არც მთხრობელთა რაიმე ცნობა, ამის შესახებ არ მოგვეპოვება. თუმცა, გასარკვევია ტოპონიმი დოლაბეთა უფრო ადრეულია თუ მოგვიანოდ შერქმეული, რამდენადაც წისქვილების არსებობის მანიშნებელი სხვა ტოპონიმებიც აჭარასა და, კერძოდ, მაჭახლის ხეობაში, არაერთი მოგვეპოვება წისქვილიკარის, წისქვილიღელის, წისქვილიხევის, წისქვილიმინდორის სახელწოდებით (სიხარულიძე, 1958, იხ. საძიებლები).

მაჭახლის ხეობის დოლაბეთასთან დაკავშირებით, საინტერესოა ზედა მარადიდის ტოპონიმ დოლაბეთის სახელწოდების წარმომავლობის ახსნა, რომელიც აქ მცხოვრები დოლაბერიძეების გვარს უკავშირდება. სავარაუდოდ, ისინი დოლაბების მკეთებლები უნდა ყოფილიყვნენ (დიდმანიძე, 2019:174). დოლაბერიძეები და დოლაბიძეები ზედა მარადიდის სოფელ ქართლაშიც ცხოვრობენ (ფუტკარაძე, 1993:315-316).

10. კვერცხიკაკალო

ამ ტოპონიმის წარმოშობა დაკავშირებულია ყალივაკის, იგივე ჩხუტუნეთის, ციხის მპყრობელის (XIX პირველი ნახევარი), ვინმე სინდიეთელი ბეგის სერდალოღლის სახელთან. იგი, თუ სადმე ახლომახლო სოფელში ქათამი დაიკაკანებდა, პატრონს თავის კაცს მიუგზავნიდა და შეუთვლიდა: თქვენმა ქათამმა კვერცხი დადო და გამომიგზავნეთო. თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ქათმის მეპატრონეს რისხვა ელოდებოდა. ამის გამო დაერქვა ამ ადგილს კვერცხიკაკალო.

11. საფუტკრეთი და გორგაძეთი

საფუტკრეთი ნაწილობრივ და გორგაძეთი მთლიანად დღეს ნასოფლარებად ითვლება. 1946 წელს ამ ორი სოფლის მოსახლეობა ყოფილი ბათუმის რაიონის (ახლანდელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) სოფელ ჭარნალში იქნა ჩასახლებული. მიზეზად ამ სოფლების თურქეთის საზღვრისპირას მდებარეობა დასახელდა. ორივე სოფელი კოლექტივიზაციის პერიოდში ერთ კოლმეურნეობად ითვლებოდა. გორგაძეთს ეკუთვნოდა ქავთარაძეებით დასახლებული უბანი - ქავთარეთი. გორგაძეთ-

ში გორგაძეები და გვიანიძეები, საფუტკრეთში კი - მხოლოდ ფუტკარაძეები სახლობდნენ.

ამ სოფლებსაც სახელწოდებები აქ მცხოვრებთა გვარების მიხედვით შეერქვა.

ქავთარაძეებისა და გორგაძეების გვარის წარმომადგენლები სახელგანთქმული მეიარაღეები იყვნენ, ამზადებდნენ ცივ საბრძოლო და კაჟ-ჩახმახიან (თოფი და დამბაჩა) ცეცხლსასროლ იარაღებს „მაჭახელას“ სახელწოდებით. გორგაძეთის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების პერიოდის ქვის ერთი თაღიანი ხიდი არსებობდა წისქვილანარა ხიდის სახელწოდებით, რომელიც 1950-იან წლებში საბჭოთა მესაზღვრეებმა მწყობრიდან გამოიყვანეს. სოფელი გორგაძეთი იმ სახმელეთო საქარავნო გზის მონაკვეთზე მდებარეობდა, რომლითაც შავშეთის ქვეყანა შავიზღვისპირეთს უკავშირდებოდა.

დასახელებული სამი გვარი მოხსენიებულია „ტბეთის სულთა მატიანის“ (XII-XVII საუკუნეები) ადრეულ ფენაში გორგაძე გორგასძის, ფუტკარაძე მეფუტკრისძის, ქავთარაძე ქავთარასშვილის ფორმით. მატიანის მონაცემები წამოჭრის ვარაუდს, ვთქვათ, რომ საფუტკრეთი ადრე მეფუტკრიეთად იწოდებოდა. მატიანეში მეფუტკრიეთ გვარი რამდენჯერმე მოიხსენიება. მეფუტკრიეთი თუ საფუტკრიეთი კი სოფელს იმიტომ უნდა შერქმეოდა, რომ აქაურ ტყეებში მრავლად არსებობდა ფუტკარი და კარგადაც იყო განვითარებული შინაური და ნახევრად შინაური მეფუტკრეობა. მაგრამ აქედან გამომდინარე სახელს მხოლოდ საფუტკრეთი ატარებდა. სხვაგან სოფელი საფუტკრეთი, როგორც სეხნია ტოპონიმი, არ გვხვდება. მხოლოდ სოფელ დღვანშია ფიქსირებული მიკროტოპონიმი საფუტკრეთი სათესის სახით.

საფუტკრეთიდან წასულებად ითვლებიან შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანსა და იმერეთში მცხოვრები ფუტკარაძეები. დღვანში დღესაც მხოლოდ ფუტკარაძეები სახლობენ, სხვა გვარი აქ არ ურევია (კალანდარიშვილი, 1978:40).

1. სოფელი ხერთვისი

ხერთვისი მაჭახლის ხეობის უძველესი სოფელია, რომელიც ამჟამად საქართველო-თურქეთის საზღვარზე, მინდიეთისა და ეფრატის მდინარეთა შესართავში მდებარეობს, ხერთვისი შედის ბორჩხის რაიონში, მდებარეობს მისგან 46 კილომეტრის მოშორებით.

ეს ხერთვისი ზედა ხერთვისადაც იწოდება, ქვედა ხერთვისი კი აჭარისწყალ-ჭოროხის შესართავში მდებარეობს, მაჭახლისა და ჭოროხის მდინარეთა შესაყარიდან 3 კილომეტრზე. საქართველოში სულ 6 ხერთვისია და ყველა მათგანი მდინარეთა შესაყარზე წარმოქმნილი სოფელია, ანუ „ორთა მდინარეთა შერთვის ადგილია“ (ხერთვისის სახელწოდების შესახებ ვრცლად იხილეთ: იური სიხარულიძე, 1958).

მაჭახლის ხერთვისი რომ ძველი სოფელია, ეს „ტბეთის სულთა მატიანის“ (XII-XVII საუკუნეები) ადრეულ (XII-XIII საუკუნეები) ფენაში ჩანს. აქ მოხსენიებული არიან ხერთვისის შემწირველები, რომლებიც სულის მოსახსენებლად შავშეთის ტბეთის ეკლესიაში დადიოდნენ. ისტორიაში ცნობილია ხერთვისის ციხე, რომლის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. ციხე ოსმალთა შემოსევების მსხვერპლი გამხდარა მაჭახლის სხვა ციხეებთან ერთად.

ხერთვისის ტერიტორიაზე მეორე ნაციხვარიც არსებობდა, რომელსაც შაანყაია ეწოდება. სახელწოდება თურქულია და

სიტყვასიტყვით არწივის კლდეს ნიშნავს (Şahan – არწივი, kavya– კლდე). ციხე ძნელად მისადგომ ადგილზე მდებარეობს და კლდეზეა აღმართული, რომელსაც ბუნებრივი თუ ხელოვნურად გაკეთებული გამოქვაბული ჰქონდა. მასში გრძელი თოკით – ჭაპანით ჩადიოდნენ. ზედა მაჭახლელთა გადმოცემით, ამ გამოქვაბულს განსაცდელის ჟამს თამარ მეფეც აფარებდა თავს. მოგვიანებით, გამოქვაბულში ხერთვისელებს სკებიც ჰქონიათ განთავსებული და დიდი რაოდენობით საუკეთესო ხარისხის თაფლსაც იღებდნენ. გამოქვაბულს სამალავადაც იყენებდნენ. „შაანყაია“ თავდაცვითი თუ სხვა მნიშვნელობის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლია, რომელიც მეცნიერულად დღემდე არავის შეუსწავლია. მისი შესწავლით კი ქართველი და თურქეთში მომუშავე ისტორიკოსები და არქეოლოგები უნდა დაინტერესდნენ.

2. მინდიეთი

მინდიეთის სახელწოდების ახსნა ძნელდება. იგი ზედა მაჭახლის ერთ-ერთი დიდი სოფელია და ისტორიული სიძველეებითაც გამოირჩევა. ტოპონიმი ნაეკლესიარი მიუთითებს, რომ აქ ეკლესია არსებობდა. აქ არის ქვის თაღიანი ხიდი, ნაციხვარი ადგილი, პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში აქ იღებდნენ ოქროს მადანს, რომლის მოპოვებაზე ქვედა მაჭახლელებიც მუშაობდნენ. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, XIX საუკუნის ბოლოს მინდიეთში გაუჩეხავი ბნელი ტყეები არსებობდა, სადაც დიდძალი ხეფუტკარა ბინადრობდა. სოფელში ცხოვრობდნენ მინდიაშვილები, რომლებიც გამუსლიმების პერიოდში ქართლში გადახვეწილან (ჭიჭინაძე, 1913:195). არაა გამორიცხული, რომ სოფლის სახელიც მინდიაშვილების საცხოვრისს უკავშირდებოდეს. სო-

ფელი გამოირჩევა -ეთ მაწარმოებლიანი ადგილთა სახელებით (გივიეთი, ოსანეთი, ზეკალეთი, კორტანეთი, ციმნარეთი, კონკალეთი და სხვ., რომლებიც -ეთ მაწარმოებლიან ძველ გვარებად ითვლება). ირემეთისა და ირემაძის გვართან დაკავშირებით, მინდიეთელი 70 წლის ოსმან ირემაძისგან 2010 წლის ექსპედიციის დროს ჩავიწერეთ გადმოცემა, რომლის მიხედვით, მინდიეთელი ირემაძეები ღორჯომიდან გადმოსულები არიან, ღორჯომში კი ისინი იმერეთიდან გადმოსულან და სოფელსაც სახენაცვალი ფორმა ირემეთი დაერქვა. ხალხური ახსნით, „ირემეთი შებრუნებული იმერეთია“. ხოლო ადრე მინდიეთი და აკრია ერთ სოფლად ითვლებოდა და აკრიაში რომ ხალხი გამრავლებულა, იგი ცალკე სოფლად გადაიქცა (ზედა მაჭახელი, 2019:93, 101). ამავე დროს, სწორი არ უნდა იყოს ხალხური გადმოცემა, რომ ირემეთი ეფრატზე ძველი სოფელია. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ირემეთი და მისი შემწირველები უსათუოდ იქნებოდნენ მოხსენიებული „ტბეთის სულთა მატიანეში“ (XII-XVII საუკუნეები). ეფრატი და მისი შემწირველები კი მატიანეში მოიხსენიებიან.

3. ფაფართი

ფაფართის სახელწოდება გაურკვეველია. არსებობს მხოლოდ ერთი გადმოცემა, რომელიც აქ ციხის არსებობაზე მიუთითებს. ციხე კი ფაფართელ სამ დას აუშენებია. ეს გადმოცემა ზაქარია ჭიჭინაძეს შავშეთში ჩაუწერია აქ მოგზაურობის დროს, 1892 წელს. გადმოცემით, დები ძლიერ ქებულნი ყოფილან, დიდრონ ქვებს ერთიმეორეზე აწყობდნენ და ძმებთან ერთად ასე ააშენეს ციხე. დების მხნეობასა და სიძლიერეზე კი ხალხს ლექსიც გამოუთქვამს:

„სამმა დამა ფაფათელმა,
ფაფათს ფაფა ნაჭამებმა,
მაღალ მთაზე სამი ძმითა,
ჩვენ ვაკეთეთ ციხე ქვითა.
სამსა ძმასა ქადაგლებსა,
ქადაგს ქადა ნაჭამებსა
ვეტყვით, თუ იმ ქვებს დასძრავენ,
ჩვენ გავყვებით მაშინ ცოლად“.

ზ. ჭიჭინაძე შენიშნავს, რომ ეს ლექსი ძველად ვრცელი ყოფილა, მაგრამ დროთა ვითარებაში მან სრული სახე დაკარგა. ლექსში საუბარია იმაზეც, რომ ქადაგელთა სამი ძმა ფაფათელ ქალებს ცოლობას ეცილებოდა, მაგრამ ქალები არ მიჰყვებოდნენ. ქალებს ძმებისთვის ასე უთქვამთ: ჯერ თქვენი გმირობა გვაჩვენეთ და შემდეგ წამოგყვებით ცოლადო. ძმებს ციხეზე დაშენებული მძიმე ქვები უნდა დაეძრათ ადგილიდან (ჭიჭინაძე, 1913:315-316).

საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ „ტბეთის სულთა მატიანეში“ (XII-XVII საუკუნეები) მოხსენიებულია ვინმე ივანე ქადაგისძე, შეიძლება დაისვას კითხვა მატიანისეული ქადაგიძის დაკავშირებისა „სამსა ძმასა ქადაგლებთან“.

4. სახუნდარი

სახუნდარი მონადირეობასთან დაკავშირებული ადგილის სახელწოდება უნდა იყოს. საბუთად მოვიშველიებთ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას: „საჯუნდარი ნადირთ მოსავალი ადგილი“ (საბა, 1949:313) და ქიზიყურ ლექსიკონს, რომლის მიხედვით, სახუნდარი ისეთი ადგილია, სადაც მსროლელები ნადირს მათკენ ერეკებიან (ღლონტი, 1984:489). კარჩხალის მთის

ზონაც, სადაც ადგილი სახუნდარია, ნადირთმრავლობით გამოირჩეოდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, სახუნდარი ზედა მაჭახლელ მონადირეთა სანადირო ადგილი უნდა ყოფილიყო, სადაც ისინი ადრე გარეულ ცხოველებზე ნადირობდნენ. მოგვიანებით კი სახუნდარი მთა-საძოვრად იქცა.

5. ინაწმინდა

ინაწმინდა ხალხური სახელწოდებაა ნინოწმინდისა, რომელიც კაპადოკიელი წმინდა ნინოს აქ ყოფნის პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს. გადმოცემით, წმინდა ნინოს აქ გამოუვლია და აქვე ეკლესიაც აუშენებია. ეკლესიასაც სახელად ნინოწმინდა რქმევია. სხვა გადმოცემა ეკლესიის აშენებას თამარ მეფეს მიაწერს, რომელსაც კარჩხალის მთაზე ცხოვრება ძალიან მოსწონდა. გადმოცემა იმასაც გვაუწყებს, რომ ნინოწმინდის მთიდან ერთი გზა კარჩხალის მთის გავლით შავშეთში გადადიოდა, მეორე გზით - ლიგანის ხეობაში (ჭიჭინაძე, 2004:55-56).

ნინოწმინდა გამუსლიმების შემდეგაც მაჭახლელთა სათაყვანებელი ადგილი იყო და მუსლიმური ლოცვის დროსაც ხელპირს ინაწმინდისკენ მიაპყრობდნენ.

ტოპონიმი ინაწმინდა (ნინოწმინდა) ამ დიდი წმინდანის სახელის უკვდავყოფის ცოცხალი ძეგლია, რომელსაც დავიწყება არ უწერია. არც ის არის შემთხვევითი ფაქტი, რომ ბევრი მაჭახლელი გოგონა წმინდა ნინოს სახელს ატარებს, რაც მისდამი სიყვარულის და პატივისცემის გამოხატულებაცაა.

6. სოფელი ეფრატი

ეფრატი პირველად „ტბეთის სულთა მატიანის“ უძველეს (XII-XIII საუკუნეები) ფენაში იხსენიება: „ყოველთა ეფრატით შემომწირველთა შეუნდვენ ღმერთმან“ (ენუქიძე, 1977:82).

ეფრატის სახელწოდების გარკვევით პირველად მაჭახლის საპოლიციო უბნის უფროსი, მწერალი დავით წერეთელი დაინტერესებულა. ერთ ხერთვისელ ომერ-აღა თევთიძესთან შეხვედრის დროს, 1878 წელს, კითხვაზე, თუ რისთვის დაერქვა სოფელს ეფრატი, მოპასუხეს ასე უპასუხია: როდესაც თამარ დედოფალმა აქ ეკლესია ააშენა, მაშინ ხის შენობების აშენებაც დაუწყიათ. გათლილი ხის ნაფოტი მაჭახლისწყალს სოფელ მაჭახლისპირში ჩაუტანია. აქ მცხოვრებ ზაქარაძეებს ეს ნაფოტი რომ უნახავთ, უთქვამთ ჩვენს ზემოთ ვიღაცა სახლობსო. ესენიც დაინტერესებულან და მაჭახლის გავლით ეფრატში ასულან. უნახავთ აქ აშენებული ეკლესია და ციხე და გაკვირვებულთ უთქვამთ: ეს რაფრათ გაგიკეთებიათო. აქაურებს უთქვამთ - „იმფრათ“, და დაერქვა იმ დღიდან იმფრათ, იმფრათი. მერე სიტყვა შეიცვალა და დაერქვა „ეფრატი“ (წერეთელი, მაჭახელი, გაზ. „დროება“, 1879, №187).

ეფრატის სახელწოდების ასეთი ხალხური ახსნა სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენი აზრით, სოფელს სახელი თავისი ადგილმდებარეობის გამო უნდა შერქმეოდა. ეფრატი მდებარეობს კარჩხალის მთის ძირას. იგი მაჭახლისა და კარჩხლის მთის გამყოფი სოფელია. ამდენად, ეფრატის სახელწოდების ახსნისას ჩვენ მოვიშველიებთ სიტყვა ეფრატის სულხან-საბა ორბელიანისეულ განმარტებას, რაც განყოფას ნიშნავს (საბა, 1949).

ევფრატის (ეფრატის) სახელწოდებასთან დაკავშირებით, თავისი არგუმენტირებული აზრი გამოთქვა პროფესორმა ბიჭი-

კო დიასამიძემ. მას ეკლესიის ისტორიის მკვლევრის მიხეილ თამარაშვილის წიგნში („ქართული ეკლესია დასაბამითგან დღემდე") მოყვანილი სამცხის 19 ეპარქიათა შორის ევფრატის ეპარქიის (ევფრატის საეპისკოპოსოს) წმინდა ღვთისმშობლის ტაძრით მეორედ დასახელება (პირველ ეპარქიად სხალთა სახელდება) საშუალებას აძლევს განაცხადოს, რომ ამ პერიოდშიც (მ. თამარაშვილის სია მოყვანილია XVII საუკუნის 30-40-იანი წლების არქანჯელო ლამბერტისეული აღწერიდან) ეფრატის ეკლესია, რომელიც წმინდა ღვთისმშობლის სახელს ატარებდა, ევფრატის სახელით მოიხსენიებოდა და გამართლებული იქნებოდა მის სახელად ევფრატი (ევფრატის საეპისკოპოსო) ვიხმაროთო. აქვე იმოწმებს სხვა ავტორებსაც (დავით წერეთელი, ვლადიმერ ლისოვსკი, ზაქარია ჭიჭინაძე, აპოლონ წულაძე), რომლებიც ეფრატს ევფრატად მოიხსენიებენ (დიასამიძე, 2017:26-27).

ეფრატს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მაჭახლის ხეობისა და, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქრისტიანულ-კულტურულ ცხოვრებაში. ზაქარია ჭიჭინაძის მიერ სოფელ ეფრატში 1892 წელს ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, აქ აშენდა პირველი ეკლესია, რომელიც მაჭახლისა და მაჭახლელთა დედაეკლესიად იწოდებოდა,

გადმოცემის მიხედვით, ადგილობრივ მოსახლეობას დიდი წინააღმდეგობა გაუწევია ოსმალებისთვის, რათა ეკლესია არ დაეინგრიათ და ღვთისმსახურება შენარჩუნებულიყო. პირველად მათ თითქოს შეუსმენიათ მოსახლეობის თხოვნა და ეკლესია არ დაუნგრევიათ. მხოლოდ კარები დაუკეტავთ, რათა მლოცველებს ეკლესიით არ ესარგებლათ. მიუხედავად ამისა, ღვთისმორწმუნე ეფრატელები, პირველ რიგში კი მოხუცი ქრისტიანები, მათ შორის, ახლად გამუსლიმებულები, დღესასწაუ-

ლის დღეებში მაინც შედიოდნენ ეკლესიაში, სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ. ამის შემდეგ დაუქცევიათ ოსმალებს ეკლესია და ხალხსაც სალოცავად შესვლა აუკრძალეს, ეფრატელებს კი მორჩილება განუცხადებიათ იმ შემთხვევაში, თუ ხელუხლებლად დატოვებდნენ ეკლესიის იმ კედელს, რომელთანაც კარჩხალის მთაზე მყოფმა თამარ მეფემ შუქი შენიშნა და სადაც შემდეგ მისი ბრძანებითა და დახმარებით ეკლესია აშენდა. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, მისი აქ მოგზაურობის დროსაც ეკლესიის ეს კედელი შემორჩენილი ყოფილა და მოხუცი გამუსლიმებული ეფრატელები, ძირითადად, ქალები, აქ იკრიბებობდნენ ლოცვების აღსავლენად (ჭიჭინაძე, 2004:58).

ეფრატის ეკლესიის ამ კედლის ნაშთი უნდა იყოს მისი ორი კედელი, რომელიც ეკლესიის ადგილას 1958 წელს მეჩეთის აშენების დროს გადმოუგდიათ.

ზ. ჭიჭინაძის ეფრატში მოგზაურობის დროს შემორჩენილი ყოფილა დანგრეული ეკლესიის ქვები. ზოგიერთ მათგანს ქართული წარწერებიც ჰქონია. ეფრატის ეკლესია სხალთის ეკლესიის ფორმის ყოფილა, რომელსაც სიგანე 5, სიგრძე კი 7-8 საჟენი ჰქონია (ჭიჭინაძე, 2004:58).

ეფრატის ეკლესიის დამხმარე ნაგებობებიდან დღემდე მოღწეულია მხოლოდ სხვადასხვა ზომის ქვის ფილებისაგან ნაშენი თაღისებური ფორმის სათავსოები, რომლებიც ყოფილი ეკლესიის ახლოს 150 მ სიგრძეზეა განფენილი. ერთ-ერთი მათგანის სიგანე 1,5 მეტრია, სიგრძე კი - 2 მეტრი. მათი ფუნქციები ჯერ-ჯერობით გაურკვეველია. სავარაუდოდ, ეს სათავსოები რაიმეს შესანახად გამოიყენებოდა. ეკლესიასთან ახლოს კირის დუღაბში ჩასმული მიწაში ჩამარხული საღვინე ჭურებიც უნახავთ. ერთ-ერთ მათგანში ღვინოც კი ყოფილა ჩარჩენილი.

სოფელ ეფრატის სხვა სიძველეებიდან აღსანიშნავია მიწის სამუშაოების დროს ნაპოვნი კვერცხის ფორმის ქვა, რომელზეც ჯვარი იყო ამოკვეთილი. სავარაუდოდ, ამ ქვას ეფრატელი ფარული ქრისტიანები ლოცვის დროს იყენებდნენ. ერთი გადმოცემით, თავკალოზე (ადგილია ეფრატის საზაფხულო საძოვრების ზონაში), თამარ მეფეს მშვენიერი სათვალთვალო კოშკიც აუგია, რომელიც ირგვლივ ირმის რქებით ყოფილა შემკული (კახიძე, 2013:70).

ეფრატის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შუა საუკუნეების ქვის თაღიანი ხიდები. თავდაპირველად ერთი ხიდი აუშენებიათ ეფრატის წყალზე, იმ ადგილას, რომელსაც სანაქია ეწოდება. შემდეგ მდინარეს კალაპოტი შეუცვლია და ხიდსაც ფუნქცია დაუკარგავს, დაყრუებულა. მას ახლა ყრუ ხიდს ეძახიან. შემდეგ, აქვე ახლოს, ორი თაღიანი ხიდი აუშენებიათ: ერთი ვაციეთის, მეორე - ჩუგათის წყალზე. ამ ხიდებზე გადიოდა გზები მაჭახლიდან შავშეთიმერხევში.

სამწუხაროდ, დღემდე ცოტა რამ ვიცით ეფრატის ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირების შესახებ. ერთ-ერთი მათგანია მწერალი სვიმონ ეფრატელი, რომელიც წარმოშობით მაჭახლის მეზობელი იმერხევის სოფელ დიობანიდან ყოფილა. იგი ოსმალთა მოძალების ჟამს აქაურობას გაშორებია და ბედიის მიტროპოლიტის გერმანე ჩხუტისძის მიწვევით, ბედიის ტაძარში მოღვაწეობდა, სადაც, სავარაუდოდ, აღესრულა (სიხარულიძე, 1995). ჩვენი ვარაუდით კი, ეფრატის ეკლესიაში უნდა ემოღვაწა გადამწერად მწერალ ნიკოლოზ კომსიძეს, რომელიც „ტბეთის სულთა მატიანეში“ (XII-XVIII საუკუნეები) მოიხსენიება (კახიძე, 2009:127-129).

ერთი გადმოცემით, ეს მატიანეც ეფრატის ეკლესიაში უნდა შექმნილიყო და აქედან გადაიტანეს შესანახად შავშეთის ტბეთის ეკლესიაში, სადაც იგი აღმოაჩინეს.

7. სანაქი

სანაქი სახენაცვალი ფორმაა სენაკისა, რომელიც წარმოადგენდა ბერთა, მონაზონთა, განდეგილთა თავშესაფარს. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში" იგი განმარტებულია, როგორც „მცირე სახლაკი" (საბა, 1949:314). ბუნებრივია, ეფრატის მაჭახლის დედაეკლესიად წოდებულ ეკლესიასთან ასეთი სენაქის//სენაკის არსებობა აუცილებლობას წარმოადგენდა. სანაქი დღეს ტოპონიმად დამკვიდრდა და მას აქ მოგზაური თითქმის ყველა მკვლევარი მოიხსენიებს. სწორედ სანაქის უბანში იდგა ეკლესია, რომლის ადგილას 1958 წელს აიგო ქვის მეჩეთი. სანაქის ახლოს დღესაც არსებობს რამდენიმე ერთ ხაზზე განლაგებული ქვითკირით ნაშენი ნაგებობა, რომლის ფუნქციები დღემდე გაურკვეველია. ეს ნაგებობანი პირველად ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ დააფიქსირა 2010 წელს.

8. ფუნდუღი

